

ახალსაუნჯე

ტექსტების და
კონტექსტების
შურნალი

№8 (38)

აგვისტო, 2016 წელი

Вячеслав Куприянов

ნომრის ავტორები
გიორგი ლოგუანიძე & ვიანესლავ კუპრიანოვი

კოაზია
გიორგი ჩუთლაშვილი
ირმა ბერიძე

პროზა
რატი რატიანი

კრიტიკა
ლელა კოდლაშვილი – თემურ ჩხატიაშვილი

ახალი თარგმანები
მანიერი

არტი
დავით ანდრიასიძე – თემურ ჯავახიშვილი
ქეთევან ს. კინწურაშვილი – კანელისკოზა



ფასი 1,5 ლარი

№8 (38) აგვისტო, 2016 წელი

ახალი საუნჯე

ტექსტების და კონტექსტების ჟურნალი

პროექტის ავტორი: ვაჟა წონკოლაური
მთავარი რედაქტორი: შოთა იათაშვილი
რედაქტორი-სტილისტი: ლელა კოდალაშვილი
დიზაინი და დაკაბადონება: ნიკა ხვედელიძე

სარედაქციო კოლეგია: დავით ანდრიაძე, გია ეძგვერაძე,
დათო ტურაშვილი, ეკა ქევანიშვილი, ზაზა შათირიშვილი,
დავით ჩიხლაძე, გია ხადური

ნომერზე მუშაობდნენ: ეკა ქევანიშვილი, გიორგი
ლობჯანიძე, თამარ კოტრიკაძე, გიორგი ჩუთლაშვილი,
ირმა ბერიძე, რატი რატიანი, ლელა კოდალაშვილი, გვანცა
ანანიაშვილი, ბექა ბარქაია, ქეთევან ს. კინწურაშვილი

გამომცემლობა «საუნჯე»

მის.: ალ. ყაზბეგის 32/34

ტელ.: 2141214, 2395587, 2397188

Skype: saunje-saunje

ელ-ფოსტა: saungeo@gmail.com;

www.saungeo.ge

1. ნომრის ავტორები

ეკა ქევანიშვილი

გიორგი ლობჯანიძის ქარიშხლიანი უღელტეხილი

რა დასამალია და, ერთ მის ძველ მეგობარს ვკითხე, შენთვის როგორია გიორგი ლობჯანიძე-მეთქი და დაუფიქრებლად მიპასუხა, ქარიშხალს ჰგავსო. მერე გავიხსენე, რომ არც მე გამიცვნია გიორგი გუშინ და მისი ქარიშხლობებიც ჩამოვთვალეთ. კი, ეგეთია – სხვა თუ თქმას მოერიდება, ამან შეიძლება მართლა ჩრდილოეთის ქარბორბალასავით გადაგიაროს და მერე, ვითომც არაფერი, ისე ჩადგეს. ამ ორბუნოვნებას აქვს თავისი ახსნა და ეს ახსნა თავად გიორგი ლობჯანიძეს ეკუთვნის – ეს დედის და მამის ორი ხასიათის შეხვედრაა გიორგიში.



ეს გიორგი ლობჯანიძის სულ პირველი მოგონებაა, კადრი, რომელიც ცხადად ახსოვს – საკუთარი თავი, ალბათ, დაახლოებით წლინახევრისა, ან უფრო პატარაც, როგორ უჭირავს ხელში ვილაცას და როგორ ცდილობს პატარა ხელით შუქის ჩამრთველზე ხელის მიჭერას. გაისმის

ჩამრთველის ჩხაკუნი და სინათლეს ინთება. მოქმედება სოფელ ნაბახტევში ხდება, ხაშურის რაიონში, ეს არის ადგილი, რომელიც გიორგი ლობჯანიძეს დედამინაზე ყველაზე მეტად უყვარს. სოფელი, რომლის აღქმაც თავად გიორგის მიერ დროის გასვლასთან ერთად შეიცვალა, თუმცა დარჩა ადგილად, სადაც დაუფიქრებლად იცხოვრებდა, რომ არა... ამ «რომ არა»-ზე ქვემოთაც ბევრს ვიტყვით. აქ კი ზოგადად ცხოვრებისეული

აუცილებლობები ვუნოდოთ, რასაც ქალაქში ცხოვრება სჭირდება. აი, ასე, ძალიან არაპოეტურად.

გიორგის ბავშვობის ქართული სოფელი განსხვავდება იმისგან, რაც დღეს ნაბახტევში ხვდება. იქნებ იმ ხალხის წასვლის ბრალიაო, ამბობს, მამამისის თაობის – რალაცნაირად სხვანაირად გაზრდილი ხალხის, მიწაზე შრომისგან გაკეთილშობილებული ადამიანების – ეს გიორგის იქ ცხოვრებისას ყველაზე მეტად უყვარდა. ერთი მხრივ, თავშეკავებულობა და გლეხი ხალხის მოულოდნელი სიფაქიზე და მეორე მხრივ, უეცარი სიუხეზე, რასაც ქალაქში ჩამოსული დაეჯახა. დარდების ნაწილიც ამ სოფელს და იქაურ სახლს უკავშირდება, სადაც გიორგიმ 12 წლამდე ბედნიერად იცხოვრა.

დედა, მამა, ხუთი და და გიორგი. დიდი სახლი, რომელიც მუდამ სავსე იყო. დღესაც გიორგი იქ უფრო კარგად გრძნობს თავს, ისეთ ოჯახში, სადაც ხალხია, სადაც სტუმარია. ეს, ცხადია, არ გამორიცხავს პირადი სივრცის მოთხოვნილებას, ეს კიდევ სხვა ამბავია, პოეტისა და მთარგმნელისათვის აუცილებელი საკუთარი ოთახის ქონისა. ამ პირადი სივრცის შენარჩუნებას, თან ყველა შვილისათვის, მიუხედავად მრავალშვილიანი ოჯახისა, მაინც ახერხებდნენ გიორგის მშობლები. განსაკუთრებით, დედა.

მინის ხალხი იყო, შრომისა, გიორგის მშობლები. დედა უფრო ფიცხი – მამა უფრო რბილი ხასიათის, თავშეკავებული. თუმცა: «მახსოვს, თუ რამე მომინდებოდა, დედა მეტყოდა ხოლმე, მოდი, ჯერ მამას ვკითხოთ, როცა დაბრუნდებო». თუმცა, ეს მშვიდი ხასიათი თურმე, როგორც გიორგი მოგვითხრობს, ხშირად გამხდარა

სხვების მხრიდან ცუდად სარგებლობის მიზეზი. მთავარი ფარი ასეთ დროს დედა იყო ხოლმე:



დისშვილთან ერთად

«ამიტომაც ითვლებოდა, რომ ლილი ავი იყო და ინგუშა კიდეც – არა, სინამდვილეში, ორივე ძალიან კეთილები იყვნენ, მაგრამ განხვავებული ტემპერატურებით. დღეს განსაკუთრებულად ვგრძნობ ხოლმე ჩემს თავში ორივეს – ხან შემძლია მამასავით თვინიერი ვიყო და ხან კი – დედაჩემივით ფიცხი».

ხანდახან ის ადგილიც კი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვარს, შეიძლება გახდეს შორეული. უფრო სწორად, წელიწადში ერთხელ რომ ახერხებ მის მონახულებას,

ისეთი. ნაბახტევიც ასეთი ადგილია – მხოლოდ ზაფხულობით იღება ჭიშკარი. ახლავს სხვანაირი დარდიც ამ ამბავს – სულ რომ განუხებს სინდისი, რომ საკმარისად ვერ უვლი, ღობეს დროზე ვერ შეაკეთებ. ძნელია – ამბობს გიორგი ლობჯანიძე. იქნებ ჩემი თანასოფლელების თვალში წარმატებული ვჩანვარ, წარმატება კი სიმდიდრესთან ასოცირდება, მაგრამ მთელი წელი ძალიან ბევრი უნდა ვიშრომო, რომ იქაურ კარ-მიდამოს რამე ახალი შევმატოო. ვისაც ბავშვობის სახლის მიტოვების სევდისა რამე გაეგება, გიორგისაც ადვილად გაუგებს.

«მართლა რაღაც უნდა მოვაკლო ოჯახს, რომ იქაურობას ოდნავ ხელი შევავლო. სოფელზე ცალკე შემტკივა გული, ვხედავ, რამდენი პრობლემაა და მართლა მინდა ამ ხალხს დავეხმარო, მაგრამ ხელ-ფეხი მაქვს შეკრული, რადგან რეალურად როგორც შენ ისინი გხედავენ და რა გავლენაც რეალურად გაქვს, ეს ორი რამ ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან».

ნაბახტევს გიორგი ლობჯანიძის ცხოვრებაში ერთი და განსაკუთრებული დატვირთვა აქვს – ეს ის სახლია, სადაც დედასთან და მამასთან იცხოვრა – ოღონდ ძალიან ცოტა ხანს. ჯერ მამა დაიღუპა მოულოდნელად. ზუსტად ექვს თვეში – დედა. გიორგი 12 წლისა იყო. დედის წასვლის მერე უფრო გამძაფრდა მარტოობის შეგრძნება – თითქოს უცხო ქალაქში ჩასულს მოულოდნელად ხელი გაუშვეს.

«მიუხედავად იმისა, რომ დები მყავდა გვერდით, მაინც სრული სიმარტოვე მოვიდა. მახსოვს ის მომენტიც, როგორც მსჯელობდნენ ჩემი ბიძები ჩემს მომავალზე, სად უნდა წავსულიყავი, სად უნდა მეცხოვრა, ვინ აიღებდა 12 წლის ბიჭის გაზრდის პასუხისმგებლობას».

გიორგი კი ამ დროს დედამისის კუბოსთან იჯდა, ოდნავ ღია კარიდან სუსტად, მაგრამ მაინც გამოდიოდა ამ მსჯელობის ხმები.

«მახსოვს, უცებ როგორ შევარდა იმ ოთახში ჩემი უფროსი და და უთხრა, რომ ის წამიყვანდა თავისთან. ასე მოხდა. ჩემი დანარჩენი დებიც, ვისაც როგორ შეეძლო, მონაწილეობდნენ ჩემს აღზრდაში, თუმცა ძირითადი დრო ჩემი უფროსი დის სახლში გავატარე, ჩემს დისშვილთან ერთად გავიზარდე, რომელიც ოდნავ ჩემზე დიდი იყო».

მანამდე კი, სანამ მარტო ცხოვრება დაიწყებოდა, იმ ცხოვრებაში, სადაც ყველა სახლშია, გიორგი იხსენებს, როგორი განებივრებული ბიჭი იყო. რა გასაკვირია, ქართული ოჯახი, სადაც ხუთი გოგოს მერე მეექვსე ვაჟი გაჩნდა. ერთხელ გიორგის ერთ-ერთ დას კი გაუბედავს და უთქვამს დედისთვის, ამდენ შვილს იმიტომ გვაჩენდი, რომ ბიჭი გინდოდათ გყოლოდათო. ლილის კი უპასუხია, ბიჭი კი არა, სიცოცხლეს რომ ვაჩენდი, ის მიხაროდაო. ასე იყო თუ ისე, გიორგი ყველას უყვარდა.

გიორგის კი უყვარდა წიგნები.

არც ბურთაობა, არც სოფლის მინდვრებში სირბილი – ჩვეულებრივი ბავშვური თამაშობები მისთვის უცხო იყო. ძალიან მუდო ბავშვი ვიყავიო, სიცილით იხსენებს. კითხვა 4 წლისამ ისწავლა ჯერ ქართულად, შემდეგ რუსულად და ერთადერთი, რაც სიამოვნებას ანიჭებდა, წიგნებთან 24 საათიანი ურთიერთობა იყო. სახლის ბიბლიოთეკის წიგნები რომ წაიკითხა, მერე სოფლის ბიბლიოთეკას მიადგა. აქ იწყება გიორგისა და ბიბლიოთეკარ შუშანას, როგორც თავად გიორგი ხუმრობს, «შუშანიკის წამებაც». ბიბლიოთეკა შაბათობით იღებოდა – გიორგიც ჩასაფრებული ელოდა შუშანას გამოჩენას სოფლის გზაზე.

«შუშანას დევიზი იყო, რომ ცუდი წიგნი არ არსებობს და ყველა წიგნს მატანდა. ოღონდ საბავშვოებს, რაც მე დიდად არ მაინტერესებდა. მახსოვს, ერთი-ორი პირველი წიგნი, რაც სულ თავიდან წავიკითხე, ჩემით კითხვა რომ დავიწყე. ეს იყო გივი ჭიჭინაძის «შადრევანი მღერის» და მარგო თომაძის «წყაროსთან თეთრი ქვებია».

ერთხელაც, ალბათ 6 წლის გიორგიმ იფიქრა, შუშანა რომ საცავს გააღებს და წინა ოთახში გავა, შევალ და, რა წიგნებიც მომინდება, წამოვიღებო. ოპერაცია «წიგნებმა»


წარმატებით ჩაიარა. მაგრამ გავიდა რამდენიმე დღე, გიორგიმ წიგნები წაიკითხა და სინდისის ქენჯნაც დაეწყო. როგორ უნდა დაებრუნებინა უკან ბიბლიოთეკის კუთვნილი წიგნები? დედას შიშით ვერ გაუმხილა და ბოლოს მაინც მამას გაენდო და წიგნებიც უკან, მას გაატანა. შუშანამ კი დატუქსა გიორგი, მაგრამ ამბავი მაინც კეთილად დასრულდა. ის კი არადა, გიორგის ერთი ლექსის პროტოტიპადაც კი იქცა ბიბლიოთეკარი.

სოფლის ბავშვებს გიორგისი ნაკლებად ესმოდათ – მათ ჩვეულებრივი ბავშვური თამაშები იტაცებდათ. გიორგის კი – არა. დღემდე ასეა ესეც – თუ სადმე შინაგანი წონასწორობა ერღვევა, იქიდან დგება და გარბის. ის ბურთი და ის მოედანი მისთვის საინტერესო აღარ არის.

ახალი ცხოვრება ხაშურში დაიწყო. ეს ობლის ცხოვრება იყო სხვა ქალაქში. არც ისე ადვილი, მაგრამ უფრო საინტერესო. იქაური სკოლის მოსწავლეებთან მეგობრობა ადვილად გამოვიდა. 13 წლისა იყო, როდესაც მისი ლექსების აქტიურად ბეჭდვაც დაიწყო მაშინდელ პერიოდიკაში – ცნობილი კაცი გახდა. ამ ამბავს ისიც დაემატა, რომ მაშინდელმა ქალაქის ხელმძღვანელობამ მისთვის, როგორც ობლისთვის, ბინის ჩუქება გადაწყვიტა – ასე გაჩნდა გიორგი ლობჯანიძის სულ პირველი საკუთრება – სივრცე, რომელიც მარტო მისი იყო და არავისთან გასაყოფი არაფერი ჰქონდა. ეს იყო ადვილი, სადაც მისი კლასელები თავს იყრიდნენ და ღამეებს ათენებდნენ. მოკლედ, სიჭაბუკის ასაკი. სკოლაშიც ათამამებდნენ, თუმცა გაკვეთილებს პატიოსნად ამზადებდა და ხაშურის N1 სკოლაც ოქროს მედალზე დაამთავრა.

«კი, ხუთოსანი ვიყავი. მაგრამ არა იმიტომ, რომ ვიღაც შეღავათს მიწევდა ან რამე. არა. ორი ადამიანი

ცხოვრობდა ჩემში – შეიძლება დღე და ღამე მენანნალა ქუჩაში – ეს ძალიან მიყვარდა, მთელ ხაშურს ვართყამდი წრეს. და ახლაც მიყვარს ფეხით სიარული. და ჩემთვის ყოფნა მჭირდებოდა, მაგრამ არასოდეს გავქცევივარ ვალდებულებას».



დადიოდა, საფიქრალიც ბევრი იყო და თან, შეყვარებულიც ხშირად იყო, მაშინ – უფრო ცალმხრივად. ერთხელ, მესამე კლასში, გადაწყვიტა თავისი კლასელი გოგოსთვის სიყვარული აეხსნა – მამის ნაყიდი წიგნის გადასაკრავებით სკოლაში გამოცხადდა და ამ გადასაკრავზე დახატულ რომელიღაც რუსული ზღაპრის პერსონაჟ გოგოს და ბიჭს

თავისი და იმ გოგოს სახელები დააწერა. არ გამოვიდა სიყვარულის ახსნა, ამ ამბავს კლასის დამრიგებლის რეპრესიები მოჰყვა – სკოლაში დედამისი დაიბარეს. მერეც იყო ზოგი ისეთი და ზოგიც ასეთი სიყვარული, ზოგი რომ უნდა მოჰყვე და ზოგიც არ მოჰყვე საერთოდ. როგორც თავად გიორგი ამბობს, ძველი სიყვარული მაშინ ახსოვს ადამიანს და მაშინ მისტირის, როცა ან ახალი არა აქვს, ან ისეთი არა აქვს, როგორც უნდა ჰქონდეს და როგორც ის წინა სიყვარული იყო.

ხეტიალის, სიყვარულების, სწავლის, ობლობის, მეგობრების პარალელურად სულ წერდა. როგორ და როდის დაიწყო, არ ახსოვს, გარითმულ სტრიქონებს მისი დები იწერდნენ – ალბათ, 3-4 წლისა იქნებოდა. მაგრამ

კარგად ახსოვს ის ლექსი, რომელიც თავისი ხელით დაწერა – ერთ-ერთი ზაფხულის მიწურულს, როცა მისი დისშვილი სოფლიდან წაიყვანეს და გიორგი მარტო დარჩა, ერთი სევდიანი ლექსი დაწერა. ადრეული ლექსები უფრო ხშირად ურითმო ან რითმანარევი იყო. ამ ბოლო დროს ადრეული ლექსები უფრო მეტად მიყვარს მათი ცინცხალი ემოციის გამო, ამბობს გიორგი.



ცინცხალი ემოცია მართლა მოაქვს პირველ ლექსებს, მაგრამ მაშინ, როგორც წესი, ის არ არის ხოლმე, რაც მერე მოდის – რაც ახლა დგას გიორგი ლობჯანიძის ლექსებში. გიორგი ამას პირდაპირ წერის სწავლას უწოდებს: «იყო თემები, რაზეც არ დავწერდი. დღეს კი შემიძლია, ყველაფერზე ვილაპარაკო. ალბათ, დროის ამბავიცაა, ასაკის დამსახურებაც. რაც ბავშვს გაფრთხობს, ის უკვე დიდს საინტერესო გეჩვენება და

აღარც აზრების და გრძნობების გეშინია. მე მინდა და ვცდილობ, რომ რასაც ვამბობ, ის მაქსიმალურად სწორად ვთქვა. რომ იქ მეტი არაფერი იყოს, იმის გარდა, რასაც ეს ფრაზა გულისხმობს. მგონია, რომ ეს ჩემი ბოლო კრებულის რამდენიმე ლექსში მოვახერხე».

თარგმანის ამბავი ცალკეა მოსაყოლი. იშვიათად, რომ რალაცის კეთების სიყვარული ასეთი მუხტით და მიზნით იწყებოდეს, როგორც გიორგი ლობჯანიძესთან. თავიდან ვახუშტი კოტეტიშვილის მიერ შედგენილი და ნაწილობრივ

მისივე თარგმნილი ირანული პოეზია ნაიკითხა. იქნებოდა მეექვსე-მეშვიდე კლასში. მიხვდა, რომ რაღაც ძალიან მაგარს კითხულობდა და მისი დედანში ნაკითხვა გადაწყვიტა. გავიდა რამდენიმე წელი. მაშინდელი სურვილი უკვე ნამდვილ მიზნად იქცა და გიორგიმ სპარსულის მასწავლებლის ძებნა დაიწყო. თავისზე უფროსი არაერთი მეგობარი ჰყავდა. მათგან ერთ-ერთმა, ხაშურის მუზეუმის დირექტორმა თამაზ ლაცაბიძემ კარლო ტაბატაძე ურჩია – წარმოშობით ხაშურელი პროფესორი, რომელიც თბილისში ცხოვრობდა. და 13 წლის გიორგი ლობჯანიძისთვის დაიწყო რამდენიმეწლიანი მოგზაურობა ხაშური-თბილისი. დაიწყო სპარსულის გაკვეთილები.

მაშინ იყო ზუსტად, თბილისი-ხაშურის ავტობუსში მჯდარს, ჩაძინებულს, სიზმარში რომ შემოეთარგმნა ომარ ხაიამის ერთი რობაი, რომელიც კარლომ ჩაანერინა და მისი თარგმნაც დაავალა. ამაზე სრულყოფილად იქნებ არც არაფერი მითარგმნიაო, ამბობს ხოლმე გიორგი და სპარსულ-ქართულად ამ ერთსტროფიან ლექსს კითხულობს:

*«უქონლობისა არა მჭირს საფიქრალ-სავაგლახო რამ,
ან განა მიტომ არ ვთვრები, ვინმეს არ შევუძრახო რამ.
ღვინოა გულის საღბუნი, მოსალხენ-საინახო რამ,
მე, ჩემო, შენგნით დავბრმავდი, შენ იქნებ დაინახო რამ».*

«კარლო მასწავლიდა ყველაფერს – ნამდვილი მასწავლებელი იყო და, რაც მთავარია, სიამოვნებდა, რასაც აკეთებდა. ერთ ჩასვლაზე მეუბნება, მე და შენ ხომ ძმაკაცები ვართო. 70 წლის იყო ამ დროს, მე კი 13-ის. კი-მეთქი, ვართ, ვუპასუხე. ჰოდა, ძმაკაცს ფული როგორ გამოვართვაო? ასე მიპასუხა და იმ დღის მერე ჩემგან ფული არ აუღია. ამ დროს უკვე გაგებულნი ჰქონდა ჩემი

ობლობის ამბავი. სკოლის დამთავრებამდე ვიარე კარლოსთან. კაცთან, რომელმაც იცოდა ძალიან კარგი სალიტერატურო სპარსული, ირანში კი ერთხელაც არ იყო ნამყოფი. მხოლოდ სიცოცხლის ბოლოს ჩავიდა იქ. სულ ვფიქრობ, რომ რომ არა კარლო, ჩემი ცხოვრებაც სხვანაირად წავიდოდა. როდესაც ვაბარებდი, სწორედ მან მირჩია, რომ არაბულ განყოფილებაზე შემეტანა საბუთები, რადგან სპარსული (და გერმანულიც) ამ დროს უკვე კარგად ვიცოდი. ასეც გადავწყვიტე. იმის გათვალისწინებით, რომ ამ დროს უკვე გამოსული იყო ჩემი პირველი ლექსების კრებული, ენები ვიცოდი და ოქროს მედალოსანი ვიყავი, უნივერსიტეტში უგამოცდოდ ჩავირიცხე».

ვახუშტიც მაშინ გაიცნო – როცა თავისი არაბულის ლექციების პარალელურად სპარსულის განხრით ვახუშტი კოტეტიშვილის ლექციებზე შედიოდა. არცერთი ლექცია არ გაუცდენია! ის კი არცერთ ლექციაზე არ გამეორებულა – იხსენებს დღეს გიორგი. ვახუშტი ფიგურა იყო. მასწავლებელი. შემფასებელი. ცხადია, მის გავლენას ბევრი განიცდიდა. უგავლენო პოეტებისა და მთარგმნელების არც გიორგი ლობჯანიძეს სჯერა:

«მე დღესაც ამას ვეუბნები ჩემს სტუდენტებს, რომ მათით არ იწყება ყველაფერი და რომ დიდი მთარგმნელობითი სკოლა არსებობს საქართველოში. მახსოვს, თავიდან, როდესაც ომარ ხაიამის შესწავლა დავიწყე, მისი 36-ვე რობაი გადავწერე, რომელიც 1924 წელს გამოცემულ ჟურნალ «კავკასიონში» იყო გამოქვეყნებული, იუსტინე აბულაძის თარგმნილი, პავლე ინგოროყვას წინასიტყვაობით. ამას იმიტომ ვაკეთებდი, რომ უკეთ გამეგო, რა გააკეთა ჩემამდე იმ სკოლამ, ვისაც ჩემს თავს მივაკუთვნებდი. ბუნებრივია, ჩემზე გავლენა მოახდინეს ამ ადამიანებმა, ვახუშტიმ, მაგალი თოდუამ, თამაზ

ჩხენკელმა... მე ვსწავლობდი მათ თარგმანებს. დანარჩენი უკვე ყველაფერი ადამიანის ნიჭზეა დამოკიდებული – როგორ განავითარებ. დღეს მე უკვე ვიცი, რა ხაზები გამორჩათ თუ გამოტოვებს ჩემმა წინამორბედმა დიდმა მთარგმნელებმა. და ახლა ვცდილობ, ამ სისტემის ცარიელი უჯრედები შევავსო».

უნივერსიტეტის შემდეგ იყო სამი წელი თეირანში – თეირანის უნივერსიტეტის თეოლოგის ფაკულტეტი, რელიგიებისა და მისტიკის განყოფილება. როგორც გიორგი ამბობს, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდი მის ცხოვრებაში. დამოუკიდებლობის დიდი დობა, აბსოლუტურად სხვა სამყარო და იმ სამყაროდან დანახული სამშობლო. გადაფასების და შეფასების სამი წელი. ახალი ცოდნა, ახალი მეგობრები, ახალი ლიტერატურული სახელები. ყველაზე მეტად რამ გაგაკვირვა ირანში-მეთქი, რომ ვკითხე, მიპასუხა, იმან, რომ ვნახე, იქაური მწერლები როგორ თამამად აკრიტიკებენ ერთმანეთს, მაგრამ, ამავე დროს, საუკეთესო მეგობრებად რჩებიანო.

გიორგი ლობჯანიძის პირველი თარგმანი, რომელიც წიგნად გამოვიდა, ჯალალედ-დინ რუმის «ყაზალები» იყო – თვითნაკეთი წიგნივით იყო, მაშინ ჯერ კიდევ არ იყვნენ მომძლავრებული გამომცემლობები. წიგნის რედაქტორობა ვახუშტის სთხოვა. დათანხმდა და ერთ კვირაში მოდიო, უთხრა. ის ერთი კვირა გულაჩქარებულ მოლოდინში გავიდა – რას იტყოდა? რას დაუნერდა? რა შენიშვნები ექნებოდა? ჩასწორებებით აჭრელებულ ტექსტს ელოდა. ვახუშტიმ კი, აი, აქ აპოსტროფი გაკლიაო, ერთ ადგილას მიუთითა და მერე მხოლოდ ის უთხრა: შენა ბაღლო, მართლა მაგარი ყოფილხარო. ვახუშტის კომპლიმენტი არ იყო პატარა ამბავი.

«მგონია, რომ თარგმანი შეხვედრათ. ვისაც კი შეხვდი, რომელ ავტორსაც, მთლიანად მათი ცხოვრებით ვიყავი მოცული. რაღაც მომენტში გეშინია კიდევ, რომ შენში მისი რეინკარნაცია არ მოხდეს. არაბულიდან თარგმანებს რაც შეეხება, ამ ამბავში თინა მარგველაშვილის ძალიან დიდი დამსახურებაა. ის იყო ჩემი მოძღვარი – მან შემაგულიანა ყურანის თარგმნაზე, მან შემაგულიანა «ქილილას და დამანას» თარგმნაზე... თუმცა საქმე ისაა, რომ აქ მხოლოდ ცოდნა და პროფესიონალიზმი არ გყოფნის. ასკეტიც უნდა იყო. კარგი ჯანმრთელობის მქონე. «ქილილა და დამანა» 7 წელი ვთარგმნე, ყურანი – 12. ყურანს ალბათ, ვერ დავამთავრებდი, «კავკასიური სახლი» და ნაირა გელაშვილი რომ არ დამდგომოდნენ მხარში». ირანის საელჩოს რუტინული სამსახურიც – ქართული პრესის მიმოხილვა და თარგმნაც ამით დასრულდა – გიორგი ლობჯანიძე «კავკასიურ სახლში» გადავიდა და ისლამური კულტურის შემსწავლელი ცენტრიც მაშინ დაფუძნდა. სწორედ ამ ცენტრის პირველი პროექტი იყო ქართულად ნათარგმნი ყურანიც.

«როცა დღეს ვუყურებ უკვე წიგნად გამოცემულ ამ თარგმანებს... უფრო მიკვირს. როგორ გავედი ბოლოში ამ ყველაფრის გათვალისწინებით, არც თუ ისე მარტივი ცხოვრების ფონზე. ალბათ, არის რაღაც, რაც მაგ დროს ხელს გკიდებს და მიჰყავხარ, თუგინდ შემოქმედებითი ენერჯია დაარქვი ამას, ან ტრანსცენდენტული ძალა – რაღაც, რაც არ გასვენებს. მაგრამ ამავე დროს, მე არ ვარ ის ტიპი, ვინც თვითკმაყოფილია. თავიდან შეიძლება უფრო მომწონდეს, მაგრამ მერე, როცა ხელახლა ვუბრუნდები, აღარ მომწონს. ხშირად ვბრაზდები საკუთარ თავზე – ეს როგორ ვერ შევამჩნიე, ვფიქრობ და ჭირის ოფლში ვიწურები. ოღონდ ჩემი თარგმანი არ წამაკითხო და რაც

გინდა, მთხოვე. ხშირად ლექსებზეც ასე ვარ. პირველი წიგნიც დამალული მაქვს, მეორეც, მესამეც და მეოთხეც უკვე მოვაფარე თაროს, აქამდე გამოფენილი მქონდა... სულ მაქვს ის განცდა, რომ ეს ის არ არის, რაც სინამდვილეში შეიძლებოდა ყოფილიყო, მითუმეტეს, როცა რაღაც სრულყოფილ ნაწარმოებს ეხები. მგონი ასეც არ შეიძლება, რომ გემოს ვერაფერს ვატან. ხომ შეიძლება ერთხელ ბოლომდე გამიხარდეს, რომ რა კარგად გამომივიდა, მაგრამ საბოლოო შეფასება, ვინც და როგორც არ უნდა შემაქოს, მაინც ჩემია. მე კი, მეტწილად თვითკრიტიკული ვარ ხოლმე».

წერა, კითხვა, თარგმნა, სწავლება – ეს გიორგის ყოველდღიურობაა. დილა, ყავა, ოჯახი, სოციალური ქსელი, თარგმნა, ცოტა დასვენება, კითხვა, ისევ თარგმნა – როცა ზაფხული გადის, საქმე მეტია. რუტინაც უფრო მძიმედ ასატანი ხდება ხოლმე. ხანდახან ის ფიქრიც გაიელვებს ხოლმე, რომ სხვა ქვეყანაში რომ ეცხოვრა და იგივე საქმე ეკეთებინა, მდიდარი კაცი იქნებოდა. ყოველ შემთხვევაში, თვიდან თვემდე თავის გატანას და ოჯახის შენახვაზე იმდენს რომ არ იფიქრებდა, რამდენსაც ახლა.

«არა. დიდი ფულის ქონაზე არასოდეს მიოცნებია. უბრალოდ, ცოტა გემრიელად მინდა ვიცხოვრო. ჩემი შრომის შესაბამისად – არ ვიფიქრო იმაზე, რომ პურის ფული არ მაქვს და მაღაზიის გამყიდველს უნდა დაველრიჯო, ნისიად მომცეს რამე და ვუთხრა, რომ აი, ხვალ-ზეგ ჩამირიცხავენ. ეს, რაც დრო გადის, აუტანელი ხდება. ამ დროს, ფიქრობ იმაზე, თუ როგორ არის დამუშავებული სექსის საკითხები არაბულ ლიტერატურაში, ამას თარგმნი და საკუთარი სახლისთვის ღობე ვერ გაგიკეთებია. არის ხოლმე, კი, ასეთი ფიქრებიც,

მაგრამ უფრო ხშირად არ ვიცი აყოლა. მაგის დრო არა მაქვს».



ეს რომ თქვა, ვკითხე, თვეში დაახლოებით რამდენი გეყოფოდა, უდარდელად რომ ყოფილიყავი-მეთქი.

– ამ მოთხოვნებით, ალბათ, 1500 დოლარი სტაბილურად. დღეს რომ ეს ფული შევაგროვო, 24 საათი ვიმუშაოო, მიპასუხა.

სოციალურ ქსელში შემოაგდებს ხოლმე ზოგჯერ ახალი თარგმანების ნაწყვეტებს – მკითხველის რეაქციას აკვირდება. შესაძლოა, რაღაც მცენარის სახელი იკითხოს, თუ ზუსტად არ გამოიძია, რაზეა ლაპარაკი, ქონდარსა თუ ბაბილიკზე, ვერ მოისვენებს. პარალელურად, სულ რამდენიმე ტექსტს თარგმნის. მათგან ყველაზე რთულსა და მძიმეს – დილაობით შეეჭიდება ხოლმე. ეს არის, როგორც თავად გვითხრა, ყურანის შემდეგ შიიტური ისლამის მიერ აღიარებული წიგნი, «წესი მჭევრმეტყველებისა», იმამ ალის ქადაგებების კრებული. ძველი არაბულით დაწერილი, მერვე საუკუნის უმძიმესი ტექსტი. მეორე კი, რომლის თარგმანსაც საღამოობით ჩაუჯდება ხოლმე, თანამედროვე არაბი მწერალი ქალის ბესტსელერად ქცეული წიგნია, «თაფლის სამხილი», რომელშიც მწერალი აანალიზებს კლასიკური არაბული სექსუალური წიგნების მემკვიდრეობას:

«და არის სიცოცხლითა და სიხარულით სავსე წიგნი. დილით იმ მძიმეს ვთარგმნი, საღამოს კი ამას... ძალიან მინდა, არაბულ-მუსლიმური ლიტერატურის მნიშვნელოვანი ნიმუშები ვთარგმნო. მაგალითად, ჩვენ

არა გვაქვს ქართულად თარგმნილი იბნ ალ არაბის თითქმის არც ერთი ნაშრომი. მათ შორის, «მეექვრი გამოცხადებები». მალე გამომცემლობა «წიგნები ბათუმში» დაიწყებს ახალი სერიის – ახალი და უახლესი არაბული პროზის გამოცემას. უკვე წლებია, ვთარგმნი და ვამზადებ თანამედროვე ქართული პოეზიის ანთოლოგიას. ძალიან დიდი პასუხისმგებლობით ვეკიდები ამას. მინდა სრულყოფილი იყოს და ვილაცას გული არ ვატკინო. ეს იქნება პირველი ასეთი კრებული, ძალიან მკაცრად შერჩეული, საუკეთესო ტექსტები».

სახლში ყველაზე ხშირად წიგნები მიაქვს. ირინა, ლილი და ლუკა ამას უკვე მიჩვეულები არიან. ირინა, ალბათ, ყველაზე მეტად – ის და გიორგი უკვე 18 წელია, ერთად არიან. იმ დღიდან, როცა გიორგი თეირანიდან დაბრუნდა, ირინა კი ხაშურიდან თბილისში მასთან შესახვედრად ჩავიდა. ამ შეხვედრამდე ერთწლიანი ღამისთევები იყო – ღამის სატელეფონო საუბრები. მერე კი ერთად ცხოვრება დაიწყეს და აი, ლუკა მალე სკოლას დაამთავრებს. ლილი ჯერ პატარაა. ლილის უყვარს, როცა ოთახის კარს შეაღებს და მამას ჰკითხავს, მამა, დაიღალე? გიორგის ეს კითხვა დედამინაზე ყველა შეკითხვას ურჩევნია.

ის, რაც გიორგი ლობჯანიძეს არ მოსწონს თანამედროვე ქართულ პოეზიაში – 50-იანი, 60-იანი და 70-იანი წლების პოეზიის ინერციაა, რომელიც 80-იანებშიც გადმოვიდა და მისი სიტყვებით, დღემდე ტრიალებს – გამეორების ტენდენცია. სიტყვების, თემების, განწყობების:

«ხანდახან მართლა სიტყვებიც მეორდება და ეს თანამედროვე ენა აღარ არის! დღეს ლექსი სხვა ენით უნდა იწერებოდეს. პირობითად რომ ავიღოთ, «ყორღანებიდან გნოლი აფრინდა, ყაბარდოს ველი

გადაირა»... შესანიშნავი ლექსია, მაგრამ კონკრეტული ეპოქისაა. ის ეპოქა დასრულდა. რალაც ჯგუფი კი დღეს ისევ ცდილობს, წეროს ასე. ვერლიბროსაც როცა ვკითხულობ, მაშინაც მაქვს ეს შეგრძნება: ხომ არ შეიძლება, მთლიანად ბესიკ ხარანაული იყოს ავტორი, თან, როცა ბესიკი ცოცხალია და უფრო განვითარებადი, ვიდრე ის, ვინც მას ბაძავს. მაგალითად, მე ვგიჟდები თეა თოფურისას ლექსებზე და, იცი რატომ? იმიტომ, რომ მისი ინტონაცია არის აბსოლუტურად თანამედროვე. თუმცა ზოგადად, მე ვფიქრობ, რომ თანამედროვე ქართულ პოეზიას ბევრი ქვეყნის პოეზია ვერ შეედრება დღეს. რასაც ვერ ვიტყვი თანამედროვე ქართულ პროზაზე. პროზაში მე ამბავი მიყვარს. როცა ამბავს არ მიყვებიან, მაშინ ამბავი ენობრივი თამაშით უნდა იყოს ჩანაცვლებული, მაგალითად ისე, როგორც პრუსტის შემთხვევაში».

აი, ასეთი ამბებია გიორგი ლობჯანიძესთან. ამ ინტერვიუს მერე ნაბახტევში მიდიოდა – ორი კვირით. ტელეფონსაც გავთიშავ და ფეისბუქზეც ჩემი ჭაჭანება არ იქნება, უნდა დავისვენოო, თქვა. არ ვიცი, წელს მაინც თუ შეძლო თავისი ბავშვობის სახლისთვის ღობის შემოვლება.

გიორგი ლობჯანიძე

ლექსები

ბელურებს და ადამიანებს

ჩვენი სახლის აივანზე აუგიათ ბელურებს ბუდე,
სახლისა, სადაც ახლა ზაფხულში თულა ჩავდივართ,
თუ ის ცოტა დრო – ორი კვირა,
რასაც ვახერხებ,
ცხოვრებასა და მოვალეობებს რომ გამოვგლიჯო,
ზაფხულად ითქმის...
რა თქმა უნდა,
ზაფხულია – ხვატით და ბულით,
და აივანზე ამოზრდილი ბელურის ბუდით,
ბელურებისა, ჩვენს სახლშიც რომ მისვლას გვასწრებენ...

აივანზე ჩიტუნების ჟრიამულია,
ხოლო ჭერში კვერნებს გააქვთ შლიგინ-შლიგინი...

ბუნება ასე შემოიჭრა ცარიელ სახლში
და თან ათასი ბინადარი შემოიყოლა:
ჭრიჭინა,
ხოჭო,
ობობები ფერად-ფერადი
და შხამიანი კრაზანებიც,
რომლის ნაკბენიც კაცს აძინებს და
რამდენიმე წუთში ათავენს.
ასეთია ცხოვრება ტყეში, –
რასაც უკვე, დიდი ხანია, გადავეჩვიე...

საღამო ხანს
აივანზე ვიჯექი და ამას ვფიქრობდი,
როცა ბელურის საბუდართან ჭერ კვერნა გაკრთა,
მერე კი ჩიტიც შემოიჭრა
უცხო წივილით,
სახლის კედლებს ეხლებოდა,

მოთქმით გრგვინავდა
და რახელივით დასტიროდა საკუთარ შვილებს,
რომლებიც დედას საბუდარში აღარ დაუხვდნენ...
მოგისმენიათ ბარტყებმკვდარი ჩიტის გოდება?
არაფრითა სჯობს შხამიანი კრაზანის ნაკბენს...
ეს ხომ ნამდვილი რახელია –
გლოვად დაღვრილი,
რომელიც თავის შესაქმიდან გამოაძევეს
ტყეში,
სადაც კვერნებს გააქვთ შლიგინ-შლიგინი
და სახლს უნგრევენ
ბელურებს და ადამიანებს...

ბავშვობა

როცა საგანზე მეტად
მისი ჩრდილი
გაინტერესებს...

სიღარიბე

ორშაბათამდე...
ორშაბათს, მგონი,
ჩამერიცხება
და
ჩაგასესხებ...

სიყვარული

მე და შენ...

ის კი...

არ არსებობს...

იგულისხმება...

მეგობრობა

თუ ასე გიყვარს,
სექსი
რატომ არ შეიძლება?

ტაბუ

აი, ბაბუ!

ეს არის

ტაბუ!

მობილური

მარტო ისინი ხომ არ რეკავენ,
ვისაც სჭირდები...
ვინც გენატრება,
ზოგჯერ იმასაც გაახსენდები...

ამორინო

აი, ეს ჩემი ბიძაშვილი
ამორინოა...
ეს სახელი, იტალიური,
მამამ დაარქვა –
ტყვედნამყოფმა ბიძაჩემმა,
სოფლის სკოლის გერმანულის მასწავლებელმა...
უფროსები მის ტყვეობაზე სულ ჩურჩულით
ლაპარაკობდნენ,
საიდუმლო სამსახურები კი რაიონში დაატარებდნენ...
როგორც ამბობდნენ,
ბეჭზე მისთვის ტყვის ნომერი ამოეტვიფრათ
და ეს ქცეოდა მუდმივ დამლად,
ტანჯვის სათავედ,
უნდობლობის წყაროდ, რომელსაც
კიდევ უფრო წყალუხვს ხდიდა
გერმანულის უზადო ცოდნა...
ეს სახელიც –
ამორინო –
ფაშისტების ტყვეობიდან ჩამოიყოლა.
ვინ იცის, რას ახსენებდა
ჟღერად დაღვრილი იტალიური –
რომელ სიყვარულს
ანდა რომელ ძვირფას მეგობარს?
«ამორინო» ხომ ქართულად «საყვარელია»...
მაგრამ უცხოურ სახელებსაც კი მტრობდნენ მაშინ,
და დაბადების მოწმობაში
ბავშვს
ამორინო არ ჩაუწერეს,
ამირანად გადაუკეთეს და

ვინ იცის, ამით ვინ უფრო მიაჯაჭვეს კავკასიონზე:
შვილი თავის ორ სახელზე
თუ მამა – თავის მოგონებებზე...

სპეციალობაც ორი ჰქონდა, სახელის მსგავსად:
ფილოლოგი დადგა, თანაც არცთუ ურიგო,
მაგრამ ტექნიკის სიყვარული უფრო სძალავდა
და მოუძღვოდა სოფელში ყველა გამოგონებას,
ელექტროობის ყველა მაშინდელ ხილულ სასწაულს...
განსაკუთრებით მამუნჯებდა ერთი საგანი –
კინოკამერა,
რომლითაც ჩვენი ამორინო
ცოცხლად იღებდა ფირზე თავის თანასოფლელებს
და ამის ნახვა მერე სოფლის კლუბში შეგვეძლო...

ერთხელ, მახსოვს,
მდინარეში ბანაობდნენ ჩემი ტოლები,
მე კი შინიდან მკაცრად ვიყავი გაფრთხილებული
და წყალში არ ჩავდიოდი არასდროს...
ამ დროს მოვიდა ამორინო კინოკამერით,
ბავშვებს გვითხრა, გადაგიღებთო, –
და დაუნყო გადაღება მობანავეებს
მე კი, ნაპირთან მჯდომს,
მომინდა,
მეც გადაველე
და შევძახე:
მე ნაპირზე გადამიღე,
ვითომ სოკოებს ვაგროვებ-მეთქი!
ამორინომ გაიცინა:
– ვინ გაიგონა სოკო რიყებზე?
სოკოს რა უნდა რიყის ქვებში,
რას მოაგროვებ?! –
და კარგად მახსოვს,

ეს პირველი შემთხვევა იყო,
როცა შემრცხვა საკუთარი ფანტაზიისა,
ამიტომაც სამუდამოდ დავიმახსოვრე:
რომ წარმოსახვას სინამდვილე ათვინიერებს
და ის, რაც არ ჩაეტევა სინამდვილეში,
თუნდ წარმოსახვაც იყოს,
მაინც სათაკილოა...

მერე რა, თუ
მთელი ცხოვრება,
რიყის ქვებში
სოკოს დაედებ...

ამორინო კი, როცა კვდებოდა,
და არ ვიცოდით, რომ კვდებოდა,
რადგან, როგორც ხდება ხოლმე,
ცუდად გვეგონა, სხვა არაფერი...
მისმა ცოლმა დამირეკა
და კლინიკაში სანახავად რომ მივიჭერი,
მითხრა:
«წამლების ხარჯს დამპირდნენ რაიონიდან,
ეკუთვნის კიდევ
და თან გამგეც ამ თანხებისა
ერთი ჩემი შორეული ნათესავია...
მესამე დღეა, ველოდები,
ფული კი არ ჩანს..
ეგებ, იმ გამგეს – ადგე და –
შენც გადაურეკო,
იქნებ, ცოტა დამიჩქარონ
ფულის მოცემა...»
ფულის გამგე
ჩემი ძველი ნაცნობიც იყო,
ამიტომაც უფრო თამამად გადავურეკე,

იქვე, რადგან დრო ნამდვილად აღარ ითმენდა:
ცივად მომიჭრა,
აი, ასე:
«მე ჩემსას ვცდილობ,
მაგრამ რა გიყო?
მაგისტანა ავადმყოფი მილიონია!»
ამორინოს ცოლს
ამის თქმას ვერ გავუბედავდი,
ყასიდად დავაიმედე და დავემშვიდობე...
ამორინო კი, როცა მოკვდა,
შორეული ნათესავისა არ ვიცი, მაგრამ
მისი ცოლი ჩემზე დარჩა მაინც ნაწყენი...
მე დამემდურა...

მართალიც იყო...
ფულის გამგემ თუ არა,
მე ხომ კარგად ვიცოდი,
რომ ამორინოს მსგავსი –
ყველა –
ერთადერთია
და როცა ამორინო კვდება,
კვდება რალაც უფრო მეტი,
ვიდრე ერთი ადამიანი...
კვდება პატარა სიყვარული...
ქრება შუქი,
ცვდება კინოაპარატი,
თუმცა...
ამისი ახსნა ალბათ უფრო ძნელია,
ვიდრე რიყებზე –
წარმოსახვით –
სოკოს გროვება...

ანიტო

«შენ რომ არ იყო, ადესა,
ვინ იმღერებდა ამდენსა!» –
ანიტო ასე მღეროდა ხოლმე,
როცა თვრებოდა...
კარგი ქალი იყო ანიტო...
ცხოვრებაში
მთვრალი
არავის დაუნახია...

ციკლიდან «ჩემი სოფლის სასაფლაო»

მე რომ მიყვარდა,
ის სოფელი აღარ არსებობს,
მდინარის გაღმა გაკრეფილა,
გუგული ქედზე...
გრანიტის ქვებში ჩაკირულან მეზობლები და
ახლა იქიდან
ნაღვლიანად შემომცქერიან...

ესპანური სიმღერიდან

რაც უნდა ჩუმად იყო
და შენატროდე მიზანს,
ერთხელ იყვირებ ისე,
მტრისას,
მტრისას,
მტრისას...

ჩამოგენგრევა ბუდე
ყოფიერების ხიზანს
და შეიქნები ცუდად –
მტრისას,
მტრისას,
მტრისას...

არ მენალვლება სულაც
ის, რაც ვერაფერს მიზამს
და მივაჭენებ ულაყს –
მტრისას,
მტრისას,
მტრისას...

როგორც ავაზაკი...

როცა შენს შვილში მონსტრს დაინახავ,
და მიხვდები,
რომ ტყუილად გიცხოვრია,
მაშინ გამიხსენე, უფალო ჩემო...

როცა ბავშვი,
რომელსაც ნანას უმღეროდი,
და აქეთ-იქით ატარებდი მთელი ღამე,
რომ წუთით ჩაეძინა,

უცებ ისე გაიზრდება,
რომ პასუხს მასზე დაკარგული დროისათვის მოგთხოვს,
მაშინ გამიხსენე, უფალო ჩემო...

როცა შენი შვილი
შენი ნების აღსასრულებლად
ჯვარზე ავა...
მაშინ გამიხსენე,
უფალო ჩემო,
როგორც ავაზაკი,
რომელმაც უნებურად მონსტრი გამოზარდა...

როგორ დავარიგო?

დილით აღმოსავლურ სიბრძნეებს ვთარგმნიდი,
რალაცნაირი ბანალური და საყოველთაო რომ არის,
და მაინც სიბრძნეა,
თან, რატომღაც, სწორედაც რომ, აღმოსავლური...

საღამოს შემობოდივალდა
მთვრალი მეზობელი,
ჩემი თანატოლი,
ცოლის ცემაში შემჩნეული ლოთი
და მთხოვა, რომ ჭკუა დამერიგებინა...
მანამდე კი წვრილად მიმიყვანა თავისი გასაჭირი.
მითხრა, რომ მეორე მეზობელმა «კასოი» დაუძახა,
„ეგონა, რომ რუსულს ვერ გავიგებდი,
მე კი წავედი, ჩემი ბავშვობის სურათი გადმოვიღე და
ჩუმად დავტვიროდი...
ხომ გახსოვს,
რა ლამაზი ბავშვი ვიყავი,
თვალებიც როგორი სწორი მქონდა,
სანამ ასე დავმახინჯდებოდი...»
მახსოვს, როგორ არა,

მართლა ძალიან ღამაზი ბავშვი იყო,
თან ისეთი კეთილი,
სულ არ ეტყობოდა,
ცოლის მცემელი კაცი თუ დადგებოდა...
ახლა ცოლი გაქცევია,
შვილიც თან გაუყოლებია,
ეს კი ამბობს, რომ
ბენზინი მოამზადა კანისტრებით,
სალამოს სახლს გადაასხამს და ცეცხლსაც წაუკიდებს...
ოღონდ მანამდე
ჩემთან მოვიდა და
უკანასკნელად მთხოვს, ჭკუა დავარიგო...

რა ძნელია, იყო სოფლის ბრძენი,
როცა საკუთარი ცოლ-შვილიც არ გიჭერებს...

ის აღმოსავლელი მართლაბრძენი კი,
დილით რომ ვთარგმნიდი,
ასე გვეუბნება საუკუნეების მიღმიდან,
ჩემი ენით:
«ქალი მორიელია, ოღონდ კოცნატკბილი...»

ჩვენ ყველას ჩვენი ბავშვობის სურათი გვაქვს,
რომელსაც ჩუმად ამოვიღებთ ხოლმე
და დავტირით...

მე კი,
სოფლის ბრძენმა,
არ ვიცი,
როგორ უნდა დავარიგო
ჩემი ღამაზი, ნათელთვალება
ბავშვობის მეგობარი...

მეორე მეზობლისა

ეს მეორე მეზობელი
მოხუცი ქალია,
მშრომელი, ნაჯაფარი,
გარჯაში ჩამხმარი
მინდვრის ბალახივით...
ჩემს ბავშვობაში კი
უკვდავას ყვავილივით მშვენიერი იყო...
ახლა ყველაფერი დაავინწყდა,
მის არსებაში წარსულმა მთლიანად დაფარა
ახლანდელი,
როგორც მკვდარმა ჭაობმა ნელ-ნელა დაიკავა
აზრის სასიცოცხლო სივრცე
და შიგ მხოლოდ მოგონებები უბუყბუყებს
ანდა რამდენიმე მძაფრი ხსოვნა
დუმფარას თეთრი დროშასავით
დავინწყების ქონგურებზე გადმოკიდებული...
ბავშვობის სახლი
სწორედ ერთი ასეთი დუმფარაა...
ეუცხოვება სახლი, რომელიც თვითონ ააშენა,
სადაც ხუთი შვილი გამოზარდა,
სადაც მთელი თავისი ჯანი ჩააქცია...
როგორც კი ოჯახის წევრები თვალს მიეფარებინან,
გამოიჭრება, ჭიშკარს
საგულდაგულოდ გადარაზავს
და ზედაუბანში მიდის,
შინისაკენ...
რამდენიმე ნაბიჯში გზავარედინია,
გზავარედინთან შეჩერდება
და განწირული ყვირის,

ოღონდ ძალა აღარ ყოფნის და ყვირილის მაგიერ
ყელიდან საბრალო ხავილიდა ამოსდის:

«სახლში მინდა!

ჩემ სახლში წამიყვანეთ!»

ყველა მოგონება ჭაობშია ჩაძირული,
გონების ნანგრევები

წარსულს მთლიანად თავზე დამხობია
და ამ ნანგრევებში

ერთადერთი ხეა

ამოზრდილი:

«სახლში წამიყვანეთ!» –

მხოლოდ სულს ახსოვს თავისი ნამდვილი
სამშობლო

და წრიალებს...

მაგრამ ჯერჯერობით ვერსადაც ვერ მიდის

და გზაჯვარედინიდან

მეზობლები

სახლში,

თავისივე გადარაბულ ჭიშკართან აბრუნებენ..

ერთხელაც იქნება

ერთხელაც იქნება, ავდგები და ყველაფერს მოგიყვებით...
როგორ მანამებდა და როგორ მიყვარდა მე ეს
ყველაფერი...

ერთხელაც იქნება, ჩემს ქუჩაზეც მოვა გაზაფხული
და თვალში ნაცარივით

ტყემლის და ალუბლის ყვავილებს შემომაყრის...

ერთხელაც იქნება, რომ წვიმა ასე აღარ მეყვარება.

მე გავექცევი ფეხარეული,

ის კი ქუჩებში, ყოველ ნაბიჯზე გუბეებს დამიგებს
კაკანათებივით.

მაგის ჩიტი ვარ, შენ რომ დამიჭირო?! –

ერთხელაც იქნება, გავიფიქრებ

და, გამწარებული,

ელვის გალიის გისოსებს შევანყდები...

ერთხელაც იქნება, წვიმას ერქმევა ჟუჟუნა

და იტირებს და დაუსველდება ბალახის წამწამები...

ერთხელაც იქნება,

მოვა კორპუსის აივნებიდან გადმოკიდებული

ცნობისმოყვარე მეზობელი ქალების სეზონი...

აივნებზე დასხდებიან და თვალთვალს დაიწყებენ

წარმავლობის ეს მოციმციმე ჭუჭრუტანები

და წარმოდგენაც კი არ ექნებათ იმაზე,

რომ, თავის მხრივ, მათაც უთვალთვალებენ

ვარსკვლავები –

მარადისობის ჭუჭრუტანები...

მეზობელი ქალები არ კითხულობენ ნიკო სამადაშვილს,

მაგრამ ერთხელაც იქნება, წაიკითხავენ

და მიხვდებიან,

რომ თუ ვინმეს ვგავარ,

აღბათ ყველზე მეტად
ბულალტერს, რომელსაც ერთხელაც,
სწორედ გადამწყვეტ მომენტში დაავიწყდა ანგარიში
და ცას მიაშტერდა სამუდამოდ გახელილი თვალებით,
წვიმის
ნაღვლიან მახეში გახლართული...
ერთხელაც იქნება, შევიცვლები
და მივხვდები,
რომ უკვე ის აღარა ვარ,
ერთხელ რაც ვიყავი....



ამონარიდები (ლელა კოდალაშვილი, გაგა ლომიძე, შოთა იათაშვილი)

გიორგი ლობჯანიძე ერთ დროს ლექსიკა და ლექს კორექტული იყო. ეს შეიძლება პოეზიის მიმართ ბავშვური კრძალვითაც აიხსნას, როცა ჯერ ძალიან პატარა ხარ და ფრთხილობ – ზედმეტ ხმაურსა და აჟიოტაჟს უფრთხი... მერე და მერე, როცა მან მთარგმნელობით საქმიანობას მოჰკიდა ხელი, კორექტულობის შენარჩუნება აღმოსავლური კლასიკის იმ ნაწილთან თანაზიარობამაც განაპირობა, რომელთანაც მას შეხება უხდებოდა. არიან პოეტები, რომლებიც სანყის ეტაპზე ცდილობენ, გამომწვევები იყვნენ, რათა საზოგადოებას თავი დაამახსოვრონ, გამოირჩინენ... ისინი ლამობენ, შექმნან სტილი, ქვემიმდინარეობა, დიდი ხის რომელიღაც ტოტის პატარა ყლორტი მაინც. გიორგიმ კი თავიდანვე ამ ხის მერქნის ნაწილად ყოფნა არჩია, მასთან ერთად იზრდებოდა და ასე უფრო დაცულად გრძნობდა თავს, რადგან, როგორც ზემოთ ვთქვი, «ყვირილი» და «ახალი ყლორტის» იმიჯზე ზრუნვა უბრალოდ მის ბუნებაში არ იჯდა. მისი ლექსები მისსავე ცხოვრების წესს წააგავდა; იმ ცხოვრების წესს, რომელიც არანაირად არ ჰგავდა პოეტის ჩვენში დამკვიდრებულ ბოჰემურ ხატს არეული დღის რეჟიმით, არასტაბილური სამსახურით, პალტოზე აწყვეტილი ღილით და პერიოდულად ალკოჰოლის მძაფრი ლაიტმოტივით. ცხადია, მე მხოლოდ კატეგორიების დიფერენცირებას ვცდილობ და არავითარ შემთხვევაში არ ვაძლევ შეფასებას პოეტის ან ერთ და ან მეორე ტიპს. არადა, ჩვენში სწორედ უმართებულო გამორჩევა ხდება ხოლმე. ერთნი ბოჰემური, მეორენი კი აკადემიური სტილის

შემოქმედების მიმართ არიან ხოლმე სიმპათიით განწყობილნი, რაც არასწორი მგონია, რადგან ავტორი რა ფასადს მოირგებს და გაითავისებს, ეს მხოლოდ შემოქმედების ერთგვარი Modus operandi-ია, ხოლო არსი, საწვავი მაინც მასში ნიჭიერი საწყისია.[...]

მისი სიყვარულიც ხან ირანული ხალიჩასავით ჭრელია და გადაფენილი სხვათა თვალისთვის დასანახად, აღსაქმელი, დაუფარავი. (გასასწორებელია რაღაც აქ) ხან კი «უპასუხო, უხერხული, დასამალავია». აი, სწორედ ამ «ალოგიკურობის» გამო არ განიხილავენ პოეტის შემოქმედებას, როგორც აზროვნების პროდუქტს. თუმცა კი, იქნებ სწორედ ასეთივე ცვალებადია სამყაროც და ადამიანიც, როგორადაც ეს პოეტის შემოქმედებაში აირეკლება. ხოლო სტატიკური თეორიები კი სცოდავენ როგორც რეალობის, ასევე პოეზიის წინაშე...

ლობჯანიძის ლექსები იშვიათად «იმტვრევა» ნაწილებად. ჭირს სტრიქონების ამორჩევა, ციტირება... როცა რამის თქმა გინდა, ლამისაა, მთლიანი ტექსტის ციტირება გინწევს, რადგან უმეტესად ნარატივს ვაწყდებით. ეს ან ადამიანის თავგადასავალია, ან თვალსაზრისის, იდეის, ცნების, რომელსაც თავად აგნებს ავტორი და შემდეგ მისი ერთგვარი დასაბუთებითაა გართული. იშვიათად «ისვრის» მოკლე განმარტებებსა თუ მოსხეპილ მეტაფორებს. უფრო ტრადიციული ლექსის სტრუქტურას იცავს – მზარდი მუხტითა და ემოციური ფინალით.

ლელა კოდალაშვილი

ამქვეყნად ყველაფერს სივრცის მოწყობის თავისი ლოგიკა აქვს. ამ მხრივ არც წიგნებია გამონაკლისი. და თუკი ამ თვალსაზრისით შევხედავთ გიორგი ლობჯანიძის ლექსების კრებულს «არაბულის მასწავლებელი»,

რომელიც აერთიანებს მის მიერ დღემდე შექმნილ რჩეულ ლექსებს, მაშინვე თვალში მოგვხვდება, რომ თავისი ამ მეტად გულახდილი, სიმბოლოებით დაშიფრული კრებულის საწყის ლექსად, როგორც ჩანს, პოეტმა სრულიად არაშემთხვევით შეარჩია ლექსი «გაცნობა», რომლის სათაურიც თითქოს ლირიკული ამბისთვის შეგვამზადებს, მაგრამ სინამდვილეში ხელში გვრჩება ყოფიერების ილუზიების მსხვრევის სურათი. ესაა ლექსი, სადაც სემიოტიზაციის პროცესი დესემიოტიზაციით ირღვევა და სიტყვები და საგნები ერთმანეთთან იგივეობრიობას კარგავს. [...]

თავის დროზე ჯონ კიტსი ბუსტად მიუთითებდა წარმოსახვაზე, როგორც ისეთ სფეროზე, რომლის საშუალებითაც სინამდვილე ესთეტიკურ მნიშვნელობას იძენს: «წარმოსახვა ადამის სიზმარს ჰგავს, გაიდვიდა და ცხადში იხილა ის». ამ რიგის მოვლენებად შეგვიძლია მივიჩნიოთ ყოველდღიურობის გაპოეტურების ან არარომანტიკულში რომანტიკულის მოხელთების არაერთი შემთხვევა გიორგი ლობჯანიძის პოეზიაში, სადაც პროზაული ოჯახური დრამა პოეზიად იქცევა («დიდების ზღაპარი»); ჩვეულებრივი მოვლენები უჩვეულო საბურველში წარმოგვიდგება («სიყვარული-ქუდბედიანი»); სასიყვარულო ლირიკის კონვენციების პაროდია («ლოტოსის ზანზალაკი») ან შაჰიდი ქალების თვითმკვლელობა და ტერორისტული აქტი სიყვარულის ამაღლებულ, ესთეტიზებულ გამოხატულებად გარდაიქმნება («შაჰიდები»). ამიტომაც უკავშირდება პოეზია poesis-ის გაგებას და იმთავითვე გულისხმობს სამყაროს, როგორც ჩემი ნაწილის ხედვას, სამყაროს გა-თავის-ებას: «ჩემი მეგობარი თვალეზად იქცა/ და მთელი სამყარო შიგნით მოიქცია...» («მეტამორფოზა»).

გაგა ლომიძე

მონესრიგებული და თანმიმდევრულია გიორგი ლობჯანიძე, რომლის შემოქმედებამ ბოლო წლებში ძალიან იცვალა ფერი. მისი აზროვნება უფრო რადიკალური გახდა. თუ ადრე აღმოსავლურად დეკორატიული და მონესრიგებული იყო, ბოლო პერიოდში სულ სხვანაირი სიმძაფრე შეიძინა. შეიძლება რამდენიმე წლის წინ დაწერილი «არაბულის მასწავლებელი» გაგვახსენდეს, ან ლექსი გასუქებულ შეყვარებულზე, მაგრამ მერწმუნეთ, ამ პერიოდის შემდეგ მისი ლექსები კიდევ უფრო რადიკალური და «არაპოლიტიკორექტულიც» კი გახდა. ოღონდ, უნდა აქვე უნდა დავაზუსტო, რომ ეს არ არის პირველი აღმაფრენით გამოწვეული ახალგაზრდული რადიკალიზმი, ეს დაღვინებული ავტორის პროტესტია.

შოთა იათაშვილი

კლასიკური სპარსული პოეზიიდან

სპარსულიდან თარგმნა გიორგი ლობჯანიძემ

რეზიუმე

აბუ საიდ აბოლ ხეირი (967—1049)

* * *

აფსუს, არავის ძალუძს ჩემი დარდის მიგნება,
არავინ იცის, სახე ყვითლად რატომ მიქრება,
სატრფოვ, ტრფობისგან მადგას მთელი განამანია,
სანამ მომხედავ – ჩემი მტვერიც აღარ იქნება.

* * *

ჩემი მიჯნური გულს სულ გესლის მახვილით მიპობს.
ვვედრი – ნუ მქოლავ შხამიანი სიტყვების ქვითო! –
რადგანაც გულში თვითონ იგი მიზის დღედაღამ,
ვშიშობ, მახვილი თავის თავს არ აძგეროს თვითონ.

* * *

რამდენჯერ დავდე და გავტეხე აღთქმა, ვინ იცის...
აღთქმაც შეღონდა, ველარ უძლებს ჩემს ამდენ ღლიცინს,
გუშინ ავდექი და ფიალა ფიცით გავტეხე,
დღეს კი ავდექი და ფიალით გავტეხე ფიცი...

* * *

შენს თვალებთან არც გავიხსენებ სხვა ნარგისს,
მდაგველს,
უმაგშენლალოდ ქაუსარიც^[1] არ მჭირდება ნაგვემს,
ხიზრმა^[2] უშენოდ უკვდავების წყალიც რომ მომცეს,
ურწმუნო ვიყო, თუ უშენოდ შევახო ბაგე.

* * *

შენ მაგონდები ბედნიერს თუ უბედურს მეტად,
ვზივარ თუ ვდგავარ, სულ შენს სახელს ვახსენებ, ნეტარს,
შენი ხსენება ისეთ ზნედ და წესად დავიდე,
რასაც ვუყურებ, ყველაფერში შენს სახეს ვხედავ.

* * *

ვის დავუმალო ტრფობა, როცა ასე ცხადია,
რით ვუმკურნალო მწვავე სნებას, თუ სახადია,
მწადია, გულმა შენ კი არა, სხვა მოინდომოს,
მე კი მსურს, მაგრამ, რა ვქნა, გულს რომ არა სწადია.

* * *

ნუ მკიცხავ, მოლავ, ღვინოს თუ ვსვამ, ნუ მებუტები,
თუ კი სმასა და სიყვარულში გამდის წუთები.
როს ფხიზელი ვარ, მუდამ უცხო, სხვა ხალხთან ვზივარ.
როცა დავთვრები, სატრფოს მკლავებს ჩავეხუტები.

* * *

რაც იფთა შიშით ვერ მოვდივარ, სადაც ბინადრობ,
ჩვენი ჟამია ჟამის გარე, დროის წინა დრო,
ენა ჩავიგდე და შინიდან აღარ გავდივარ,
მაგრამ ის კი არ შემიძლია – აღარ გინატრო.

* * *

იმ საიდუმლოს, რასაც ღამით გამიმხელ მართალს,
ენა ვერ იტყვის, შევაყოვნებ ბაგეთა კართან,
ეგ თავი სიტყვის საყელოში ვერ გაეტევა,
სათქმელის პერანგს მეტისმეტად ვიწრო აქვს კალთა.

* * *

ბედი არ არის, რომ მიჯნურთან შერწყმით ვიხარო,
თმენა არ არის, რომ გავუძლო ტრფობას მიღვარულს,
ხელი არ არის, რომ მე – ხელმა – თავში ვიხალო,
ფეხი არ არის, გაგექცე და გადაგიყვარო.

* * *

განკურნებას არც გავიფიქრებ შენი სნებისგან,
არც რწმენას ვეძებ ზილფში შენი შავი თმებისა,

სულო, სულიც რომ გამომთხოვო, ალალი იყოს,
სულს რას დავუჭერ მას, ვისგანაც სული მეღირსა.

* * *

სანამ არ დაწვავ ყოველს, რითაც უნდა გეხარა,
ვერ გაგიბრწყინებს არსებობას მანამ ველარა,
ერთ გულში ორი სიყვარული ვერ დაეტევა,
თუ მე გნადივარ, დაივიწყე მთელი ქვეყანა.

* * *

შენი ნაღველით მხიარულობს ქვეყნად რამდენი,
არვის დასწყვიტო გული, შენი დარდის დამტევი,
დედამინაზე შენი დარდით თავრეტდასხმული,
დავდივარ როგორ მტვრის ბული და კორიანტელი.

* * *

იემენში ხარ, მაგრამ ჩემთან, ჩემი ლხენა ხარ,
ვინც იემენში არის, ჩემთან როგორ მენახა?
აი, მე შენთან, მშვენიერო იემენელო,
ვარ და ვერ ვხვდები – მე შენ ვარ თუ ეს მე შენა ხარ.

* * *

ცოდვის სიმძიმით მოვიხარე წელში იმდენად,
ღმერთო, ჩაჭიდე ხელი, ქცეულს ცოდვის ზვირთებად,
თუ ჩემს ქცევაში არის, რაც შენ არ გეკადრება,
შენს სიქველეში ხომ ის არის, რაც მე მჭირდება?

* * *

შორს გადახვეწილს, შენთან შეყრის ვინ მომცემს ლხენას,
სად მარგალიტი და სად კიდევ ჯინჯველის თმენა?
თუმც დაბუგვის და ნაცრად ქცევის არა მაქვს შიში,
სად სინას ცეცხლი, სად საბრალო ფარვანას ფრენა?

* * *

მეტრფე ყოველ წამს თავის სატრფოს დარდით დადნება,
სატრო კი მუდამ ჟინს შეაფრქვევს მიჯნურს შადრევნად,
ჩვენ თუ ცოდვას ვიქმთ, ის – სიკეთეს და მოწყალებას,
ქვეყნად ყოველი იმას იზამს, რაც ეკადრება.

* * *

ჩვენს დანახვაზე მტერს სიავის ეცემა ბნედა,
თითო ნაკლს ჩვენსას ხედავს ასჯერ დიდად დ მეტად,
ჩვენა ვართ სარკე და ყველა, ვინც შიგ იყურება,
ავს და კარგს, რასაც არკვევს, თავის თავშივე ხედავს.

* * *

გინდა, რომ ღმერთმა კარგი მოგცეს, ცხოვრების ხიზანს.
ანგლობთ სულნი გელტვოდნენ ვით სასურველ მიზანს? –
ან ისა ჰქენი, რაც ჯერ არს და მას უჩანს სათნოდ,
ანდა დასჯერდი იმას, რასაც თვითონვე გიზამს.

* * *

ჩემს თავზე ჭმუნვა ნავარდობს, ვით ფრთამალი რაში,
თავს ქვა-ღორღით მომემსხვრევა ნალველი, აშიკს,
სამშობლოსაგან მოწყვეტილი ვარ უცხოეთში,
ვით ლომი ზღვაში ანდა როგორც ვეშაპი მთაში.

* * *

როს გულმრუდე ხარ, სახეს მიწას რას ახლი, ხამო,
გულს თუ უნია შხამმა, საშველს რითიღა ლამობ,
გარეგნულად კი მოკაზმულხარ ახალ სამოსში,
ბინძურ გულს მალავს, რა ფასი აქვს ქათქათა სამოსს?

* * *

ძაფი, რომელიც შენი ნერწყვით დაინამება,
შენი კოცნა რომ ცრემლს მოადენს ღვინის ჯამებად...

გადაფლეთილი გული იმით გადამიკერე,
ეგების ასე დაუამდეს ტანჯვა-წამება...

* * *

ტკბობას სინჯავდე ახალ-ახალს მთელი სიცოცხლე,
სატრფოს ეკვროდე მთვარის სახას მთელი სიცოცხლე,
რადგანაც ბოლოს, გამგზავრების ჟამს აღმოჩნდება,
სიზმრად ხედავდი, რაც გინახავს, მთელი სიცოცხლე.

* * *

გულის ტრფობის გარდა სხვა გზა არ სურს გზადა და
ხოფად,
სულს ტრფობის გარდა სხვა ზმით არ სურს საუბრის მკობა,
შენმა ტრფიალმა მლაშობ მიწად მიქცია გული,
რომ აღარასდროს ეყვავილა იქ სხვათა ტრფობას.

მირ ნოსრათ ქერმანი (XII ს.)

* * *

ვაგლახ, ყოველი, რაც მოვიგე ცრუმ და მკვეხარამ,
წაგებულია; ვერც შეცნობილს ვიცნობ ველარას,
შორს გადავყარე ის, რაც უნდა ხელში ამელო,
ხელში ავიღე ის, რაც უნდა გადამეყარა.

ქამი ესფაჰანი (XII ს.)

* * *

მარტის ღრუბელი ვერ იტირებს სულ ხელაღებით,
ბულბულის ხმით ვერ ივალალებს ვარდის ბაღები,
ჩემი თვალივით, ცრემლი რომ სდის მიჯნურის დარდით,
ჩემი გულივით, სულ რომ ოხრავს სატრფოს ნაღველით

ფერიდ ად-დინ ათთარ ნიშაბურელი (1119—1230)

* * *

როდის დადგება შეყრის ღამე, ჩემო ბაგენო,
ასი ათასი მწველი კოცნის სიტკბო გაგემოთ,
ჩემს ყოველ წამწამს ნემსად ვაქცევ, რათა ის ღამე
მეორედ მოსვლის გარიჟრაჟზე გადავაკერო.

* * *

დიახ, ერთ სატრფოს, გულცოცხალ კაცს ეძებს ათარი,
ტრფობით დამწვარი დამანახეთ – ქვეყნის ბადალი,
რადგან სუყველა საკუთარი ზრახვის მონაა,
ორსავ სოფელში უფლის ნადდი მონა სად არის?

სარმად ქაშანი (მოკლეს 1080 წელს)

* * *

ბედს ვერასოდეს დამორჩილდა გული მკვებარა,
ვერ დაიცალა სჯა-ბაასის ლტოლვით, ვეღარა,
ახალგაზრდობა გაგვიფრინდა, სურვილი დარჩა,
დავბერდით, მაგრამ ვნება როდი ჩამოგვეღალა.

* * *

სატრფო მარიდებს ლამაზ თვალებს, – რაღა ვიღონო?
კვნესას ვერ ვასმენ არემარეს, – რაღა ვიღონო?
თუმცა მუდმივად გულში მიზის, მაინც არ იცის,
გულში რა ცეცხლი მიტრიალებს, – რაღა ვიღონო?

ონსორი (მე-10 ს.)

* * *

რადგან ყველა საქმე მიდის – გინდ ცრუ, გინდა ნაღდი,
წამით გინდა უბედური, გინდ სვიანი გახდი,
წამის შემდეგ რაკი სხვაგან გაგიშლიან ლოგინს,
ბრძენკაცისთვის სულერთია, კუბოა თუ ტახტი

ოუჰად ედ-დინ ქერმანი (მე-11 ს.)

* * *

ტრფობა ზეციდან ჩამონვდილი მადლის პეშვია,
უსიყვარულოდ ყოფნა დიდი სიუხეშეა,
ტრფობა აცოცხლებს ქვეყანას და სოფლის ბინადართ,
ვინც სიყვარულით არა კვდება, ისეც ლეშია.

თაღებ ამოღი (მე-10 ს.)

* * *

შენი თვალები მთელ სამყაროს კლავენ ცდუნებით,
მშვენიერებით ირემს ჰგვანან, ლომს კი ბუნებით,
ვერვინ გაივლის შენი მზერის სამფლობელოში:
წამნამებს წელზე ხმლები აკრავთ, გაბასრულები.

ყაზაღები

ჰაფეზი (გარდ. 1389 წ.)

* * *

ზილფს ქარს ნუ მისცემ, რათა მეც ქარს არ გამაყოლო,
ტანს ნუ მიარხევ, რომ მიწად არ მაქციო ბოლოს;

ღვინოს ყველასთან ნუ სვამ, რომ მე გულის სისხლი არა
ვსვა,
ნუ მეურჩები, ცას რომ მოთქმა არ გავაგონო.

რკალად ნუ შეკრავ ზილფს, ბორკილში რომ მომაქციო,
ნუ იხუჭუჭებ კულულს, ქარს რომ არ გამაყოლო.

ნუ შეიყვარებ სხვას, რომ თავი დამაკარგვინო,
სხვებზე ნუ დარდობ, მე რომ სევდას არ დამამონო.

აინთე ღაწვი, რათა ვარდი აღარ დამჭირდეს,
ტანი აშოლტე, ჩემთვის ყველა აღვის ხის სწორო!

სანთლად ყველას ნუ აენტები, რომ მე არ დამწვა,
და რომ მახსოვდე მუდამ, ხალხი არ მოიგონო!

ქალაქად სახელს ნუ გაითქვამ, რომ მთას გამხიზნო,
შირინივით ნუ ღელავ, ფარჰადს არ შემასწორო.

შემიბრალე და გაიგონე ჩემი ძახილი,
ჩემს ხმას მიწაში ნუ გაატან ქარების ქოროს.

ჰაფეზმა შენი დარდისაგან იქცია პირი,
თავისუფალი მაშინ ვარ, როს შენ გმონებ მხოლოდ.

ჯალალ ედ-დინ რუმი (1207—1273)

* * *

მონა-ყმა ვარ მთვარისა და ნურას მეტყვი მთვარის გარდა,
სანთლისა და შაქრის გარდა, ნუ გამიშლი სიტყვის
ფარდაგს,

ტანჯვის სიტყვას ნუ მომასმენ, მხოლოდ განძის სიტყვა
მითხარ,

და თუ ამის არა იცი, ნუ მოჰყვები უქმად ჭარტალს.

მე წუხელის შევიშალე, ტრფობამ მნახა, ასე მითხრა:
აჰა, მოველ, ნულარ კვნესი, სამოსს ნუ ფლეთ კალთა-
კალთა.

ვუთხარ: ჰოი, სიყვარულო, მე სხვა რამის მეშინია.

მრქვა: არ არის ის სხვა რამე... არ თქვა რამე, რაიც
გშთანთქავს.

მე შენ ყურში საიდუმლოდ გიჩურჩულებ მრავალ სიტყვას,
– დიახ, – თავი დამიკარი, თავად გავიგონებ ნათქვამს.

მთვარე, სულის ბუნებისა, გულის გზაზე ამობრწყინდა,
გულის გზაზე სიარული რა შვებაა! მოჰგავს ფართქალს...

ვკითხე: გულო, რა მთვარეა ეს? – და გულმა მიმანიშნა:
შეეშვი, შენ ვერ დაიტევ ამას! გიჯობს, სიტყვა არ თქვა...

ვთქვი: ეს სახე ანგელოზის სახე არის თუ კაცისა?

– ანგელოზს და კაცის გარე, სჯაბნის იგი ორივე მათგანს!

ვკითხე: მაშ, რა არის, მითხარ! სადაცაა, გავილევინ...

მითხრა: ასე გაილიე და არა თქვა იმის კართან...

ხატებით და ოცნებებით სავსე ამ სახლს რას უზიხარ,

ადექ, წადი ამ სახლიდან, ბარგი შეჰკარ ალთა-ბალთა.

ვუთხარ: გულო, მამად მექეც! ეს ღვთის ხატი ხომ არაა?

მითხრა: არის, მამის გულო! თუმც არ თქვა, რაც

დაგემართა...

* * *

სულის სიღრმით შენც ქურდულად მეპარები, როგორც
სული,
ჩემი ზვრების სარო შენ ხარ, ჩემი ბაღის სიხარული.
ნუ დამტოვებ, არ წახვიდე, სულო, მარტო, უსხეულოდ,
თვალიდან ნუ მომცილდები, ცეცხლის ალი, გაბადრული.
მე შვიდ ზეცას გადავკეცავ, შვიდ ზღვას ფეხით გადავივლი,
რომ მამაცად მოიხილო ჩემი დაუდგრომი გული.
მეგზურიც ხარ, გზის ყაჩაღიც, ეს კიდეც ხარ და ის კიდეც,
ჩემო უსასრულო შუქო, შენი მზით ვარ გათანგული.
რაც შენ გპოვე, რწმენაცა და ურწმუნობაც ჩემი ყმაა,
შენი ხილვა რწმენაა და შენი სახე ჩემი რჯული.
შენ წამართვი ხელიც, ფეხიც, ძილიცა და მოსვენებაც,
მოდო მთვრალი იოსები, ქანაანით წამოსული.
შენი მადლით სულად ვიქეც, ჩემივე თავს დავემალე,
შენი არსი არის ამ ჩემს არსებაში ჩამალული.
თვალნარგიზო, შენი ეშხით მოიძარცვა ვარდმა კაბა,
შენ ხარ ჩემი უსასრულო ბაღი, რტოებამოსხმული.
თუკი წამით მწველად მდაღავ, მეორე წამს მაქცევ ბაღად,
წინ ჩირაღდანს მინთებ თაღად, რომ მომწმინდო თვალზე
რული.
სული ქარით ატაცებულ ნაწილაკად მექცა, როგორ
შევიკავო თავი? – შენ ხარ ჩემი დასაყრდენი სრული...

* * *

თუკი ვინმე მზეზე გკითხავს,
დაანახე სახე – «ასე!»
თუ მთვარეზე გკითხეს,
ბანზე ამობრწყინდი მოკისკასე.
თუ ფერია გთხოვა ვინმემ,
მიაგებე სახის ბრწყინვა,

ვინმემ მუშკზე თუ თქვა სიტყვა,
დაადევნე ზილოფის ხაზებს,
თუკი გკითხეს:
«მთვარე, ნეტავ,
როგორ დაუსხლტება ღრუბელს?»
უპასუხე: აი, ასე! –
ჩაიხსენი კაბის უბე.
თუკი ვინმემ გკითხა: ქრისტე
ცხედართ როგორ აღადგენდა?
მის წინ ტუჩზე დამეკონე,
უპასუხე აი, ასე!
ვინც კი გკითხავს,
სიყვარულით მკვდარი
ნეტავ როგორია:
უპასუხე, როგორც ესო! –
ჩემი სული შესთავაზე!
ყოველი მხრით, სადაც ტრფობის
გოდების ხმა მოგესმება,
ჩვენი ხმაა და ჩვენს ამბავს
ღმერთს შევსტირით, უძვირფასესს...
ბრმაა, ვინაც ამბობს: კაცი
უფალს როგორ დაინახავს!
ყველას წმინდა კელაპტარი
მიეც ხელში:
«აი, ასე!»

საღვა ან-ნუაიმი



საღვა ან-ნუაიმი (დაიბადა 1965 წელს) სირიელი ჟურნალისტი, პოეტი და მწერალი.

ახალგაზრდობიდან

ემიგრაციაშია. ცხოვრობს

პარიზში და არის პარიზის

არაბული ინსტიტუტის

არაბულენოვანი გაზეთის

სარეკლამო განყოფილების

მთავარი რედაქტორი.

გამოცემული აქვს ლექსების 11-

მდე კრებული და

ბელეტრისტული ნიმუშები. მისი

რომანი «თაფლის სამხილი»

გამოსვლისთანავე

ბესთსელერად იქცა და წიგნის

არაბული სააგენტოს ცნობით, გაყიდვების რეიტინგის მიხედვით, დღემდე ერთ-ერთ პირველ ადგილზეა. რომანი მაშინვე ითარგმნა და გამოიცა ევროპულ ენე ბზე. დღემდე გამოცემულია 18 ენაზე. დღის სინათლეს მალე წიგნის ქართული თარგმანიც იხილავს. გამომცემლობა «წიგნები ბათუმში» დაიწყებს ძალიან საინტერესო პროექტს «ახალი და უახლესი არაბული პროზა». ეს რომანი ამ პროექტის ერთ-ერთი წიგნია, რომელიც გიორგი ლობჯანიძემ არაბულიდან თარგმნა.

საღვა ან-ნუაიმ ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნა, რომ მისი მიზანი გარყვნილი და სკანდალური ნაწარმოების

*შექმნა კი არ ყოფილა, არამედ სურდა, გონიერი
მკითხველისათვის თავისი ინტერესები და გამოცდილება
გაეზიარებინა.»*

თაფლის სამხილი

(ერთი თავი რომანიდან)

არაბულიდან თარგმნა გიორგი ლობჯანიძემ

10. აღზრდა-განათლების კარი

მოაზროვნე რომ გავიცანი, ცეცხლიც მაშინვე აბრიალდა. ერთხანს მწვავდა, განსაკუთრებით, მისი წასვლის შემდეგ. განა ეს იყო საფასური, რომელიც ჩემს იმ საკვლევადიებო მოგზაურობაში უნდა გადამეხადა, რაც მასთან გავიარე? განა ეს იყო საფასური, რომელიც უნდა გადამეხადა, ვიდრე სიცოცხლეს დავუბრუნდებოდი? ვიდრე მივიდოდნენ ახალი მოაზროვნეები და ჩემს ძიებებს მათთან განვაგრძობდი.

ძველებისაგან შემორჩენილა ის, რაც ერთი დედაბრის თავისი შვილისათვის მიცემულ რჩევაზე მოუყოლიათ. ამ დედაკაცს მანამ, სანამ ქმართან გაისტუმრებდა, უთქვამს თავისი გოგოსათვის: შვილო, ერთ რჩევას მოგცემ, თუ გაიგონებ, ბედნიერი იქნები, საამური ყოფა გექნება და ქმარიც გეყვარება: როცა შენკენ შენი ქმარი ხელს წამოიღებს, იწივლე, იკივლე, მოეშვი და თავი უღონოდ და ძალაგამოცლილად მოაჩვენე. თუ ძუძუებზე ხელს წაგავლებს, ხმამალლა დაიყვირე, ხოლო როცა შეგიდებს, ტირილი მორთე და უწმანური სიტყვა მიაძახე. ეს გამახურებელია ტყნაურისათვის და ყლესაც უფრო მაგრად აყენებს. ხოლო როცა დაინახავ, რომ გათავებას მიუახლოვდა, დაიკვნესე და უთხარი: შემითავე კარავში და მუხლით გადამალე. და როცა შეგიტავებს, ცოტა ხანს ქვეშ გაუჩერდი, მერე მიეხუტე, დაუყვავე, აკოცე და უთხარი: ჩემო ბატონო, რა საამოა შენი ტყნაური!

დედაჩემს ჩემთვის მსგავსი რამ არასოდეს უთქვამს. ამისი ნაწილის ნაწილიც კი. იმითაც ვპილპილდებოდი, რაც მასწავლა და ამაზეც დავცინოდი. ეს კი იყო ის, რომ თვით ზეციური ანგელოზებიც კი ერთმანეთს უცვლიან კოცნას. ამისი აზრი იყო ის, რომ ჩვენ, დედამიწის მკვიდრთაც შეგვიძლია ერთმანეთს ვაკოცოთ! მისი სიტყვების უფრო დახვეწილი თარგმანი კი ასე ჟღერდა: შეგიძლია, აკოცო მეზობლის ბიჭს, რომელიც გეარშიყება, იმ პირობით, თუ კოცნას იკმარებ და ამას არ გადასცდები!

ამიხსნა ეს და, რა თქმა უნდა, მეც ყველაფერი ეტაპობრივად გავიარე. ხმამალლა გავიცინე და თავში ამომეკვეთა წინადადება: როცა ოჯახის წევრები ამ საქმეების აზრზე მოვლენ, შვილები ამასობაში სხვა გალაქტიკაში იქნებიან გადასულნი. ვინც სცემა, სცემა და ვინც გაიქცა, გაიქცა! ანეკდოტი გვიყვება, რომ მამას უთქვამს ვაჟისათვის: უკვე დიდი ხარ და შეგვიძლია, ფაქიზ საკითხებზე გულახდილად დავილაპარაკოთო. ვაჟს დამცინავად მიუგია: კარგი, მითხარი, აბა, რა შეკითხვები გაქვს ისეთი, რომელთა პასუხებიც ვერ მოგიძებნიაო! ჩვენ ჩვენს მშობლებზე მეტი ვიცოდით, ჩვენს შვილებს კი ჩვენზე მეტი ეცოდინებათ! დედაჩემს რომ ის წაეკითხა, რაც მე წავიკითხე იქიდან, არაბებმა რომ კოცნის შესახებ წერეს, ნებართვის მაგიერ, ამ რჩევას მომცემდა:

იცოდე, რომ კოცნა პირველი ამგზნებია ვნებისა და იშტისა და ის არის მიზეზი აბრიქებისა და გადაფარჩხვისა. მისგან ადგებიან ყლენი და აღეგზნებიან მუტელნი, მით უფრო, თუკი კაცი ორ კოცნას შორის მსუბუქ კბენას და სუსტ ბნკენასაც გამოურევს.

გულისხმიერი დედა, რომელმაც იცის, რომ მისი აზიზი ქალიშვილი ამას სატყნაურო წიგნების გარდა, სხვაგან ვერ

იპოვნის, ამას არ დასჯერდება და რჩევები, რასაც მას საქორწინოდ მისცემს, ამაზე ნაკლები მნიშვნელობისა არ იქნება! ზოგ წიგნში კი ვხედავთ, რომ მამა ასრულებს იმავე როლს, როცა რჩევა ვაჟიშვილს სჭირდება.

ჩემი სიყვარული კი არ დასჯერდა ქალაქის ქალების – როგორც მათ წიგნებში უწოდებენ «გუმბათებისა და საცრების» სწავლებას და თავისი ცოდნის ნაღები შესთავაზა საკუთარ ძეს, რომელმაც ერთ დღეს ჰკითხა: დედი, რომელი მდგომარეობა უფრო მოსწონთ ქალებს, როცა კაცები ეუფლებიან? მიუგო: შვილო, თუ ქალი ჩემსავით ხნიერი იქნება, მუხლებზე წამოაჩოქე და ღაწვი მიწაზე დაადებინე, მერე მისცხე და შიგნით ბოლომდე შეუყვანე! ხოლო თუ ყმაწვილი ქალი იქნა, მუხლები მკერდთან მიუგროვე და მაშინ მიაღწევ იმას, რაც გნადია, და მიიღებ მისგან შენს სასურველს!

მე არავინ არაფერს მასწავლიდა. არც დედა, არც მამა და თვით უფროსი დაც კი. არავის არაფერი განუმარტავს. არასოდეს, არავის, არაფერი. ჩემი თეორიული სქესობრივი აღზრდა წიგნებიდან, ფილმებიდან, ანეკდოტებიდან, ჩემ გარშემო მყოფ ქალებზე და კაცებზე დაკვირვებიდან მოვიდა. პრაქტიკულად კი, მე მარტოდმარტო უნდა შემესწავლა: გამოცდილებითა და შეცდომით, თანდათან და ფრთხილად. ძალიან ნელ ცეცხლზე გამოვიწვი, უმეტეს წილად სრულიად მინავლულზე. და ეს ანეკდოტი არაა.

დიახ, ჩემი სქესობრივი აღზრდა დავიწყე წიგნიერად და კინემატოგრაფიულად: რომანები, ჟურნალები, ფილმები და სერიალები. სექსუალური? სულ მცირე, სასიყვარულო, არაბული ტრადიციული თეორიის ცოდნისა და სქესობრივი ცხოვრების პრაქტიკული კულტურის გამოზომილ ყლუპებთან ერთად. პორნოფილმებსა და სექსუალურ

წიგნებსა თუ ჟურნალ-გაზეთებს კი მხოლოდ ფრანგულად, ჩემი პარიზში გამგზავრების შემდგომ გავეცანი!

ამ უმეცრებაში მე მართო არა ვარ. როგორც ჩანს, ეს უმეცრება ფართოდაა გავრცელებული სექსუალური დაცემის იმ ეპოქაში, რომელშიც ახლა ვცხოვრობთ. ინტერნეტში ელექტრონული გაზეთის გვერდზე საკმარისია, სექსუალური შეკითხვები ჩავიკითხო, რომ მაშინვე აღმოვაჩინო საყოველთაო არაბული სქესობრივი სისუსტე. წარმომიდგენია, სპეციალისტი ექიმი როგორ იგლეჯს თმას, როცა მასთან მოსაუბრე მკითხველებს პასუხობს. ის, რაც გონებაში გაგიელვებს, მაგრამ არსად გამოკრთის შეკითხვებში, ადამიანის ანატომიის ელემენტარული უცოდინრობაა. და როგორ შეგვიძლია სექსუალურ აღზრდაზე ვისაუბროთ ამ ვითარებაში?

გუშინ საქალწულე აპკის შესახებ დასმული შეკითხვაზე, ამ ექიმმა პასუხი მემილიონედ პირდაპირ ყვირილით მიახალა პირში ერთ აღტყინებულ მკითხველ გოგოს: არაბულ სამყაროში საქალწულე აპკის ძებნა თივის ზვინში ნემსის ძიებას დაემსგავსა, ხოლო მოლოდინი იმისა, რომ გოგონები ჯასადი სექსუალური კულტურით ისარგებლებენ, გოდოს მოლოდინად გვექცა. მე კი ჩემს თავს ვეკითხები, როგორ შეუძლიათ ამ გოგონებს თან «ლიმონის კვირტები კეკლუცობის სათუთ ფურცლებზე» იკითხონ და თან სექსუალურობის ქვის ხანაში ცხოვრობდნენ?

უკეთეს ვითარებაში არც ყმანვილკაცები ბრძანდებიან. მხოლოდ ასოს მოცულობით საღერღელაშლილი მათი შეკითხვებიც კი შევა შედარებითი სტატისტიკის სახელმძღვანელოებში.

ყოველ ჯერზე, რაც უფრო მეტ შეკითხვას ვკითხულობ, ჩემთვის გამბობ ხოლმე: ის, ვინც ძველ სექსუალურ

წიგნებს კითხულობს, შეუძლებელია, ასეთ თეორიულ და პრაქტიკულ სიჩლუნგეს განიცდიდეს. ამიტომაც საჭიროა ამ წიგნების მზის სინათლეზე გამოტანა.

გასაიდუმლოებული ვითარებიდან გასაჯაროებამდე, საჭიროა მათი შიშიდან მათ აღიარებაზე გადავიდეთ. მათი საბურველით დაფარვიდან საბურველის ახდაზე.

ეს იდეა იქნება ჩემი გამოკვლევის დასასრულიც.

შევთავაზებ ამ წიგნების არაერთხელ ხელახალ გამოცემას, მათ გავრცელებას, პოპულარიზაციასა და შესწავლას.

არაბული ენის განყოფილებაზე, ჩვენს პროფესორებთან და მოძღვრებთან ამ წიგნებზე გადაკვრითაც კი არაფერი გვსმენია. მათ მე ჩემით გავეცანი, მარტოდმარტო, ჩემი განსაკუთრებული მონდომებისა და შემეცნების წადილის წყალობით. ახლა, როდესაც მათზე ვსაუბრობ, ჩემ გარშემო იშვიათად აღმოვაჩენ ხოლმე იმას, ვინც წაიკითხა ისინი და შეინავლა. როცა ამ იშვიათთაგან ერთ-ერთმა, წლების წინათ, ერთ ლიტერატურულ ჟურნალში გამოაქვეყნა ერთ ძველ სექსუალურ წიგნში ასახული მამაკაცის სასქესო ორგანოს არაბული სახელწოდებები, საქმე თითქმის სკანდალამდე მივიდა: ჟურნალს კითხულობდა ყველა, წიგნები კი მათი მკვლევრების მეტს არავის ენახა.

ფრანგული ბიბლიოთეკის დირექტორმა ერთ-ერთ ნახევრად ოფიციალურ წვეულებაზე თქვა, რომ ღვინის ბოთლი და ქალი წამოწოლილი სჯობსო. მისი ღია სექსისტური განცხადება ყველამ ერთხამად დაინუნა, მე კი ვიფიქრე იმაზე, რაც აზრადაც არ გაუვლია დირექტორს, ხოლო მე კი გულში გამიელვა, რომ ცხოვრება სწორედ წამოწოლილმა შევისწავლე. იმას არ ვგულისხმობ, რომ ვინეჯი და ისე ვსწავლობდი. განათლება ინტენსიურად მოდიოდა ჩემთან სწორედ მაშინ, როცა მამაკაცის მკლავებში ვიყავი.

გუშინ ჩემი კოლეგის, ფადიას სამუშაო ოთახში, ვუყურებდი მის იდუმალ სილამაზეს და ვფიქრობდი, რომ მას თავისი უბინობის ქამარი მოახრჩობდა და რომ წლობით მამაკაცის სხეულზე სრიალი სჭირდებოდა გასაპრიალებლად. კაცი დიდხანს გახეხავს მის ტანს, როგორც აბანოში და ამობრწყინდება მისი ჭეშმარიტი, დაწესებულ უმანკოებაში ჩამალული ფორმა. დიახ, გახეხავს, ვიდრე მთელი დაგუბებული, უკვე წამხდარი სისხლი არ გამოუვა, რათა თავის სხეულსა და სამყაროს დაუბავდეს.

ვიცი, იგი გამოშიგნულ, გამოცარიელებულ წრეში ტრიალებს. თვითონ მარტოს არ შეუძლია, რომ განისწავლოს, კაცი კი დღემდე არსადაა. მგონია, რომ ამას ვარჯიში სჭირდება, რომელიც თავიდან აუცილებელია კაცთან დიალოგით დაიწყოს. კაცი საქმეებს ამარტივებს, აჩქარებს და განსაკუთრებით – დასაწყისში... მაგრამ სად არის ეს კაცი? რატომ არ გადაიკვეთა მისი გზა ფადიას გზასთან? რატომ ვერ ხედავს იგი ამ ქალის გამოსხივებას, რომელსაც მე ვხედავ. რატომ ცხოვრობს იგი მარტოდმარტო თავის ცეცხლთან ერთად, შიგნიდან რომ ნაცრავს.

მასთან სცენარი არ იცვლება: ვინცებთ საქმეზე ლაპარაკით და პირდაპირ გადავდივართ ქალებისა და მამაკაცების შესახებ საუბარზე. როგორ მივედით დღეს სქესობრივი აღზრდის თემამდე? როგორ მიგვიხმო ერთმანეთისაკენ საუბარმა? ჩივილი მან დაიწყო:

ჩვენ არ გვასწავლიან იმას, როგორ უნდა მოვიქცეთ კაცებთან, არ გვასწავლიან ამ სამყაროს კითხვას, რომელსაც ჩვენ არ ვიცნობთ. სრულიად განსხვავებული სამყაროსი.

გვასწავლიან, როცა პატარები ვართ. როცა გავიზრდებით, თვითონვე ვსწავლობთ! – ვუპასუხე.

არ გვასწავლიან? – ვუსმენდი მას და ვფიქრობდი, რომ ჩემთვის არავის უსწავლებია და არც არავისი სწავლება არ მჭირდება! ვისწავლი მარტოდმარტო, იმისგანაც კი მალულად, ვისგანაც ვსწავლობ. ვისწავლი ისე, რომ თავი ბრმად, ყრუდ და მუნჯად მოვაჩვენო.

ისევ მასთან საუბარს ვუბრუნდები. სად მივიდა?

დედაჩემმა მოგვიანებით გაიგო. იგი ახლა ჩვენიტ ამაყობს და ამბობს, ჩემი გოგონები კაცებივით მარტონი ცხოვრობენ და მუშაობენო. კაცებივითო.

კაცებივით რატომ? – ვეკითხები.

იმიტომ, რომ დედაჩემი არ არის მიჩვეული ასეთ ცხოვრებას. ქალი მის წარმოდგენაში შუუძლებელია, სხვაგვარი იყოს, გარდა დაოჯახებულისა.

ფაქტია თქვა, რომ კაცს დამოუკიდებელი ქალისა ეშინია.

ფაქტია თქვა, რომ ერთგულ კაცს ელის, რათა ბედი მას დაუკავშიროს.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ მარტო დარჩები! – ვუბნები და ნათქვამს სიცილით ვამსუბუქებ.

– ამას რატომ ამბობ? სამყაროში არიან ერთგული ადამიანები. დედაჩემი მამაჩემის ერთგული იყო, ჩემი ძმა თავისი ცოლის ერთგულია!

– ასეთი დარწმუნებით სხვებზე როგორ ლაპარაკობ?

– ხელს ცეცხლში ჩავყოფ, ეს ორი თუ ერთგული არ იყოს!

– ხელს ცეცხლში ნუ ჩაყოფ, გარდა მხოლოდ იმ შემთხვევისა, როცა საკუთარ თავზე ლაპარაკობ! სხვა, ვინც უნდა იყოს, სადუმლოებებით მოცული ქმნილებაა!

– დარწმუნებული ვარ! დარწმუნებული ვარ! – იმეორებს და იმეორებს.

მე ვჩუმდები და ის განაგრძობს.

– ქალი იმაზე მეტს ლაპარაკობს, ვიდრე საჭიროა, არ ვიცით, როდის გავჩუმდეთ და როგორ გავჩუმდეთ! არ უსწავლებიათ.

გუშინ ნანახი ამერიკული სერიალის «სექსი დიდ ქალაქში» ერთ-ერთ მთავარ გმირზე ვუყვები. კაცს, რომელთანაც წევს, სექსზე უარს ეუბნება, რათა აგრძნობინოს, რომ იგი დედამისი არ არის და ამიტომაც არ უნდა ეძახდეს კაცი მის ძუძუებს ასეთ ბავშვურ სასაცილო სახელს და არ უნდა სწოვდეს მის კერტებს ასე, რადგან იგი ძუძუთა ბავშვი კი არა, კაცია, თვითონ კი არის ქალი, რომლის იშტაბეც ეს კაცი მოდის და არა – დედამისი. და ასე შემდეგ და ასე შემდეგ... ლექციის განმავლობაში კაცს ერეცია თანდათან უქრებოდა, ვიდრე საბოლოოდ არ დაუვარდა. ტანსაცმელი ჩაიცვა და წავიდა, ქალი კი გაკვირვებისაგან წარბებანული მიატოვა, კაცის წასვლის მიზეზებს რომ საკუთარ თავს ეკითხებოდა. მაყურებელი მშვენივრად ხვდება, რომ ქალი უნდა თავის თავში ჩაკეტილიყო და თავი დაენებებინა კაცისათვის, ძლომაზე ეწოვა მისი ძუძუები. მაყურებელი ხვდება, ის კი ვერა...

გაგვეცინა....

ფადია გაჟინიანდა:

მაგრამ ეს არ არის მისაღები!

სწავლა რომ მიყვარს, დადასტურებული ამბავია, აი, სხვების სწავლების ნიჭი კი ნამდვილად არა მაქვს! არც მე მაქვს ეს და არც ჩემს უახლოეს მეგობარს, იბთისამს. მე და იბთისამი ბავშვობიდან ერთად გავიზარდეთ და ამის მიუხედავად არ მახსოვს ოდესმე ერთმანეთთან სექსის შესახებ გველაპარაკოს პირდაპირ, როცა ეს საკითხი ჩვენს პირად ცხოვრებას ეხებოდა. უნივერსიტეტში, ჩემი სასიყვარულო გრძნობების მოძალებისას, მისთვის არაფერი მიამბნია და არც მას უამბნია ჩემთვის რამე, როცა სატრფიალო გრძნობები შემოაწვა. ცოტა რამ სიყვარულზე და არაფერი – სექსზე. თითქოსდა, ანგელოზების დასს ვეკუთვნოდით! ბოლო წლებში ამაზე გადაკვრით საუბარი დავინწყეთ, ალბათ, მას შემდეგ, რაც გავთხოვდით, უზრუნველად ვცხოვრობდით და ვაჟები და ქალიშვილები გავაჩინეთ.

როდესაც ან რომანებში ვკითხულობ, ანდა ფილმებში ვუყურებ, როგორ ლაპარაკობენ ერთმანეთში გოგოები, თავში გამიელვებს ხოლმე, რომ მე ასეთი გამოცდილება არასოდეს მქონია. მე ეს არ ვიცი. გულახდილი საუბარი ნამდვილი კულტურული ურთიერთგაცვლაა. ხანდახან ეს იმ გამვლელ ქალებთან თუ გამომიცდია, რომელთაც შემთხვევით შევხვედრივარ, მაგრამ ეს არასოდეს მომხდარა ჩემს ახლო დაქალებთან. ჩემს დებთანაც კი, და გათხოვების შემდეგაც კი. ერთადერთი, ვინც თავისი სექსუალური ცხოვრების წვრილმანებში მახელებდა, რაჰაბია. მე ავადმყოფური სითამამით ვუსმენ და ვფიქრობ, რომ უცხოეთში, ძირითადად დასავლეთში დამკვიდრებამ გაათავისუფლა ზოგი არაბი ქალი და მათ სიფრთხილის კანონის მოშლაში საკუთარი წვლილი შეიტანეს, ბეპირად თუ წერილობით. ერთ ფრანგულ კულტურულ სატელევიზო პროგრამაში, საფრანგეთში მომუშავე ერთმა ლიბანელმა

რეჟისორმა ქალმა ჩაინერა ახალგაზრდა ვაჟებისა და გოგონების თამამი ჩვენებები მათი სექსუალური ცხოვრების შესახებ მათ ქვეყანაში. გახსნილი დეტალები, რომლებიც სალაპარაკო არაბულ ენაზე მოვისმინე, პარალელური ფრანგული თარგმანით. ასეთი რამ ჩემს ცხოვრებაში არ მომისმენია. და ვიფიქრე, რომ ეს შესაძლებელია ითქვას და თანაც ამ სიტყვებით, იმიტომ, რომ გათვლილია დასავლურ საზოგადოებაზე დასავლურ მედიაში. მაგრამ შეუძლებელია, რომელიმე არაბულმა ტელევიზიამ ის გახსნილად შეიტანოს თავის პროგრამაში. წინდახედულების კანონი გარყვნილი მოუმწიფებლობით.

ის ჩვენთან მუშაობს ბიბლიოთეკაში. პარიზში ტრადიციული წრიდან ჩამოვიდა, სამუშაო ოთახი თავისი ჰიჯაბიანი დების სურათებით მორთო, საკუთარ სექსუალურ ცხოვრებას კი ისე მიყვება, თითქოს თავისი ქალურობის ჯილდოებს გამომიფენდეს. ხარბად ლაპარაკობს და ასევე ხარბადა ჭამს. მასთან ურცხვი ინტერესით ვიცინი და მის სიახლეებს გულისყურით ვისმენ. მისი ამბები მუდმივად მისი ცხოვრების მამაკაცებიდან უკანასკნელ მამაკაცს შეეხება. დიდხანს არ ჩერდებიან და კარგადაც მესმის, რომ ვერც გაჩერდებიან. ამ ქალში არის ის, რაც უძლიერეს ნერვებზეც კი ურტყამს! ჰოდა კაცებიც თასმებს შეიკრავენ და გარბიან! ამ კაცების ამბების სერიალს დეტალურად მივყვები, პირველი კაციდანვე, რომელიც თავისთვის და თავისი საყვარლისთვის პარიზში კანონიერ დასახლებას ლამობდა. რაჰაბთან მისი ნახევრადოფიციალური ქორწინება განქორწინებით დასრულდა, როგორც კი სიძემ კანონით გათვალისწინებულ ვადაში თავისი ოფიციალური ქალადღები მიიღო. ამის მერე ისევ თავის საყვარელ ქალს დაუბრუნდა ისე, თითქოს აქ არაფერიო, ახლა უკვე იმ ქალის საფრანგეთში კანონიერი ცხოვრების უფლების

მოსაწესრიგებლად, უკვე ნამდვილი ქორწინების მეშვეობით. მერე ცურვა და ლივლივი გამეორდა და ქალს მამაკაცების სათვალავიც კი აერია!

აღბათ მისი მამაკაცების ამბები იყო ის, რაც მაკავშირებდა თვითონ მასთან, ეს ამბები მაძლევდნენ ძალას, რომ ამეტანა მისი ხმამალალი ხვნეშა მაშინ, როცა აჩქარებით ლაპარაკობდა და სწრაფადვე იცინოდა.

– მეზობელ ქალთან იყო. არც კი უცდია, რომ უარეყო. როცა დავუპირისპირდი, მარტივად მიპასუხა: ბაღში ვეხმარებოდი, რატომ აქცევ ამ ამბავს დრამად?

– მართალია! რატომ აქცევ ამ ამბავს დრამად?! – ვუთხარი და სერიალი «სასონარკვეთილი დიასახლისები» და გაბრიელა და მისი კრიმინალი საყვარელი გამახსენდა.

თვითონ რაჭაბის სერიალის წინა სეზონში კი, მან დააპურა მშიერი კაცი და თავშესაფარი მისცა ქუჩაში ნანწალისას. ცოლად გაჰყვა მას, ალაჰისა და მისი მოციქულის ადათ-წესით, პარიზის მეჩეთში და სამოქალაქო ქორწინების რეგისტრაციასაც დაელოდა ნოტარიუსთან, რათა სტუდენტ სიძეს მუდმივი რეგისტრაციის საბუთებისათვის მიეღწია.

– ერთი წელი დასაძინებელი ადგილიც კი არ ჰქონია. გადავარჩინე. ხომ იცი, თავიდან ახალ სახლში ზოგი აუცილებელი სარემონტო სამუშაოს შესასრულებლად მოვიდა. გულიანად მომეხმარა. ბინაში შემოვიდა და აღარც გასულა.

მისი ისტერიკული, ბრაზიანი სიცილი პუნქტუაციის ნიშანივით წყვეტს წინადადებას.

სტუდენტი მხოლოდ ქალაქებზე იყო. მას უნივერსიტეტის დიპლომი აქვს, აქ კი ბაზარში იდგა და მწვანილს ჰყიდდა,

რომ თავი გაეტანა. ჩემთან რომ დასახლდა, საქმესაც
მაშინვე თავი მიაწება.

მოცალეობა აუცილებელია! – გესლიანად ვპასუხობ.

სიცილი ისე გააგრძელა, თითქოს ბედნიერ მოგონებებს
იხსენებდა.

– საწოლში პირველ ღამესვე შემომინვა.

საუბარს ანელებს:

ახია ჩემზე! ვინმესთვის თავდადების ბოლოც ეს არის!
მეზობლის ქალს ეხმარებოდა ბაღში! მაგას თუ ჭკუა არ
ვასწავლო, აი, ნახავს!

სახეზე ისევ ნოსტალგიური გამომეტყველება უბრუნდება.

– იცი, რა აღმაფრთოვანებს მასში? საკმარისია ყლზე
მივეკარო, რომ ეგრევე აუდგება! -ყოველთვის მზად არის!
ეტყობა, ძალიან დათრგუნვილი იყო პარიზში
ჩამოსვლამდე. თავის ქვეყანაში მასტურბაციის მეტი
არაფერი იცოდა. უნივერსიტეტში სწავლობდა და ბოზებიც
კი ძვირი იყო მისი ჯიბისათვის.

მაოცებს საკითხის განზომილებებში ამ ქალის
სიღრმისეული წვდომა!

რეჰაბი ერთადერთია, ვინც ასეთ საქმეებში დეტალებს
ჩემთან ერთად ბოლომდე მიჰყვებოდა. მუდმივად
მეფიქრება, მას რომ ვუსმენ: გოგონები, დაახლოებულნიც
კი, არასოდეს აკეთებენ ამას, ყოველ შემთხვევაში ჩემ
წინაშე.

კაცები კი, პირიქით, – მეგობრები თუ არამეგობრები. მათი
უმეტესობა მუდმივ მზადყოფნაშია, რომ ტომარა
დაიფერთხოს, რათა თავისი სასიყვარულო და სექსუალური

თავგადასავლებიც კი თავზე დაგაღვაროს. რათა თავის გამოცდილებებს გაზიაროს. მე მთელი ცხოვრება ყურადღებიანი მსმენელი ვიყავი, სამაგალითო აუდიტორია, ჩემი სიურცხვით, რომელიც ვერ ძლებოდა და სიცილით, რომელსაც ბოლო არ უჩანდა.

მახსენდება ანვარი. ეს იყო იმ პირველ ბიბლიოთეკაში, სადაც პარიზში ვმუშაობდი. ყოველ დილით, როცა ბიბლიოთეკა აბონენტთაგან ცარიელი იყო და მარტონი ვრჩებოდი, მასაჩუქრებდა ხოლმე იმ გოგონების ამბებით, ქუჩაში, კაფეში, ავტობუსში ან თვით ბიბლიოთეკაშიც კი რომ ეარშიყებოდა. დაქორწინებული იყო და საჯარო სივრცეებს ერიდებოდა.

ალბერიც დაქორწინებული იყო. მისი ამბები ნერვებზე მირტყამს, რადგან ისინი ერთი მიზნისაკენ იყვნენ მიმართული და ეს იყო ჩემი დაყოლიება მისი კულტურული, გრძნობისმიერი და სექსუალური ღირსებებით. ნეტავ და ეგების...

ღადირი კი, რომელიც თავის ამბებს უზუსტეს წვრილმანებამდე მიყვებოდა, უცოლო იყო. მდიდარი წარმოსახვით, რომელიც მას კარგ მეურვეობას უწევდა.

საჯარო ბიბლიოთეკაში ერთადერთი გოგო ვიყავი და ყველა კაცი მეორის არყოფნით ან სიშორით სარგებლობდა, რათა ჩემთვის თავისი ნამდვილი თუ გამოგონილი ამბები მოეყოლა. შედეგი ერთი იყო: ძალიან ვერთობოდი. ყურებს ფართოდ გამოვადებდი და ვიციხოვდი. ვიმარჯვებდი მათ გააზრებულ თუ გაუაზრებელ გეგმებზე, მე თვითონ კი მათ არაფერს ვუღებდი, გარდა ყურებისა.

უეჭველია, რომ ამ თუ სხვა ამბებიდან ბევრი რამ ვისწავლე. მიამიტურად ვუსმენდი, სინამდვილეში, მხოლოდ თავი მეჭირა ისე, რომ მიამიტურად ვუსმენდი, ჩემი სიცილიანი, მახვილი და ზოგჯერ გესლიანი კომენტარებით. როცა რომელიმე მათგანი სახეში შემომაჩერდებოდა, რომ თავისი სიტყვების ზეგავლენის კვალი დაენახა, მიამიტური ღიმილის გარდა იქ ვერაფერს ხედავდა, მაგრამ მე ყველაფერს მაგნიტოფონივით ვინერდი, რაც მესმოდა. მერე ვაწესრიგებდი, ვახარისხებდი, ვაჯგუფებდი და ვსწავლობდი. განა დაუნჯება ჩემი პროფესია არ არის?

ამ პაპანაქება ზაფხულში ვუბრუნდები ძველ წიგნებსა და მოაზროვნეს და ჩემ გარშემო ქვეყანა ბრიალებს. განა რაც დავწერე, ეს ჩემს შეხედულებას აირეკლავს? განა სამყარო მუდამ ასეთი აალებული იყო?

რა ხდება?

ყველგან სექსი, ყოველ ადგილას. გაზეთს გადავშლი და მას ვაწყდები, გარეკანზე ის მოკალათებულა და ფურცლებიდან და დამატებებიდანაც ის მოჟონავს. ტელევიზიიდან, რადიოდან, ჩემი გრძელი საღამოებისათვის არსებობდა ბრიჟიტ ლაჰის პროგრამის გამეორებები. ახლა ყველანი მისი სკოლის ნიჭიერ მონაფეებად იქცნენ.

რა ხდება ამ ზაფხულს?

ამ დღეებში ისე არავის შევხვედრივარ, რომ ჩემთვის სიტყვა თავის სექსუალურ ამბებზე არ ჩამოეგდო. თითქოს რაღაც საიდუმლო წამქეზებელმა ხალხი ერთიანად ააფორიაქა.

თითქოს სხვები პირველივე შეხედვისთანავე ხვდებოდნენ, რასაც ვიკვლევ.

ნუთუ ჩემი სექსუალური სითამამის სიმპტომები ასე მკაფიოდ მოჩანს ჩემში?

როდის აღმოვაჩინე, რომ ჩემი სექსუალური სითამამე სხვა არაფერია, გარდა შემეცნების მამოძრავებელი სითამამისა.

მეცინება, როდესაც ვკითხულობ, რომ ყოველი ქალი არის პროდუქტი იმ მამაკაცებისა, მის ცხოვრებაში რომ ჩაიარეს. «ჩვენ ვერაფერს ვსწავლობთ იმის გარდა, რასაც შევიცნობთ.» – ეს იყო ჩემი ძმის ფრაზა, რომელსაც მუდამ იმეორებდა. მე მისგანაც ვისწავლე.

შემეცნების წყურვილი ჩემი სექსუალური სტიმულატორია. არა, ჩემი სექსუალური სტიმულატორი შემეცნების წყურვილია. ვნების, სიამოვნების, ჩემი თავის, სხვისი, სამყაროს შემეცნების.

მოაზროვნის შემდეგ ყოველი ახალი კაცის შესახებ ჩემი მსჯავრი მის პედაგოგიურ თვისებებს ეფუძნება. მეტად მიყვარს ის, ვინც მეტს მასწავლის.

მოაზროვნის შემდეგ ველარ ვიტან კაცს, რომელიც არ მასწავლის.

ჩემში სწავლის სიამოვნება სექსუალურ სიამოვნებას დაუნყვილდა. ჩემს თავში სიამოვნების ცენტრი შემეცნების ცენტრს გადაეჭაჭვა და ორივე ერთად განიტოტა განუყოფლად.

ჩემი სექსუალური სითამამე უფსკრულივით იყო გადახსნილი და ვინც ჩემს მონადირებას ლამობდა, ამ უფსკრულში უნდა გადაშვებულიყო.

«ამბობენ, რომ თუკი ქალწულს უმამაკაცობა დიდხანს გაუგრძელდა, ეს შეჰყრის სნეულებას, რომელსაც აქიმები «საშოს ხუთვას» უწოდებენ. ეს სნეულება ისეთ ბოდვასა და მელანქოლიას იწვევს ტვინში, რომ ეჭვს ქალის სიგიჟეზეც კი მიიტანენ, მაგრამ ეს ასე არ არის. რადგან როგორც კი მამაკაცთან დანვება, მაშინვე მოიკეთებს.»

ეს რომ ქალის უფლებებისათვის მებრძოლთა წინაშე ვთქვა, მაშინვე ომს გამომიციხადებენ და პატრიარქალური იდეოლოგიის მორჩილებას დამაბრალებენ.

«ის, ვინც გასროლილ ტყვიას აბრუნებს, თავისი ცხოვრების ამბავს არა ჰყვება» – თქვა ბოროტმა ერთ-ერთ ვესტერნში, სანამ თავის ჭორიკანა მსხვერპლს ბოლოს მოუღებდა. ეს ფრაზა ფადიას გავუმეორე. არ გასცინებია. მართო მე გავიცინე. მისი სამუშაო ოთახიდან თავის ქნევით გამოვედი: ისიც უფრო მტკიცედ აღმართული ღირსებით მოისრება. აზრი არა აქვს. მძიმე მდგომარეობაშია. ნათელია, რომ არაფერი უსწავლია. განაგრძობს თავისი სხეულის, კაცების წინააღმდეგ ბრძოლას და ეს ომი ხანგრძლივი ჩანს.

სამომავლოდ ალფიას ამბების წაკითხვას ვურჩევდი, რომელიც ქალთა გათავისუფლების უმნიშვნელოვანეს ადეპტად მიმაჩნია, მინიმუმ, სექსუალური თვალსაზრისით. ლეგენდარული პიროვნებაა.

ეს პირველი ქალი, რომელსაც შევხვდი და აღფრთოვანებული დავრჩი მისი ცოდნის სიღრმით, ალ-ჯაჰიზთან^[3] ვნახე. ალ-ჯაჰიზმა გამაცნო ეს გამორჩეული პიროვნება.

ქალი, რომელმაც პრაქტიკული გამოცდილება დააგროვა, მერე ეს გამოცდილება თეორიულ შედეგად აქცია და მთელ

მსოფლიოს შესთავაზა, განსაკუთრებით ქალებს, რომელთაც მოუწოდა, ცოდნის გაღრმავებაში მისთვის მიებაძათ. ბუნებით მასწავლებელი იყო! დიდება ალაჰს!

უეჭველია, რომ ალ-ჯაჰიზს აღაფრთოვანებდა იგი, რადგანაც ამ ქალმა თავის თანამედროვეთაგან ყველაზე უკეთ იცოდა სატყნაურო გარემოებანი. ხოლო რაც ალ-ჯაჰიზს მისით აღტაცებას უძლიერებდა, იყო ის, რომ ქალიც, მის მსგავსად, იმ მეცნიერთა სკოლას ეკუთვნოდა, რომლებიც გაუსინჯავად არ მკურნალობენ და მხოლოდ და მხოლოდ იმაზე საუბრობენ, რაც თავიანთი განსაკუთრებული გამოცდილების საფუძველზე შეუმეცნებიათ.

როცა ალფიას ქალთა ერთ თავყრილობაზე თავისი დარგის ფარგლებში შეკითხვები დაუსვეს და სთხოვეს: გვიამბე ტყნაურის, მისი ტიპებისა და სახესხვაობების შესახებო, – ზემეცნიერმა ქალმა უპასუხა:

ახლა ისეთ რამეზე მეკითხებით, რისი დამალვაც არც თვითონ ძალმიძს და არც ღვთისგან მაქვს ნება მოცემული, რომ დავფაროო.

ალფიას ამბებმა ჩვენამდე სხვათა გადმოცემის მეშვეობით მოაღწია. ალ-ჯაჰიზთან ეს ქალი ინდოეთიდან მოვიდა სექსუალურ წიგნებში, რათა ლეგენდად ქცეულიყო, რომელსაც არაბები ერთმანეთს გადასცემდნენ და განსაკუთრებით, მამაკაცები, მცირედი შიშით, შურით და აღტაცებით.

ლეგენდა მისი სახელიდან იწყება. «ალფია»^[4] იმიტომ, რომ თურმე ათას კაცთან ეძინა. თუმცა, რატომ ვამბობ, ეძინა-მეთქი? უეჭველია, იგი სავსებით ფხიზელი იყო. არც თვითონ სძინებია და ჩაძინებას არც მამაკაცს არ

დაანებებდა. მე თვითონ რატომ ვიყენებ ამ ბრიყვულ ზმნებს? წიგნები აცხადებენ: «ეს იმიტომ, რომ იგი ათას კაცს დაუქელავს.» არაბებისათვის საქმეები ცხადზე ცხადი იყო! – არც ის, ვისაც ეძინა და არც ის, ვინც ფხიზლობდა. «გაქელვა» – აი, ზმნა თუ გინდა, ეს არის!

რა მნიშვნელობა აქვს «გაქელვას» «ლისან ალ-არაბში»?^[5] რამდენი ზმნა გვაქვს ამავე შინაარსის? არა, არა სავსებით. ყოველ ზმნას თავისი განსაზღვრული განსხვავებული შინაარსი აქვს. არ დამითვლია, მაგრამ მრავლადაა ეს ზმნები. არის ვიღაც, ვინც გეტყვის დაბეჭითებით: არსებობს ასი სიტყვა, რომელიც აღნიშნავს მუტელს და ასი სხვა სიტყვა, რომელსაც ყლეს ეძახიან. მაგრამ აქ ამაზე როდი ვლაპარაკობთ, აქ საქმე ეხება განსხვავებულ შინაარსს, რომელსაც მიმართავენ ხოლმე ყოველი სიტყვის მნიშვნელობისათვის საზღვრების დასაადებად.

სამეცნიერო მეთოდით პასუხის დასაწყისი განსაზღვრულია ერთი საფუძვლის ექვსი ვითარებით:

წამოწოლა, დაჯდომა, მიყრდნობა, მიყუდება, მოხრა და წამოდგომა. თითოეულ ამ ვითარებას სულ მცირე ათამდე პოზა მაინცა აქვს. თითოეულ პოზას კი თავისი სახელი აქვს. საყრდენი, მაშასადამე, პოზაა. იმ იოლიდან, რომელსაც ყველა მიიღებს, იმ იშვიათამდე, რომელიც აზრადაც არავის მოუვა და სხეულის სპორტულ მოქნილობას ან ცირკის მუშაითის ოსტატობას საჭიროებს.

აღფია თავის მსმენელ ქალებს იმას განუმარტავს, რაც აღმოაცენებს ქალთა სიყვარულს მამაკაცთა გულში; იმას, რაც კაცებს სიამოვნებთ და რაც ეზიზღებათ დედაკაცთა ბუნებაში და იმას, თუ რა უნდა ქნან ქალებმა, მამაკაცების სიყვარული რომ მოიხვეჭონ.

აღფია რომ ახლა ჩვენ შორის ყოფილიყო, აუცილებლად დაწერდა წიგნს თავის სქესობრივ ცხოვრებაზე და გარეკანზე თავის შიშველ სურათს გამოიტანდა. გაყიდვების რეიტინგებს თავში მოექცეოდა, ყველა ცოცხალ ენაზე ითარგმნებოდა და მისი სახელი მთელ მსოფლიოში გახმაურდებოდა.

განა აღფია ოდესმე იფიქრებდა, რომ მისი შვილიშვილები დედამიწის ყველა კუთხეში გაავრცელებდნენ, უკლებლივ ყველა ენაზე, თუმცა ისე, რომ მისი სახელიც კი არ ეცოდინებოდათ, რომ რაიდა ერქვა.

ვიაჩესლავ კუპრიანოვი



ვიაჩესლავ კუპრიანოვი დაიბადა 1939 წლის 23 დეკემბერს ნოვოსიბირსკში. 1967 წელს დაამთავრა მოსკოვის უცხო ენათა ინსტიტუტი. ინსტიტუტში შექმნა ლიტერატურული გაერთიანება «ფოტონი». მისი კრებული «ცხოვრება მიდის» (1982) – საუკუნის მეორე ნახევრის რუსულ პოეზიაში ერთ-ერთი გამორჩეული ვერლიბრის წიგნია. 2010 წელს ბუენინის, 2012 წელს კი მაიაკოვსკის სახელობის

პრემიების ლაურეატია. მიღებული აქვს საერთაშორისო ლიტერატურული პრემიები იტალიაში, ავსტრიაში, სერბეთში და მაკედონიაში. მისი ლექსები თარგმნილია 40-ზე მეტ ენაზე. თარგმნის გერმანულენოვან ლიტერატურას (ჰიოლდერლინი, ნიცშე, რილკე, ჰერმან ჰესე, პულ ცელანი, ერის ფრიდი და ა.შ.). წერს ასევე რომანებს და მოთხრობებს. არის რუსული პენ-ცენტრის წევრი.

ინტერვიუ ვიაჩესლავ კუპრიანოვთან

«მე ტვინის რეაბილიტაციას ვახდენ პოეზიაში» (დიალოგი ფეისბუქზე. 28.08.2016.)

შოთა იათაშვილი: მე მუდამ მიზიდავდა ისეთი ადამიანების ბედი, რომლებიც ზიგზაგებით უახლოვდებოდნენ იმას, რაც საბოლოო ჯამში უნდა ეკეთებინათ. ვფიქრობ, თქვენი გზა ასეთი იყო. როგორ უახლოვდებოდით პოეზიას, ლიტერატურას, ადამიანური ყოფის სხვადასხვა ფორმებისა და გამოცდილებების გავლით?

ვიაჩესლავ კუპრიანოვი: შემიძლია ვთქვა, რომ ბედისწერა მუდამ არასწორი ნაპირისკენ მიმაქანებდა, მაგრამ ბოლო მომენტში მაინც იქით მიმაბრუნებდა ხოლმე, სადაც საჭირო იყო.

აი, რამდენიმე წერტილი: ვაპირებდი ინჟინერი გავმხდარიყავი, მაგრამ ნოვოსიბირსკის ელექტროტექნიკური ინსტიტუტის კონკურსი ვერ გავიარე. ბედისწერამ ერთი წლით ამ ინსტიტუტის საშენებლად გამიშვა, რათა შემდგომ წელს იქ «შელავათებით» მოვხვედრილიყავი. მაგრამ უცებ, ერთი ხელის დაკვრით გამიუქმეს ეს შელავათები: ჯარში გამომიძახეს. თუმცა ამჯერად თავად მოვითხოვე, რომ ჯარში მარტო კი არ მემსახურა, არამედ მესწავლა კიდევ. ასე მიმიყვანა ბედმა ლენინგრადის უმაღლეს საინჟინრო-საზღვაო სასწავლებელში. და ყოველივე ეს მხოლოდ იმიტომ, რომ სწავლის მეორე წელს მივმხვდარიყავი, რომ ინჟინრობა ჩემი საქმე არაა (მიუხედავად მთელი ჩემი ცალმხრივი სიყვარულისა ზუსტი მეცნიერებებისადმი), ხოლო

სამხედრო საქმე – მითუმეტეს. სწორედ ამ დროს გაჩნდა ჩემი პოემა «ვასილი ბირკინი», რომლის წყალობითაც თავი შემოქმედად ვიგრძენი, ხოლო ჩემმა მეთაურებმა საჭიროდ ჩათვალეს ჩემი დაბრუნება მოქალაქის მდგომარეობაში. რის შემდეგაც, უკვე მოსკოვში, როცა შემდგომი შეცდომა დავუშვი და უცხო ენათა ინსტიტუტში მოვხვდი, დაიწყო ჩემი «ჰუმანიტარული ცხოვრება».



ლენინგრადის უმაღლესი საინჟინრო-საზღვაო სასწავლებელში. 1959 წ.

შ.ი.:
 ყოვე
 ლივე
 ამან
 ალბა
 თ
 ძალი
 ან
 იმოქ
 მედა
 თქვე
 ნს
 პოეტ
 იკაბე
 . თუ

არ ვცდები, მათემატიკური ცოდნაც გაქვთ, არა?

ვ.ვ.: კი, მაქვს. მგუ-ს ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე შევეცადე გამეგრძელებინა სწავლა, მაგრამ იქ წაიკითხეს ჩემი ასეულის მეთაურის მიერ დაწერილი დახასიათება, სადაც მხოლოდ ორი დადებითი მომენტი იყო აღნიშნული: «მორალურად მდგრადი, ფიზიკურად ჯანმრთელი», მითხრეს, რომ მათი უმაღლესი სასწავლებელი იდეოლოგიურია და მომიშორეს. უცხო ენათა ინსტიტუტში კი ჩახედეს ჩემ მიერ განვლილ საგნებს – ფიზიკა,

მათემატიკა – და მათემატიკური ლინგვისტიკის განყოფილებაზე ჩამრიცხეს.

შ.ი.: მეც მათემატიკოსი ვარ, რომელიც პოეტი გავხდი, ამიტომ დამაინტერესა ასე ამ მომენტმა... თქვენ «ჩემი» პოეტი ხართ. ამას წაკითხვისთანავე მივხვდი. ლექსის სტრუქტურა, ლოგიკა, ყველაფერი ეს, არცთუ ისე ხშირადაა ჩემთვის ასე ახლობელი. და როცა «შენებს» პოულობ, გიჩნდება სურვილი, უკეთ გაიგო, თუ როგორ ესმით მათ პოეზიის ფენომენი მეცნიერების გავლით.

ვ.ვ.: ეს იყო ექსპერიმენტალური განყოფილება, და საქმეა არა მხოლოდ პოეზიისა და მეცნიერების კვეთაში, არამედ იმ ადამიანებშიც, რომლებიც მაშინ ასწავლიდნენ ენათმეცნიერებას და ალგორითმთა თეორიას. ისინი 60-იანების «ოტტეპელისთვისაც» კი საოცრად თავისუფალი, მაშინ ჯერ კიდევ «ახალგაზრდა» მეცნიერები იყვნენ! პარტიულ, ვიწრო ხედვის მქონე იდეოლოგიებს მაშინ მათი საქმიანობა რომ არ გაეჩერებინათ, დროულად მოვახდენდით საინფორმაციო გარღვევას და დღეს მოგებას ნავთობისგან კი არა, «სულისგან» მივიღებდით, ანდა პროგრამული პროდუქტისაგან, ყოველივე იმისგან, რითიც დღეს, ვთქვათ, იაპონელები ცხოვრობენ, და ჩვენი «ოლიგარქები» ბრძენები იქნებოდნენ და არა წამგლეჯები. მაგრამ ჩვენს ხელისუფლებას სიბრძნის ზედმეტობის შეეშინდა.

შ.ი.: «მოგება სულისაგან», ამ ფრაზაში უკვე ჩანს ის ირონია, რომელიც მსჭვალავს თქვენს პოეზიას და არამხოლოდ პოეზიას.

ვ.ვ.: ირონია თავდაცვის ფორმაა, რომელიც საჭიროების შემთხვევაში თავდასხმაზეც გადადის. ჩვენ ირონიის კარგი სკოლა გვაქვს. პუშკინი ირონიულია პოემებში. ვალმერთებ



ლესკოვს, როგორც ყველაზე დახვეწილ ირონისტს. აღარაფერს ვამბობ ჩვენს სატირიკოსებზე. კობმა პრუტკოვიდან ხარმსამდე და ვვედენსკიმდე. იმაზე, რომ გაუცნობიერებელი კავშირი მაქვს ზაბოლოცკის «სვეტებთან», ერთხელ არსენი ტარკოვსკიმ მიმანიშნა.

შ.ი.: და თანამედროვე რუსულ ლიტერატურაში ახლა რა მდგომარეობა ამ მხრივ? და

კონკრეტულად პოეზიაში?



ვ.კ.: თანამედროვეშიც ძალიან ბევრი ირონიაა. იყო პრიგოვი, არის ირტენიევი, თავისებურად ირონიულები არიან მინიმალისტი პოეტები: ივან ახმეტიევი, საშა მაკაროვ-კროტკოვი, ცოტა სხვანაირია ანდრეი სენ-სენკოვი. თუმცა

ისიცაა, რომ თუ შემოქმედი მხოლოდ ირონიას ეჭიდება, ეს რალაცნაირად დაბლა სცემს მის ენერგეტიკას.

შ.ი.: ნამდვილად საჭიროა ამაზე ფიქრი და ამის გაკონტროლება. მოდით, შევაბრუნოთ ჩვენი საუბარი სხვა მიმართულებით: ის, რასაც თქვენ წერთ, ეს რუსული პოეზიაა? აი, ასე, მკაცრად რომ ვიკითხოთ. მე მგონია, რომ არა, და მაქვს ამაზე ჩემი არგუმენტები.

ვ.კ.: გააჩნია, რა არგუმენტებზეა ლაპარაკი. უცხოელები მე მაინც რუს პროეტად აღმიქვამენ. «Zu Russisch» – ასე მითხრეს ერთხელ გერმანიაში. თუმცა მე გერმანელებისგან ბევრი რამ ვისწავლე, ჰიოლდერლინისგან, რილკესგან, ბრეხტისგან. ევტუშენკომ «აღმოაჩინა», რომ მე ერიჰ ფრიდს ვბაძავ. ალბათ არის ამაში სიმართლე, რადგან ფრიდი ყველაზე «მათემატიკური» პროეტია გერმანულ ტრადიციაში. რუსულ ტრადიციაში ჩემამდე იყო ნიკოლაი რერიხი, ხოლო მანამდე საეკლესიო ჰიმნოგრაფია, ლოცვები, ფსალმუნი, შელოცვები.

შ.ი.: მე ვფიქრობ, რომ რუსულ პროებიაში დღემდე მაინც ორი მიმართულებაა: ან კვლავ კონვენცია, პუშკინიდან ბროდსკიმდე გამოცდილებების გამოყენებით, ანდა ექსპერიმენტალიზმი დადაიზმის, ფუტურიზმის და ა.შ. განახლებებით. ხოლო ისეთი «მშრალი», სტრუქტურირებული პროებია, რომელსაც თქვენ წერთ, რუსული არაა.

ვ.კ.: ცბიერად ვიტყვი, რომ თუკი ჩემ მერეც წერენ რაღაც ასეთს რუსულად, ეს უკვე ნიშნავს, რომ მე რუსული ენის კიდებზე კი აღარა ვარ, არამედ უკვე სადღაც შუაში. აი, დღეს ტუღელი პროეტის, ვლადიმირ პრიახინის ვერლიბრების წიგნი მივიღე საჩუქრად, რომლის წინასიტყვაობაშიც პროეტი და ლიტერატურათმცოდნე დანილა დავიდოვი წერს: «პოეტი ორიენტაციას აკეთებს მკაცრ პარაბოლურ კულტურაზე იმ თავისუფალი ლექსის, რომლის ნიმუშები შეგიძლიათ იპოვოთ ვიაჩესლავ კუპრიანოვთან, გენადი ალექსეევთან, გარკვეულწილად ვლადიმირ ბურიჩთან...» ერთი სიტყვით, თავისუფალი ლექსი რუსულ ტრადიციაში უკვე ცოცხალი მეტყველების ფაქტია და არა მხოლოდ ექსპერიმენტი. რაც შეეხება «სიმშრალეს», დავუბრუნდეთ მათემატიკას; ვისაც ესმის ფორმულა, ის მისთვის

ემოციურია. ჩემი მასწავლებელი, აკადემიკოსი როჟდესტვენსკი ერთ-ერთ სახელმძღვანელოში წერდა ეგრეთ წოდებულ «რაციონალურ ემოციაზე». ზოგიერთი მოაზროვნე მიიჩნევს, რომ რუსები პლატონიდან და ბიზანტიელი ეკლესიის მამებისაგან მოვდივართ, ხოლო დასავლეთი – არისტოტელედან და პავლე მოციქულისგან. მე ვფიქრობ, რომ ჩვენ უკვე კარგა ხანია შეერთებული გვაქვს ეს წყაროები: პოეტური ფანტასტი პლატონი და ლოგიკოსი არისტოტელე.



შ.ი.: და მაინც, კიდევ ერთხელ დავაბუსტოთ, როგორია თქვენი იდენტიფიკაცია?

ვ.ვ.: ჩემი აზრი საკუთარი თავის შესახებ ვერ იქნება ჭეშმარიტება. მაგამ მაინც ვიტყვი: ბევრი ჩემი ლექსი უფრო ხშირად მიმართავს «შენ»-ს, ხანდახან «თქვენ»-საც,

ანუ «კაცობრიობას», რა მაღალფარდოვნადაც არ უნდა ჟღერდეს ეს. ვინ იცის, შესაძლოა, საერთოდაც მოძღვარი და მორალისტი ვარ, რომელიც ცდილობს, მოსაწყენი სათქმელი ყურისთვის უფრო მისაღები გახადოს. რაც შეეხება სხვათა მოსაზრებებს: რიმა კაზაკოვამ, რომელსაც ვერლიბრის არაფერი გაეგებოდა, მითხრა, რომ შესაძლოა, მე პოეტი კი არა, მოაზროვნე ვარ. ჩემმა გარდაცვლილმა მეგობარმა, პოეტმა ალექსანდ არონოვმა ერთხელ დაახეთქა, რომ «მე ტვინის რეაბილიტაციას ვახდენ პოეზიაში».

შ.ი.: მინდა ცხოვრების წესზეც ვთქვათ ორიოდ სიტყვა: ალკოჰოლზე, სიგარეტზე, ძილსა თუ უძილობაზე, სპორტზე

და ა.შ. ყველაფერი ეს როგორ გავლენას ახდენს ტექსტზე?

ვ.კ.: სიგარეტი 2000-ში გადავაგდე. მე ბევრი ალკოჰოლიკი მეგობარი-პოეტი მყავდა. მაგრამ სიმთვრალეში ისინი არ წერდნენ. ჭამა და ძილი მიყვარს, მშიერს, ისევე როგორც მთვრალს, არ მეწერინება. მქონდა პერიოდი, როცა ძილში ვწერდი. გავიარე. სპორტით 14-დან 22 წლამდე ვიყავი დაკავებული, კლასიკური ჭიდაობით, საკმაო წარმატებები მქონდა.

შ.ი.: ეს მაინც ინფორმაციაა. მე მაინტერესებს, როგორ მოქმედებს ჯანმრთელი თუ არაჯანმრთელი ცხოვრების წესი შემოქმედებაზე, ანუ, რა განსხვავებაა იმას შორის, ბუკოვსკი ხარ თუ მაგალითად, ელიოტი, რომელიც სულ მგონია, რომ ფხიზლობდა, თუმცა შესაძლოა, ეს მხოლოდ ილუზია იყოს.

ვ.კ.: მე ასე ვიტყვოდი: საკუთარი ხელობის და ტრადიციაში საკუთარი ადგილის გაგება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე «ცხოვრების წესი», რომელიც გავლენას ახდენს მხოლოდ ცხოვრების ხანგრძლიობაზე და არა უშუალოდ ცხოვრებაზე და შემოქმედებაზე. ყველაფერი, რაც ადამიანს ეხმარება იპოვოს ოაზისი შემოქმედებითი კონცენტრაციისათვის, მაღლია.

შ.ი.: გეთანხმებით. დაბოლოს: თქვენს პოეზიაში სამოქალაქო პოზიცია მკაფიოდ მოჩანს. გამჭრიახი გონება ბადებს მას თუ უბრალოდ ეხმარება და ზუსტ სახეს აძლევს?

ვ.კ.: მე უბრალოდ ვცდილობ ვითამაშო პროფესიონალი მწერლის როლი. როგორც პუბლიცისტი, თავს ვესხმი მასობრივ კულტურას. და მასობრივი კულტურაც ამითი მპასუხობს. შედეგად, გამოდის სამოქალაქო პოზიცია,

რომელიც მიუღებელია და გაუგებარია
უმრავლესობისათვის. და მით უფრო უარესი, თუ ეს
მათთვის «მკაფიოდ» მოჩანს. თავად მე, ამ «მკაფიოობაში»
ყოველთვის არც ვარ დარწმუნებული. აქედან მოდის ჩემი
მთავარი ემოციაც – დაბნეულობა სამყაროს, ისტორიის,
არსებობის წინაშე.

ლექსები

(რუსულიდან თარგმნა შოთა იათაშვილმა)

ბრმები

ბრეიგელის ბრმები
ერთურთის მიყოლებით ცვივიან ხრამში

ბრეჟნევის ბრმები
რომ არ დაეცნენ
გაუნძრევლად დგანან
ერთმანეთს ჩაჭიდებულნი

სტალინის ბრმები
ორმოებს უთხრიან ერთიმეორეს

ლენინის ბრმები
გრძელ
რიგში დგანან
მის დასანახად

ანატომიის გაკვეთილი

მომიტევით
მონაფეებო
ჩემი ჩონჩხი
თვალსაჩინო ნიმუშად
არ გამოგადგებათ

სიცოცხლეში
ისე მიყვარდა თავისუფლება
რომ მკერდის ძვლები გამოვტეხე
და მივუშვი გული ნებაზე
თითოეული ნეკნიდან კი
ვდილობდი
ქალი გამომეძერწა

თავს კი
ცხოვრების საკითხებზე
ვიტეხდი მუდამ

რა თავის ქალა
რის თავის ქალა...

ამაოების მწუხრი

ყოველდამ

მკვდარი

საფლავის ქვას

მალლას სწევს და

თითით ამოწმებს

ხომ არ წაშლილა

ქვაზე

სახელი

*** * *(მუდამ ორნი ვართ...)**

მუდამ ორნი ვართ
ერთადერთი მზის ქვეშ –
მე და ეს ჩემი ჩრდილი
როცა ვმღერი
მისმენს იგი
ხოლო როცა ვწერ
კითხულობს ხოლმე

ვარსკვლავების ქვეშ ღამით
თითქმის უხილავი ვარ
ყოველი ვარსკვლავის სინათლისაგან
პანანინა ჩემი ჩრდილი
ეცემა მიწას
და თითოეულს საკუთარი აზრი აქვს
ჩემზე
მისი ვარსკვლავის შუქს რომ ვფარავ
ასე რომ ღამის ყიამეთში
ძალზედ ვიბნევი
ველარავის ვეუბნები
საკუთარ სათქმელს

შორეული ვარსკვლავების
ყურადღების მიუხედავად

დავინყება

სუყველაფერს ივინყებენ: მთვარე
დარჩათ ძველ კარადაში,
იქ ის თაგვებმა შეახრამუნეს,
წრუნუნებმა
გაჩენის დღიდან იწყეს ფრქვევა
სინათლისა,
კატები მათ აღარ ჭამდნენ,
ეშინოდათ,
დაიხოცნენ კატებიც და დავინყეს
მათ შესახებაც...

ჩემი ენა

ჩემი ენა – გადამტანი
ბაბილონის გოდოლისა
და სპილოს ძვლის
სუყველა კოშკის
სატელევიზიო
ანძის ქვეშ ძევს
ახლა მდუმარედ

*** * *(ამ უცნაურ სასაფლაოზე...)**

ამ უცნაურ სასაფლაოზე
უცნაური კუბიანი საფლავეები
იყო, და მე ვკითხე დარაჯს,
ვინაა აქ დამარხული, და მან
მითხრა, რომ აქ დამარხეს
კუბიანები, რომლებიც ასე მოიღუნნენ,
იმიტომ რომ ცხოვრობდნენ და იხოცებოდნენ
ისტორიის მკვეთრ მოსახვევზე,
მე ვკითხე, სამარემ ისინი რატომ
ვერ გაასწორა, მაგრამ დარაჯმა
არაფერი მიპასუხა ამაზე და ბურგი
მაქცია, და შევამჩნიე,
რომ თურმე ისიც კუბიანია

წიგნის მსგავსი ადამიანი

წიგნის
მსგავსი ადამიანი
წევს თავისთვის ტახტზე
კითხულობს
ოცნებობს
რომ ყველაფერი იყოს ისე
როგორც წიგნებში

საკუთარ თავს
გადადებს ხოლმე
თაროზე შემოდებს
და ივინყებს

ველარ პოულობს
ველარ ფურცლავს
საჭირო გვერდზე

აზრზე მოდის რაღაც მომენტში
და თუკი ვინმე ახლოს დალანდა
ეკითხება:

არ წაგიკითხავთ?

*** * *(ნამღერია შენი სიმღერა...)**

ნამღერია შენი სიმღერა
ბულბულო და
მოდის ჟამი
მგლის ყმუილის
გველის სისინის
აფთრის კივილის
ნიანგის ცრემლის
და ლომის
წილის

დროის ოდა

ო!

ო, შვიდის ნახევარი!

ო, შვიდს აკლია თხუთმეტი! ო, ხუთი აკლია!

ო, დილის შვიდი!

ო, რვა! ო, ცხრა! ო, უკვე ათი!

ო, თერთმეტი! ო, თორმეტი! ო, პირველი!

ო, შუადღის შესვენება! ო, ტვინის ძილი

ნასადილეზზე! ო, ფავნების ნახევარდღიანი

დასვენებები! ო, ცნობები

უკანასკნელი! ო, კოშმარი! ო, ვახშამი!

ო, ბოლო წვეთი! ო, ქარიშხლის

ბოლო ღრუბელი! ო, ფოთოლი

უკანასკნელი! ო, პომპეის უკანასკნელი

დღე! ო, ჟუჟუნა წვიმის შემდეგ

ხუთშაბათობით! ო, ჩვენს შემდეგ

წაუღია ყველაფერი წარღვნას! ო, თორმეტის

ნახევარი! ო, აკლია ხუთი წუთი!

ო, შუალამე!

ო, შუადღე!

ო, შუალამე!

ო, პირდაპირ შუბლში ტყვია!

ო, მოსკოვის დროით!

ო, ვის უხმობს ზარი!

ო, საათის რეკვა! ო, კარგები, ბედნიერები!

ო, თერთმეტის ნახევარი!

ო, შუადღე!

ო, შუალამე!

ო, აკლია ხუთი წუთი!

სიცილი (1991)

სიცოცხლის შემოტევისას
ადამიანი იცინის და
კბილებს აჩენს –
თავის ქალის
ყველაზე ხანმოკლე
ნაწილს

სიკვდილი მოდის
ისე როგორც სიცილის
სიკვდილი

მოსახლეობის აღწერა

მოსახლეობის აღწერამ
გამახსენა შუასაუკუნო კამათები
იმის შესახებ
თუ რამდენი ანგელოზი
შეიძლება დაეტიოს ნემსის წვერზე

ახალ (საბჭოთა) დროში
ეს იყო ზოგიერთი
კომუნალური პრობლემის
მოგვარების მოდელი

ახალ (პოსტსაბჭოთა) დროში
ეს უკვე ვითომდა პიროვნული ფასეულობების
ერთგვარი კრიტერიუმია:
ანკეტის მთავარი კითხვაა,
თუ რამდენი კვადრატული მეტრი
მოდის ერთ სულზე.

ესაა ყველაფერი,
რაც ღირს, რომ იცოდეს სახელმწიფომ
ჩემი სულის შესახებ.

ადამიანური უსამართლობა

ორი ხელი
ბევრი პირის
გამოსაკვებად

და ბევრი ხელი
ერთი პირის
გასაჩუმებლად

ერთი ნეკნი
ერთი ქალის
შესაქმნელად და

ოცდაოთხი ნეკნი გულის
გალიაში
გამოსამწყვდევად

ოცდათორმეტი კბილი
იმ ენას რომ
დააჭირო

რომელიც ცდილობს
საერთო ენა
გამოუძებნოს

კბილებამდე იარაღასხმულ
კაცობრიობას

დაყოვნებული ნახტომი

(რუსულიდან თარგმნა თამარ კოტრიკაძემ)

...პირველსავე გაკვეთილზე თავბარი ეცა. კლასში ერთდერთი მოწაფე დახვდა, ბოლო მერხს რომ უჯდა და მასწავლებლის შემოსვლისთანავე დინჯად და მოწინებით წამოდგა ფეხზე.

– რა გქვია? – ჰკითხა მან ერთადერთ მოწაფეს, თანაც გაიფიქრა, რა კარგია, მართო რომაა და პატრონებისათვის სრულიად შეუფერებელი უამრავი სახელის დახსომებით ტვინის გაცხელება არ მომინევსო.

– იაშა მქვია, – უპასუხა მოწაფემ და გონივრულად დაუმატა,
– იაშა დიდების ენაზე იაკობია.

– იაშა, დანარჩენი მოწაფეები სადღა არიან?

იაშამ ხელისგულები შეატყუპა, თითქოს ამით სიმართლის და მხოლოდ სიმართლის თქმას კისრულობდა, თავი დახარა, მაგრამ მაინც მკაფიოდ უპასუხა:

– დანარჩენმა მოწაფეებმა სავსებით შეიძლება დაიგვიანონ, რადგან პირველი მეცადინეობა ყველაზე უფრო დამღლეელია. მოგეხსენებათ, ახალი პიროვნების გაცნობა დამღლეელი რომაა, აი, მეორე მეცადინეობაზე კი უკვე მეტი მოწაფე შეიძლება მოვიდეს, თუკი გამოცდილება შექენილისაგან, ანუ ჩემგან, გაკვეთილის თაობაზე დადებით გამოხმაურებას მიიღებენ. თუმცა შეიძლება ისეც მოხდეს, რომ დადებითი გამოხმაურების შემთხვევაშიც კი ბევრი არ გამოჩნდეს, რადგან მათ, უფრო სწორად კი, მათ ნაცვლად მშობლებმა პირველ ენად ინგლისური აირჩიეს, – ჩვენთან არჩევანი თავისუფალია, –

რადგან ინგლისური მსოფლიო ქსელში მუშაობას აადვილებს და, გარდა ამისა, ჩვენი მშობლიური ქსელიდან მეტ-ნაკლებად წარმატებული გაღწევის გარანტიას იძლევა.

მოწაფე დადუმდა, მასწავლებელი კი მისი ლექსიკონისა და სინტაქსის უცნაურობამ გააკვირვა, რომლის მიღმაც სავსებით გასაგები აზრი იდო. მართლაც, თუკი ლიტერატურის შერჩევა თავისუფლად ხდება, მაშინ ენაც რატომ არ უნდა აირჩიო თავისუფლად, რათა მისი მეშვეობით უფრო და უფრო დიდი თავისუფლებისაკენ გააღწიო?

– მაინც რით ასაბუთებენ მოსწავლეები ან მათი მშობლები ენის არჩევანს?

– ენის არჩევანს ისინი, პირველ რიგში, სტრატეგიული მოსაზრებებით ასაბუთებენ, – უცნაურად მკაფიოდ გამოსთქვამდა ბიჭი, – თუკი ომში დანებება მოუწევთ, ხოლო ომი თუ გაჩაღდა, დანებება გარდაუვალი იქნება, მაშინ სჯობია პოტენციური გამარჯვებულის ენა იცოდე, ხოლო იმ ხალხის ენა, რომელსაც ომს უცხადებენ, უჯობესია, საერთოდაც არ იცოდე.

– საერთოდ რატომ არ უნდა იცოდე? – იწყინა მასწავლებელმა, თან ბუნდოვნად იაზრა, რომ მის ძირგამომთხრელ საქმიანობას ლამის პირველ დღესვე მარცხი ეწერა და სადღაც გულ-მუცელში იგრძნო კიდევ ეს მარცხი: თვითონ სწორედ ამ დამარცხებულთა ენაზე ლაპარაკობს, მაგრამ, როგორც ირკვევა, მისი მოსმენაც კი არავის სურს ამ ზრდილი და განსწავლული ვაჟბატონის გარდა.



– საერთოდ არცოდნა იმიტომაა გამოსადეგი, რომ, თუკი ტყვედ აგიყვანენ, საფიქრებელია, აღარ განამონ, რადგან მშობლიური ენის არმცოდნეს სახელმწიფო თუ სამხედრო საიდუმლოზე ხელი არ მიუწვდება.

ამ პუნქტში მასწავლებელი ვერ დაეთანხმებოდა, რადგან საკუთარი მწარე გამოცდილებით ბევრი ისეთი რამ იცოდა, რისი გახსენებაც კი ზარავდა: რა გაქნილი

მეთოდებით აღარ უცდიათ მისთვის ინფორმაციის ამოცლა, ან თვითონ რა ტანჯვა-წამება გამოუვლია მტრული ენის მატარებლის ასალაპარაკებლად.

– ომი როდისღა დაიწყება? – თავი მოისულელა აგენტმა, რადგან ერთბაშად ჩვეულ სტიქიაში იგრძნო თავი.

– ომი? ომი რახანია მიმდინარეობს, ოღონდ, სამწუხაროდ, მოწინააღმდეგესთან უშუალო კონტაქტის გარეშე, ამიტომაც ტყვედ ჩავარდნა ნაკლებ სავარაუდოა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც მნიშვნელოვან დანაკარგებს განვიცდით. ხომ ხედავთ, მარტო დავრჩი.

რალაცას ეშმაკობს ეს მოწაფე. რალაცას უმაღლავს. ან, უბრალოდ, მასხრად იგდებს.

– მაინც რატომ ითვლება აქ, თქვენთან, რომ ტყვედ ჩაბარება ინგლისური ენის ცოდნით სჯობს და არა, თუნდაც, არაბულის ან ჩინურისა? – იკითხა იმ შეფარული

მოსაზრებით, ეგებ კიდევ მომიწოს ამა თუ იმ დაბვერვაზე მუშაობაო, მაგრამ ერთბაშად გააჟრჟოლა: როგორ წამოსცდა «აქ, თქვენთან»? – სხვა ვითარებაში წამსვე წაავლებდნენ ხელს: როგორ თუ «ჩვენთან»? თქვენ თვითონ საიდანღა ბრძანებითო, მაგრამ გონიერ მოწაფეს ამისთვის მნიშვნელობა არ მიუნიჭებია, ან, იქნებ, უბრალოდ, არ შეიმჩნია.

– ეს ინგლისური სკოლაა, – გულუბრყვილოდ უპასუხა მოწაფემ, – მაგრამ ვინც წესიერად დაეუფლება ინგლისურ ენას, შესაძლებლობა ეძლევა, სურვილისამებრ, არაბული ან ჩინურიც შეისწავლოს. არსებობს თვალსაზრისი, ან, შესაძლოა, ეს ცრურწმენაც იყოს, რომ უმჯობესია, ჩინელებს ან არაბებს ინგლისურის ცოდნით ჩაბარდე. ვარაუდობენ, რომ მუდამ გვექნება არაბებისა თუ ჩინელებისათვის ამ ენაზე სათქმელი, და ისინი ამას ჯეროვნად შეაფასებენ კიდევ. ნოუ ჰაუ, სალამ ალეიქუმ! პოპულარული ვიდეოკლიპიდან სიმღერის შესრულებაც შეიძლება, ოღონდ მამაკაცთა საზოგადოებაში, თორემ თაყვანისმცემელმა ქალებმა შეიძლება ნაკუნებად გაგგლიჯონ, მამაკაცთა საზოგადოებასთან კი, საბედნიეროდ, პრობლემები არ შეიქმნება, რადგან მეომარ მხარეს, როგორც წესი, მამაკაცები წარმოადგენენ, ყოველ შემთხვევაში, წინა ხაზზე მაინც.

მასწავლებელი დაიძაბა, რადგან მას მითითება ჰქონდა მიღებული, სწორედ მამაკაცების საზოგადოებაში გამოეყენებინა კანიბალიზმი თვალისამხვევ მანევრად. უნებლიე სიბრაღულით დახედა თავის ერთადერთ მოწაფეს, რომელიც, ასე თუ ისე, მაინც მამაკაცთა სქესს მიეკუთვნებოდა. ბიჭი საკმაოდ უღიმღამო შესახედი იყო: ტანდაბლი, თუმცა ტანს კიდევ აიყრის, მხრებში ვიწრო, თუმცა მხარ-ბეჭსაც შეისხამს. ხომ უსათუოდ დადის

ფიზკულტურის გაკვეთილებზე, საყვარელი ენების ლექსიკონებით ხელში ადგილზე ხტომასა და სირბილშიც ვარჯიშობს. მოწაფეს სათვალე არ ეკეთა, მაგრამ მის ახამხამებულ თვალებს რაღაცნაირად მოუხდებოდა სათვალე, რომელიც მის ფართო, ოდნავ მარცხნივ მოქცეულ ცხვირსაც გაამართლებდა. თხელ ტუჩებზე ოდნავ დამცინავი ღიმილი დასთამაშებდა, ეს დაცინვა უფრო საკუთარი თავისადმი უნდა ყოფილიყო მიმართული, აბა, იმ მასწავლებელს ხომ არ დასცინებდა, რომლის ერთადერთი მსმენელი თვითონ იყო? ეს ღიმილი მაშინ ქრებოდა, როცა ლაპარაკს იწყებდა, ხოლო შეჭმუხნილი შუბლით მასში მომავალ მასწავლებელს ამოიცნობდით და ამ ფონზე ცხადი ხდებოდა, რომ ჯერაც უსწავლელი საკუთარი თავის დაცინვა მომავალში სხვა უსწავლელთა მიმართ დაცინვით შეიცვლებოდა. მისი მოსაწყენი იერსახის მიუხედავად, ამ მოწაფის დაკარგვა დასანანი იქნებოდა: მასთან მუშაობა სასიამოვნოც კი იქნებოდა, რადგან მისი პასუხები მთლიანად შეავსებდა მეცადინეობისათვის გამოყოფილ დროს. რათა აერიდებინა თავი ომის თემისათვის, რომლის თავს მოხვევა თავისთავად უკვე საეჭვოდ ეჩვენებოდა, მასწავლებელი ისევ რუსული ენის თემას დაუბრუნდა.

– ჰო, მაგრამ ჯერ ხომ ტყვედ არ ავუყვანივართ, – ხუმრობას შეეცადა იგი, – და ერთმანეთს ჯერჯერობით რუსულ ენაზე ვესაუბრებით, რომელსაც უშუალო კავშირი აქვს ოდესღაც დიად რუსულ ლიტერატურასთან. სასწავლო პროგრამას კიდევ დავუბრუნდებით, მაგრამ დანარჩენები, ვინც გაკვეთილზე არ გამოცხადდა და ვის მოსვლასაც ალბათ აღარც უნდა ველოდოთ, საინტერესოა, რა ენაზე ამყარებენ ერთურთთან კავშირს ამჟამად, ვიდრე ტყვედ არ ჩაცვენილან?

ეჭვი არ იყო, იაშა ამ კითხვისთვისაც სათანადოდ იყო მომზადებული.

– თქვენ რა, არაფერი გსმენიათ ჩვენი სამინისტროს პროგრამის შესახებ, რომელსაც ხალხში «პროექტი არინა როდიონოვნა» ეწოდება? დღესდღეობით ჩვენში შეძლებულ ოჯახებში ბავშვებს გადიები ზრდიან. და, როგორც ოდესღაც პუშკინის გადია, წერა-კითხვის უცოდინარი არინა როდიონოვნა რუსული პოეზიის ამომავალ მზეს უმშვენიერეს ზღაპრებს უამბობდა, დღევანდელი გადიებიც სწორედ ასე უამბობენ ბავშვებს თანამედროვე ქალაქურ ფოლკლორს. ეს დღევანდელი საჭირობოროტო ზღაპრები იმითაცაა კარგი, რომ ჩანასახში შეიცავს როგორც მხატვრული, ისე სქესობრივი აღზრდის ელემენტებსაც, ამასთან «პროექტი არინა როდიონოვნა» მშობლებს ურჩევს, გოგონებს მამრობითი სქესის გადიები აუყვანონ, რაც, სხვათა შორის, ბომჟების პრობლემის მოგვარებასაც დაეხმარება, ბიჭებს კი – მდედრობითი, რადგან ეს ნდობის ფაქტორს აძლიერებს. ამ სკოლანდელ განათლებაში ჩვენს ქვეყანაში საშუალო კლასის ფორმირების წინაპირობებია ჩადებული: მამაკაცები ერთგვარ ქალურობს იძენენ, ქალები კი – მამაკაცურობას. ხოლო რუსულ ენას რაც შეეხება, ის მხოლოდ ჩვენი კი არა, სხვა სკოლების უმცროს კლასებშიც შუამავალ ენად განიხილება კომერციის მოთხოვნებისათვის უფრო ეფექტურ ენაზე გადასასვლელად.

– ანუ ინგლისურზე, – იაზრა მასწავლებელმა.

– არამართო, – ხაზგასმით მიუგო იაშამ, – არინა როდიონოვნასაგან შეძენილი რუსული ენის მეშვეობით წარმატებით შეიძლება ნებისმიერ ენაზე, თუნდაც პოეტურ

ჟარგონზე გადასვლა, თუმცა ჩვენი სკოლა ამ გზას უარყოფს, როგორც ჩიხს.

– როგორ უარყოფს, დისციპლინარულ დონეზე? – საბოლოოდ შეჰყვა განათლების თემაზე საუბარს მასწავლებელი, – თუ რუსული ლექსი დაწერე, კუთხეში გაყენებენ, ან მშობლების მოსაყვანად გიშვებენ, თუ რა?

– ჩვენთან თუ ვინმე მშობლების მოსაყვანად გაუშვებს, შეიძლება უკან არც მობრუნდეს, – იაშას ხმაში ჩუმი დარდი გაერია, – არა, ასეთ შემთხვევაში მგოსნისაგან მისი საქციელის ახსნა-განმარტებას მოითხოვენ: რისთვის, რატომ და როგორ დაწერა ლექსი, და, რაკილა ამას ავტორი ვერანაირად ვერ ახსნის, მეორედ მსგავს რამეს აღარ გაბედავს.

– კი, მაგრამ, დიდ რუსულ ლიტერატურას რაღა ვუყოთ, რომელსაც დღემდე ეთაყვანებიან დასავლელი მკვლევრები თუ აღმოსავლელი მწიგნობარნი?

– ლიტერატურას, ასე თუ ისე, ბოლოს უღებს ისტორია. უახლესი ისტორიული კვლევები, – იაშა ფეხზეც კი წამოდგა და მერხებს შორის ცარიელ გასასვლელში ბოლთის ცემას მოჰყვა, – რომლებიც სულ უფრო ზუსტ მათემატიკას ეყრდნობა, ამტკიცებს, რომ მთელი დიადი რუსული ლიტერატურა დიადი რუსი მწერლების მიერაა შეთხზული ერთდერთი მიზნით: მთელი კაცობრიობისათვის თავს მოეხვიათ დიადი რუსული ენა. ჰოდა, უახლესი გამოთვლები გვიჩვენებს, რომ ეს მწერლები სულაც არ ყოფილან დიადნი და, რაკი მათი სიდიადე ვერ მტკიცდება, ისინი იმდენად მცირენი არიან, უსასრულოდ მცირენი, რომ ახლოდან დათვალიერებისას ირკვევა: ისინი საერთოდაც არ არსებობენ. ეს მწერლები ლიტერატურის ნაკლებმნიშვნელოვანმა ისტორიკოსებმა გამოიგონეს და

დაამკვიდრეს, მაგრამ ისტორია წარსულს ბარდება, მასთან ერთად კი ისტორიკოსების მიერ შეთხზული ლიტერატურაც...

ამ დროს ზარიც დაირეკა და იაშამ მასწვლებელს თავაზიანად, მაგრამ საკმაოდ მტკიცედ გაუყარა ხელკავი, რათა შეწინააღმეგება ვერ გაეხდებოდა, და შესთავაზა, სასწავლო პროცესის სხვა მხარეებსაც გაგაცნობთო.

დერეფანში მოწაფეები განზე დგებოდნენ და გზას უთმობდნენ ორივეს, ზოგი სიგარეტს აწვდიდა ან ამა თუ იმ ნივთის ყიდვას სთავაზობდა, იაშა კი მათ შემოთავაზებებს ხმადაბალი, მაგრამ მტკიცე უარით ისტუმრებდა.

გვერდზე ვეება გალიით, როგორცაც საშინელი ზვიგენების შესახებ ფილმებში აჩვენებენ, ჩამოატარეს კაცი, რომელსაც ტანისამოსი ყველა ღილზე ჰქონდა შეკრული.

– ეს ჩვენი ზოოლოგიის მასწავლებელია, ის ზოოლოგიის გაკვეთილზე მიჰყავთ. მოწაფეებაც გალიებში არიან მოთავსებულნი, რადგან ჩვენთვის თანასწორობა აზრთა თავისუფლებაზე უფრო მნიშვნელოვანია. ხომ მუდამ არსებობს იმის შესაძლებლობა, მასწავლებელმა ისეთი ჭეშმარიტება გამოთქვას, მოწაფეებს რომ არ მოეწონებათ.

გამოიარა აირწინალიანმა კაცმა, თავზე ფარფლებიანი ქუდი რომ ეხურა. მათ დანახვაზე ქუდი მოიხადა და ხორთუმი დაუხარა, შემდეგ კი შეაბიჯა კლასში, რომლის კარიც ჰერმეტიულად იკეტებოდა: მისი შესვლისთანავე ის მისმა აგრეთვე აირწინალიანმა ასისტენტებმა დალუქეს.

– ეს ჩვენი ქიმიის მასწავლებელია, ქიმიის მეცადინეობა, როგორც წესი, ღია გაკვეთილია, რომელზედაც არამარტო მოწაფეებს, არამედ ქუჩიდან მოსულ მათ ამხანაგებსაც,

ზოგჯერ კი მასწავლებლით უკმაყოფილო მშობლებსაც შეუძლიათ უცნობ-ნაცნობი რეაქტივები შემოიტანონ ცდებისათვის.

მეზობელი კლასიდან საკაცე გამოაგორეს, რომელზედაც, სავრაუდოდ, გვამი ესვენა, ზედ სისხლიანი ლაქებით გაჟღენთილი ზეწარი ეფარა. იაშამ ფრთხილად გადასწია ზეწარი, ისე, რომ მის გარდა ვერავის ჩაეხედა, მერე თანხმობის ნიშნად თავი დააქნია და საკაცის თანმხლებთ ანიშნა, გზა გაეგრძელებინათ.

– ეს ჩვენი მორიგი ანატომიის მასწავლებელი იყო. ანატომიის მასწავლებლები დიდხანს არ გვიჩერდებიან. ყველაზე უფრო თავგანწირული პროფესიაა, ეს ბუდისტურ ტყეებში საკუთარი ხორციით ძუ ვეფხვების გამოკვება არ გეგონოთ, – დაასკვნა იაშამ, თუმცა ტყეების შესახებ ფრაზამ, სავრაუდოდ, მხოლოდ ახალბედა მასწავლებლის დაძრულ ცნობიერებაში გაიჟღერა. გულისყურიანმა იაშამ, როგორც ჩანს, აღარ ინდომა მისი ყურადღების უსიამოვნო თემაზე გამახვილება და სხვაგან გადაუხვია:

– იმას თუ დაუკვირდით, რა სიჩუმე სუფევს აქ, ჩვენთან, სულ ერთია, რაც არ უნდა ხდებოდეს. საქმე ის გახლავთ, რომ ქიმია იქნება თუ გეომეტრია, სწავლება თითქმის მთლიანად უენოდ მიმდინარეობს. ჩვენი მიზანია, მოწაფემ ყველაფრის უსიტყვოდ წვდომა ისწავლოს და, ამგვარად, დამოუკიდებლად აზროვნებას შეეჩვიოს. რადგან, თუკი ის სიტყვების მეშვეობით აზროვნებს, სიტყვები კი მთლიანად სხვისია, მაშ, აზრებიც თავისი კი არა, უცხო ექნება. შედეგად რას ვიღებთ? სრულიად უცხო ადამიანს. ასეთები ჩვენ არ გვჭირდება. ასეთი არც თქვენ გჭირდებათ, – იაშამ თავისი ჩამქრალი თვალებით გამსჭვალა აგენტის აწრიალებული თვალები და, აქაოდა, არაფერი

შემინიშნავსო, შეწყვეტილი ლექცია განაგრძო: – მხოლოდ მას მერე, რაც მოსწავლე უსიტყვო წვდომაში საკმარისად დახელოვნდება, მას შეუძლია საკუთარი სურვილისამებრ აირჩიოს დედაენა. რადგან, თუკი მას თავიდანვე თავს მოვახვევთ ამა თუ იმ ენას, ეს სხვა არაფერი იქნება, თუ არა ტოტალიტარული აზროვნების აღზრდა...

– კი მაგრამ, არინა როდიონოვნა? – შეიჭრა მის საუბარში საიდუმლო აგენტი.

– ოჰ, კარგი, თუ ღმერთი გნამთ, ისინი, როგორც წესი, ან ყრუ-მუნჯები არიან, ამ ყრუ-მუნჯის როლის სათამაშოდ საგანგებო სწავლება აქვთ გავლილი, ძირითადად კომიქსებით მუშაობენ, ან, უბრალოდ, ბავშვებთან ერთად ტელევიზორს უყურებენ, რომელიც მეტი მოხერხებულობისათვის სააბაზანოშია მოთავსებული. სააბაზანო, როგორც ალბათ გესმით, ბავშვის ოთახში, ანუ საძინებელში გასასვლელს წარმოადგენს. მაგრამ ჯობს ისევ ჩვენს ცხენებს დავუბრუნეთ. დედაენის შერჩევით მოწაფეს საშუალება ეძლევა, სასურველი მშობლებიც ამოირჩიოს, თუკი საერთოდ მოისურვებს მშობლების ყოლას. ამიტომაცაა, რომ გამოთქმა «მშობლების მოსაყვანად გაგზავნა», რომელიც თქვენ ახსენეთ, როგორც ერთობ განუსაზღვრელი ძალის მხრიდან მოწაფეზე ზეგავლენის მოხდენის ხერხი, სხვა საზრისითაა დატვირთული და მოწაფის უმაღლეს შინაგან მოწიფულობას გულისხმობს. მშობლების არჩევით ვირჩევთ ჩვენთვის შესაფერის სამშობლოსაც. ამით ეგრეთ წოდებულ «ისტორიულ» სამშობლოს როდი ვგულისხმობთ, ისტორია საერთოდ არ მიგვაჩნია ზუსტ მეცნიერებად: ისტორიას, გეოგრაფიისაგან განხვავებით, ვერ აირჩევ. ისტორიამ შეიძლება ტოტალიტარიზმი გამოიწვიოს, ამიტომ მასთან საქმე დამთავრებული გვაქვს. ამგვარად,

სამშობლო შეიძლება იყოს იდეოლოგიური, თუკი მათთან დაკავშირებით გარკვეული იდეები გაქვთ, ანდა ტოპოგრაფიული, ნუ მხოლოდ და მხოლოდ მიწიერ სივრცეში დაფიქსირებული, თუკი მათთან დაკავშირებით გამოკვეთილი იდეები არ გაგაჩნიათ. სხვათა შორის, ამიტომაცაა, ჩვენი ლექსიკონიდან სამუდამოდ რომ გაქრა ისეთი უარყოფითი კლიშეები, როგორიცაა «უცხოტომური გავლენა», «უცხოური კაპიტალი», «უცხო შეხედულებები»... ეს მართლაც გაინტერესებთ?

– როგორ არა, როგორ არა, ფრიად მაინტერესებს, – თავი დააკანტურა ახალბედა პედაგოგმა, ხოლო, როგორც აგენტმა, იაკობის სახით მხოლოდ ინფორმანტი კი არა, ქმედითი ძალაც დაიგულა, ერთგვარი გავლენის აგენტი, რა დასანანია, რომ ჯერ მხოლოდ მოწაფეა, თუმცა შორს წავა, ცხადია, თუკი თავის მშობლიურ ენას დაივიწყებს, – თქვენ ისე გამოწვლილვით მაცნობთ თქვენს სკოლას, რომ ცნობების უკეთეს მიმწოდებელზე ვერც კი ვიოცნებებდი, მაპატიეთ, არც კი ვიცი, რა გინოდოთ, სკოლის დირექტორიც კი ვერ მიჩვენებდა ყველაფერს თქვენზე უკეთ.

– ჰოდა, მე სწორედ სკოლის დირექტორი ვარ, – უცბად მიახალა იაშამ და ერთბაშად სიმაღლე თუ არა, ასაკი და სოლიდურობა მაინც შეემატა, – იმედი მაქვს, ამ პატარა გამასხარავებას მომიტევენ, მაგრამ ჩვენი აუცილებელი იყო, თქვენში საქმისადმი ის რუდუნება დაგვენახა, რომელიც ასე გვჭირდება. ვფიქრობ, ერთურთს შევეწყობით. ოღონდ რუსულის ნაცვლად გერმანული ენის სწავლება მოგიწევთ.

– ეს როგორ? – გაშრა აგენტი, – საიდან მოიტანეთ, რომ გერმანული ვიცი?

– სულ არ მაღარდებს, იცით თუ არა გერმანული, ჩემმა მოწაფეებმა კი უნდა იცოდნენ! თანაც, სიმართლე გითხრათ, დიდად აღფრთოვანებული არ ვარ თქვენი რუსულით, სულ ერთია, რა დამოკიდებულებაც არ უნდა გვქონდეს ამ ენასთან. გერმანული კი გვჭირდება ინგლისურზე ან ფრანგულზე გადასასვლელად. თქვენი მხედრული გამართულობის შემხედვარემ ჩავთვალე, რომ გერმანული უნდა იცოდეთ. და ეჭვი არ მაქვს, ამ ენაზე ბავშვებისათვის სათქმელსაც მონახავთ. ხვალვე შეუდგებით საქმეს. ახლა კი მეტს აღარ შეგაყოვნებთ! – და დირექტორმა მასწავლებელს ვინრო, ოფლიანი და არცთუ სუფთა ხელისგული გაუწოდა.

მეორე დღეს სავსე საკლასო ოთახში შეაბიჯა, რომელშიც, თუმცა ჯერ პირველი გაკვეთილი იყო, უკვე ტრიალებდა სიგარეტის კვამლი.

– ჰენდე ჰოჰ! – მისაღმების ნაცვლად უბრძანა კლასს. არავინ განძრეულა. ესე იგი, ანა-ბანიდან მოუწევდა სწავლება. მაგრამ იმის გაფიქრებაც კი ვერ მოასწრო, თუ რით დაეწყო, რომ კლასში კომუფლაჟიანი ჯელები შემოცვივნენ, მკლავები ზურგს უკან გადაუგრიხეს და გაიყვანეს. ვიღაცამ, ვისაც ენის სწავლა არ უნდოდა, დააბეზლა, გერმანელიაო.

ვალერი ლიპნევიჩი

კუპრიანოვის ფენომენი

(რუსულიდან თარგმნა თამარ კოტრიკაძემ)

ცოტა ხნის წინათ გამოქვეყნებულ პროზაულ ტექსტში, «ემპედოკლეს ფეხსაცმელი» ვიაჩესლავ კუპრიანოვმა შეისწავლა საქვეყნოდ ცნობილი ლიტერატორის, პომერეშჩენსკის ფენომენი. ის თითქოს არის და, ამავედროულად, არც არის: პოპულარული ადამიანის სახე ბუნდოვნად იკვეთება. მის პოპულარობას სწორედ ჭორებისა და ლეგენდების, სკანდალებისა და მიეთ-მოეთის ბურუსში გახვეული მისი არსებობის ბუნდოვანება განაპირობებს. სწორედ ეს ბურუსი გახლავთ ბატონ (სულ ცოტა ხნის წინ კი – ამხანაგ) პომერეშჩენსკის შემოქმედების ჭეშმარიტი პროდუქტი. ის კულტურას კი არ ქმნის, არამედ კულტურის შეფუთვით, მისი სახელით გვანჯდის მოხმარების პროდუქტს, კულტურის სიმბოლოს. ეს სავსებით საკმარისია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში წარმატებული ტრიალისათვის.

პომერეშჩენსკი არსებობს, როგორც საზოგადოებრივი და კულტურული მოვლენა, ხოლო, როგორც პიროვნება, არ არსებობს. ეს სიტუაცია, პარადოქსულობის მიუხედავად, სავსებით რეალურია. აი, რას წერდა დავიდ სამოილოვი ერთ-ერთ ცნობილ ლიტერატორზე: «უფრო იოლია მასზე საუბარი, როგორც ტიპზე, რადგან ის საკმაოდ სრულად წარმოადგენს ცხოვრებისეულ მოვლენას. მისი ინდივიდუალური ნაკვთები კი თითქოს წაშლილია და პიროვნებად ვერ იკვრება. როგორც ჩანს, შესაძლებელია ისეთი მკვეთრი ტიპის არსებობა, რომელიც მკვეთრ პიროვნებას არ წარმოადგენს». სწორედ ასეთი ტიპაჟი იქცა პომერეშჩენსკის სახის ძირითად ბირთვად.

ლიტერატორთა წრის შესახებ შექმნილ ამ ტექსტში კუპრიანოვმა «არასერიოზული», ირონიული ფორმით, კულტურისა და რეალობის სიმბოლოების ლაღი თამაშით ერთობ სერიოზული მოვლენის მოხელთება და გამოკვეთა მოახერხა: ესაა კულტურის ჩარჩოებში ანტიკულტურული არსებობის შესაძლებლობა.

«Быть притчей во языцех и сведеньем в умах» («ხალხის ენაზე იგავად ქცევა, გონებაში კი უახლეს ცნობად») – ახმადულინას მიერ ჩამოყალიბებული წარმატების ეს ფორმულა თავისი არსით პუშკინისეულია და მის გამოცდილებას აჯამებს, დღეს კი უიმედოდ მოძველებულად გვესახება. რა იგავები? რის უახლესი ცნობები? სამყარო ისეთი სისწრაფით იცვლება, რომ დღევანდელი – დაშტამპული და უსასრულად ტირაჟირებული – ფასეულობები ხვალ აღარავის დასჭირდება. მთავარია, თავში არაფერი დაიგროვო, ისეთი სიცარიელე შეინარჩუნო, იოლად ასავსები და ასევე იოლად დასაცლელი რომ იყოს. კულტურა დიდ ნაგავსაყრელად ქცეულა, რომელსაც სკანდალური პოპულარობის მომწამვლელი სიმყრალე დასტრიალებს. ხელოვანი სახელს იმით იხვეჭს, რომ მაყურებელს შიშველი და ყელზე ჯაჭვგამობმული ხვდება და ქოფაკი ძალღივით ეცემა. შეუძლია საკუთარ თავს პოეტი, ანდა კომპოზიტორი უწოდოს, მისი შემოქმედების პროდუქტი მაინც არავის აინტერესებს. ყველაზე ნაკლებად კი თვით ხელოვანს.

«სკანდალური სახელი, – აღნიშნავდა ჯერ კიდევ ი. გოლოსოვკერი, – კულტურული გმირობით მოხვეჭილ სახელზე ბევრად უფრო სწრაფად ვრცელდება. კულტურული გმირობა ცამდე აჰყავთ, ხოტბას ასხამენ, მის ფასეულობასა და მიღწევას აკანონებენ და ამით

ყველაფერი სრულდება. სკანდალური სახელი კი მსოფლიოს შემოივლის ათასგვარი ვარიაციით, ის აღმატებით ხარისხში აჰყავთ, მისით ხანგრძლივად ტკბებიან, გამოსწოვენ ყველაფერს, რაც კი შესაძლებელია, ამით ცდილობენ საკუთარი არაპოპულარული და მოსაწყენი ყოფის ჯავრი ამოიყარონ; სკანდალს მხოლოდ მაშინ მიატოვებენ, როცა მის ნაცვლად ახალს დაიგულებენ, რომელიც სიახლისა და მასშტაბის წყალობით თავისთავად ძველზე უფრო პიკანტურია...

«სკანდალურობის მიმზიდველობას», საბოლოო ჯამში, მუდამ სულის მკვლელობამდე, ცინიზმის, უზნეობისა და არაადამიანობის გამარჯვებამდე მივყავართ; ეს კი იმაჟინაციური გენიოსის, ანუ წარმოსახვითი შეცნობის უნარით დაჯილოვებული გენიოსის ხარჯზე კრიმინალური ფანტაზიის განვითარებას უწყობს ხელს.»

«საშინლად ვესწრაფვი უცხოთ», – აღიარებს კუპრიანოვი ლექსში «ადამიანური სიყვარული». შესაძლოა, სწორედ ამ სწრაფვამ და «შიშმა: ახლობლებს რა მოვუხერხო» უცხო ენებისა და კულტურებისაკენ უბიძგა, სწორედ ამ სწრაფვით აიხსნება მისი ინტერესი ისეთი ადამიანებისადმი, მას რომ არაფრით ჰგვანან. ეს, პირველყოვლისა, მისი პიროვნების ინტელექტუალურ, მკვლევარ ტიპზე მეტყველებს. ამიტომაც კუპრიანოვის მიერ მისივე ანტიპოდის, პომერეშჩენსკის სახის შექმნა სრულიად ბუნებრივია. ეს სახე დასჭირდა საკუთარი თავის დასაზუსტებლად, რათა საკუთარი პიროვნებისა და შემოქმედების ფარგლებს გარეთ გაეძევიბინა ლიტერატურული და ცხოვრებისეული ქცევის უცხო, თუმცა მაცდური ტიპი.

არადა, რა საამოა, არაფერს წარმოადგენდე და მაინც ყველას პირზე იგავად ეკერო. ეს თავის დამკვიდრებას

შემოქმედების უმთავრეს მიზნად აქცევს, ხოლო ხმაურიან წარმატებას – მიღწეული მიზნის საზომად. პომერეშჩენსკი მხოლოდ კუპრიანოვს როდი ელანდებოდა წინათაც და დღესაც ელანდება. ის მას ემიჯნება, თუმცა იაფფასიანი პოპულარობის, ყოფით დონეზე მოხვეჭილი სახელის ცდუნება – როცა მეტროსა და პურის რიგში გცნობენ, – ყოველი ავტორის სულში ცოცხლობს. მაგრამ ცდუნება ცდუნებადვე რჩება. პრაქტიკაში ეს შეუძლებელია. ამისათვის ავტორიც თავისი ანტიპოდი პერსონაჟით ყალბი და ყველასთვის მისანვდომი უნდა ყოფილიყო.

მისგან განსხვავებით, კუპრიანოვი «კულტურულ გმირობაზე», ქაოსთან დაპირისპირებაზეა ორიენტირებული, ამაში ხედავს თავის პიროვნულ და ზოგადსაკაცობრიო მოწოდებას. როგორც მისი «ბამბუკის ჭილოფის ჩუქურთმების» ერთ-ერთი პერსონაჟი ამბობს: «განა ღირს, უვარგისი ვამრავლოთ, მომხიბვლელი და სათნო კი შევამციროთ?» მხოლოდ ამ პოზიციაზე მდგომი ადამიანი თუ შენიშნავს, რომ «ვარსკვლავები ერთურთის მიმართ უფრო ყურადღებიანნი გახდნენ», თუმცა მისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე ღამის წყვდიადი სულაც არ შემცირებულა. შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ეს არ კმარა, რომ სინათლის წყვდიადზე სარწმუნო გამარჯვება არ მომხდარა, მაგრამ მთავარი ხომ პოლარულ საწყისთა ბრძნული წონასწორობის შენარჩუნებაა: ჩვენი სამყაროც და ყოველივე, რაც მას ავსებს, ხომ მხოლოდ ამ უფაქიზესი წონასწორობის ხარჯზე არსებობს.

ვფიქრობ, შეიძლება ვისაუბროთ არა მხოლოდ პომერეშჩენსკის ფენომენზე, არამედ კუპრიანოვის ფენომენზეც: ისინი ერთი მეორეს გამოკვეთენ. თუკი კუპრიანოვზე ვიტყვით, რომ ის პოეტი, მთარგმნელი, კრიტიკოსი, პუბლიცისტი და პროზაიკოსია, – ამით

არაფერს ვიტყვით. ეს ყოველივე მხოლოდ წახნაგებია იმისა, რაც თანდათან, შეუცდომლად ეცხადება სამყაროს. კუპრიანოვი გვთავაზობს აზროვნებისა და პიროვნების იმ ტიპს, რომლის მოთხოვნილებაც თანდათან მომწიფდა სამყაროში. რასაც არ უნდა აკეთებდეს, ეს, საბოლოო ჯამში, მაინც ერთი და იგივე საქმიანობაა: «გონების უღრანი ტყის» ამოძირკვა.

ჩვენი მკითხველი უკვე, რახანია, გაქალაქელდა, ემოციებს თავშეკავებულად გამოხატავს, რაიმე ხრიკით თუ შეტევით შთაბეჭდილების მოხდენის მცდელობებს, საუკეთესო შემთხვევებში, ღიმილით ხვდება. მკითხველს ბუნებრივი და ჰარმონიული პიროვნების ხიბლი იზიდავს.

არაკორექტულად მიმაჩნია, კუპრიანოვის მიერ პროპაგანდირებულ ვერლიბრში მხოლოდ განსაკუთრებული სემანტიკურ-სინტაქსური სისტემის დანახვა და მისი ადამიანური, იდეოლოგიური შინაარსის უგულვებელყოფა. თანამედროვე რუსული ვერლიბრის მიღმა ახალი «ფიქრები», ახალი – ინტელექტუალური – ემოციები. ისინი ძველისაგან თითქმის ისევე განსხვავდება, როგორც ელექტრომილაკიანი რადიომიმღები – თანამედროვე, ტრანზისტორიანი და თხევადკრისტალებიანი რადიოსაგან; თუმცა მათში გამავალი დენი, რასაკვირველია, ისევდაისევ ადამიანის გულიდან მოედინება. მაგრამ ამ დენის მახასიათებლებიც გარკვეულწილად შეიცვალა, სივრცის აზრსმოკლებული გათბობა ახლა უკვე გამორიცხებულია.

თავისუფალ ლექსს ნებისმიერი ნამდვილი პოეტი წერს. სწორედ ამ თავისუფლებით გამოირჩევა მელექსეთა ბრბოში. ვერლიბრის ყველაზე დაჟინებული მქადაგებლის ახალი წიგნი გარითმული ლექსებით იხსნება, რაც იმას

ამტკიცებს, რომ ვერლიბრი და კლასიკური ლექსი ანტიპოდები კი არა, სიტყვის ხელოვნების წახნაგებია.

კუპრიანოვი ხალხის სიმრავლეს კი არა, ერთადერთ მკითხველ-მსმენელს მიმართავს, აწვდის იმას, რაც მნიშვნელოვნად, საინტერესოდ მიაჩნია, საპასუხოდ კი თანაგანცდასა და «აზრის გამობრწყინებას» მოელის. ის თავშეკავებული და დახურულია, რაც რუსული ლიტერატურისათვის ტიპური არ არის. შეიძლება ითქვას, რომ გასხივოსნებებიც «წინასწარ გათვლილი» აქვს. როგორც კრიტიკოსი, ალბათ, წინ უსწრებს კიდევ საკუთარ მხატვრულ ტექსტებს. ჩვენს წინაშე წარმოჩენილი სახე ზოგ მომენტში მეტისმეტად განზოგადებულად გვეჩვენება, მასში უჩვეულოდ ცოტა «სიბინძურეა», – მეტადრე, პომერეშჩენსკის ფონზე – ცოტაა გულისამაჩუყებელი პირადი დეტალი, მომხიბლავი წვრილმანი. ის ტლანქ სინამდვილეზე მაღლა დგას და, მრავალი თანამეროვისაგან განსხვავებით, საჭმლის მომნელებელი ორგანოების რეფლექსებს სულის ისტორიად არ გვისაღებს. პოეტს ძალუძს კულტურის მოცემულობათა მოხელთება და ახლებურად მოაზრება, მაგრამ ეს მოაზრება მუდამ დღევანდელ რეალურ პრობლემებს უკავშირდება, რაც პოეტს მოცლილი მნიგნობრობის ბრალდებისაგან ათავისუფლებს. ძველი კალაპოტები მაცოცხლებელი წყლით ივსება.

ლექსშიც, პროზაშიც და კრიტიკაშიც კუპრიანოვი საკუთარი თავის ერთგულია და მისი ცნობა არ გაგიჭირდებათ. იგივე «ბამბუკის ჭილოფის ჩუქურთმები» შეიძლებოდა მის პოეტურ ტექსტებშიც გამოჩენილიყო, ლექსის სტროფებად დანაწევრებული: «რა ძალა უნდა ჰქონდეს წამს, / მარადისობის გასანაყოფიერებლად? / ვინ კრეფს ვაშლებს ელვების ბაღში?» პოეტი იოლად უთავსებს ერთურთს იმ

სამყაროებს, რომლებიც არასოდეს გაერთიანდებოდა, რომ არა ტექსტის მაპროვოცირებელი ველი. მაგალითად, თავის «ჩუქურთმებში» ის აწნავს ასეთ სურთს: ჩინეთის იმპერატორი ხვდება ცარიელი ჭურჭლის ჩასაბარებლად რიგში მდგომ ადამიანებს. ამ დროს ძალზე სასაცილოდ უღერს იმპერატორის მოთხოვნებიც და რიგში მდგომთა ღირსებით აღვსილი ლოგიკაც. მაგრამ მსგავსი სიტუაციების აბსურდულობა მუდამ შეიცავს გარკვეულ შინარსს, აზრის გამობრწყინებას, ტვინის მიძინებულ მონაკვეთებს რომ აფხიზლებს.

ერთურთისაგან შორს მყოფი საგნების მახლოვებელი აზროვნება, რა თქმა უნდა, მეტაფორულია, მაგრამ კუპრიანოვის მეტაფორები უფრო ხშირად სიტყვის დონეზე კი არა, სიტუაციის, მდგომარეობის, გამონათქვამების დონეზე ხორციელდება. ხოლო სახელდობრ მეტაფორები, – როგორც ლექში, ისე პროზაშიც, – არასოდეს თამაშდება მსგავსებისათვის, არასოდეს გვართობს და არც ალამაზებს ტექტს, არამედ მორჩილად ექვემდებარება საზრისს.

*გოთიკური ტაძრები
ცისკენ არიან
მიმართულები
ნუთი-ნუთზე
აფრინდებიან
და უკან რაღაცას
ჩამოიტანენ
ხოლო რუსული ეკლესიები
გუმბათების ოქროსფერი
პარაშუტებით
უკვე დაეშვნენ
დედამინაზე[6].*

«ბამბუკის ჭილოფის ჩუქურთმებში» ჩინური კლასიკური პროზაული ფორმა მოულოდნელად ერწყმის ჩვენთვის ახლობელ, მტკივნეულად ნაცნობ შინაარსს და, საბოლოო ჯამში, კათარზისულ, მართლაც წარსულისაგან განმათავისუფლებელ სიცილს აღგვიძრავს. უცხო სპრიზმით დანახული საკუთარი უკვე მთლად საკუთრად აღარ აღიქმება. რა ხანია ცნობილია, რომ მეზობელ სოფელში თუ ვინმე სულელი გამოერია, ნამდვილი სულელი ცსწორედ ისაა. საკუთარის უცხოდ გასაღება, თუნდაც დროებით, ვიდრე მას არ ამოვიცნობთ, – აი, ამით იქმნება მხსნელი დისტანცია, რომელიც საშუალებას გვაძლევს, მოვლენა მიუკერძოებლად დავინახოთ. მით უფრო, რომ ირონიული ფორმა სწორხაზოვნებისგან, კატეგორიული ფორმულირებისაგან და საპასუხისმგებლო დასკვნებისაგან განთავისუფლებას მოითხოვს. თუმცა აქ ზედმეტია ლაპარაკი ავტორის პოსტმოდერნულ განრიდებაზე: ის უბრალოდ საგულდაგულოდაა შენიღბული.

თუმცა «ჩუქურთმები» მაინც შეესაბამება კულტურაში არსებულ პოსტმოდერნულ სიტუაციას, ამ წიგნის ნათელი, აპოლონური რაციოს მიუხედავად. ის, გარკვეულწილად, პოსტმოდერნული ტექსტების პაროდიადაც შეიძლება აღვიქვათ და მათ აურასა და პრობლემატიკაში ჩაღრმავებადაც. მაინც დიდად ოპტიმისტურად არ გამოიყურება (პოსტმოდერნი, პირველ რიგში, ყოვლისმომცველი სკეპტიციზმია), როდესაც იდიოტებს კრეტინები ჩაენაცვლებიან, თანაც, უკვე მერამდენედ. მაგრამ ამით წყვდიადი უფრო მეტად არ ბნელდება, ისტორია არ მთავრდება და ბინდში ჩაძირულ მკითხველს მაინც აქვს განთიადის იმედი. ალბათ, ამას ავტორის – სიცოცხლის მოყვარული და დაუღლაღვი მოლაღობეს –

სიახლოვე განაპირობებს. სიბრიყვის პროვოცირება მისი საყვარელი გასართობია, სიბრიყვე მის ხელში ბუშტივით იბერება, ბოლოს კი მედიდურობისაგან სკდება. ეს ბავშვობას გვაგონებს: რაგინდ საშინელი იყოს ზღაპარი, მას ვიღაც კეთილი და ძლიერი კითხულობს.

არსებითად, კუპრიანოვის საუკეთესო ტექსტები სწორედ დიდებისათვის ნაამბობი ზღაპრებია, პატარ-პატარა თანამედროვე მითები ლირიკითა და სოციოლოგიით, ფილოსოფიითა და ფსიქოთერაპიით. თუმცა, «უკეთეს დროებაში» წარმოდგენილია ფილოსოფიური ტრაქტატებიც, როგორცაა «ფილოსოფიური წერილები. ჩაადაევიდან». აქ ნახავთ სიახლესაც: პოეტურ ვიდეოკლიპებს. მათში ალბათ კუპრიანოვისეული პრობული გამოცდილება აისახა.

ცხადია, შეიძლება ვილაპარაკოთ ვიაჩესლავ კუპრიანოვის შემოქმედების ხარვეზებზეც: სრულყოფილი ხომ მხოლოდ ალაჰია (და პომერეშჩენსკი). შეიძლება, მაგრამ არ მინდა. მით უმეტეს, რომ შემოქმედებითი პროცესი თვით ადამიანივით მერყევია. იქნებ კუპრიანოვის ნაკლს სწორედ მისი მომეტებული მდგრადობა წარმოადგენს, პომერეშჩენსკისაგან მისი ხაზგასმული და თანმიმდევრული გამიჯნვა, რომელიც გვაფიქრებინებს, რომ პომერეშჩენსკისთან მისი სიახლოვე ბევრად უფრო ღრმაა, ვიდრე ეს თვით ავტორს ჰგონია.

ასე თუ ისე, ცხადია, რომ კუპრიანოვის ტექსტები ცდილობს, მოგვიკლას სულიერების, ფილოსოფიურობის დაგროვილი წყურვილი, დაგვიკმაყოფილოს იმ ნორმალური, ესე იგი, ღიმილიანი პიროვნების მონატრება, რომელსაც დღევნდელი სამყაროს დაკვირვებული წვდომა

ხელენიფება, თანაც ისე, რომ არც სკეპტიციზმის
უკიდურესობში გადავარდეს, არც ოპტიმიზმში.

«დრუჟბა ნაროდოვ», 2004, #10.

2. პოეზია

გიორგი ჩუთლაშვილი

*** * * (ძნელი სათქმელია, რამდენად შემისუსტდა
მგრძნობელობა...)**

ძნელი სათქმელია, რამდენად შემისუსტდა
მგრძნობელობა

სივრცის და დროის მიმართ...

მაგრამ, მარტივად შემიძლია ვთქვა, რომ წონასწორობას
ვინარჩუნებ ჩემს სიკვდილთან,

რომელსაც უკვე 24 წელი

გამჭვირვალე ქოთანში ვზრდი.

მას ყოველ დილით სინათლეს ვუცვლი.

ხანდახან, ჩემს ბავშვობის ფოტოებსაც ვათვალიერებინებ
და ღამესაც ვუთევ.

ეს ისეთი მარტივია, როგორც

ფანჯრის მინის დაორთქვლა

იანვრის შუა რიცხვებში.

სწორედ მაშინ, როცა სიცივე

ოთახიდან ოთახში მისიონერობს,

დუმილი კი თერმომეტრით

ბერტყავს შეგრძნებებს,

დრო რომ გაიზომოს სინანულისთვის...

ძნელი სათქმელია, გაიგო რომელი სიტყვა

გამოდგება ბიოგრაფიული ლექსის დასაწყებად,

როცა მას წერ ადამიანზე, რომელსაც გამუდმებით სცივა,

ცაში მოსავლის აღების დრო აქვს და დრო

მერცხლების დაბინავების.

მას კი არ უნდა, რომ აიკეცოს სახელოები

და დაიმარცვლოს, როგორც სიტყვა

ძნელად სათქმელი...

პილოტი

მე პილოტი ვარ!

ჩემი თეთრი ლექსის ერთ-ერთ სტრიქონში
ვჯდები და მივფრინავ სამხრეთისკენ.

როთულ კონსტრუქციას მარტივად ვმართავ
და არ მაშინებს მოღრუბლული ცა,
არც სტრიქონების გაუმართაობა.

უსაფრთხოების ბალიშების
გარეშე ყოფნაც არ მაღელვებს.

მე მფრინავი ვარ!

ამაზონის ტყეებში
ბევრჯერ ვყოფილვარ,
პირდაპირ ლექსიდანაც
დავშვებულვარ პარაშუტით.

ჰოკაიდოს მთებზეც
გადამიფრენია.

ერთხელ,
ჩიტებთან ერთადაც
ვისაუზმე,
ლექსიდან გადმოუსვლელად
ნევადაში,

თუ, მასაჩუსეტსში,
ზუსტად არ მახსოვს.

ახლა სამხრეთისკენ მივფრინავ.
რადიო შხრიალებს.

ბილ ევანსის მუსიკა შუა ნაწილში შეწყდა.

«ახალი ამბები» საშინელ ავიაკატასტროფაზე
საუბრით დაინყო,

რომელიც, თურმე უამინდობამ გამოიწვია.

მდინარე ევფრატში ჩემი ლექსის ნაწილები

და პირადი ნივთები აღმოაჩინეს მყვინთავებმა,
მე დაკარგულად მცნობენ.
რა სიცრუეა... რა სისულელეა...
მე ცოცხალი ვარ, მე ისევ აქ ვარ,
ჩემს ლექსში ვზივარ და
თავს სრულიად უსაფრთხოდ ვგრძნობ.
შესაძლოა მართლაც დავიკარგო, მაგრამ
ამისთვის უკვე დიდი ხანია მზად ვარ...
მე ხომ უკვე წლებია ასე ვარ:
ხმელეთიდან სტრიქონზე.
სტრიქონიდან ცაში.
ხმელეთიდან სტრიქონზე...

თევზის კუდი. ძაღლის კუდი.

მოსაღამოვდა,
ავდექი
და
თევზი მოვხარბე.
ემალის ქვაბში,
ძველებურ გაბეურაზე.
(ანწყოს გავუსინჯე გემო
და, მეტი სიმჟავე შევამჩნიე
ჩემს პირველ წარსულს...)
მერე
ქვაბიდან ამოვიღე
მოხარბული
თევზის კუდი და
თეფშზე დავდე გასაგრილებლად.
ნიაზე ძაფის გამობმა ვცადე,
მაგრამ არ გამიმართლა,
ძაფი გამინყდა.
არ გამიმართლა და
ხატვა დავინყე
უბის წიგნაკში რატომღაც თვალების,
რომელიც არც შენია, არც ჩემია,
უბრალოდ თვალებია
თევზის თვალები...
ახლა ლიმონს ვჭრი და
რა საჭიროა, რომ მოვკვდე...
როცა შემიძლია მთელი საღამო
მონყენილობით გამოვკვებო
ძაღლის კუდზე გამობმული მთვარე.
დავემორჩილო ოთახის ფანჯრებს,

ვისკის ახალი ბოთლი გავხსნა
და გავიხსენო
ის დილა,
ხელისცეცებით
საცვლებს რომ ვეძებდით
მოპრიალებულ იატაკზე...
სადაც შენი ნაფეხურები ისე მკვეთრად ჩანდა,
როგორც კედელზე მიწისძვრის
შედეგად გაჩენილი დიდი ბზარები..

მაცდუნებელი ლექსი

ძალ-ღონე მოვიკრიბე.
ფურცელი ამოვიღე
საწერი მაგიდის უჯრიდან
და წერა დავიწყე.
პირველი სტრიქონის
წერისას, ჰაერი არ მყოფნიდა
და
მარცხენა ფეხზე გამძვრალ
ფეხსაცმელს
მარჯვენა ფეხით
იატაკზე ვასრიალებდი.
მეორე სტრიქონის წერის დროსაც
ღრმად ვსუნთქავდი და
უფრო და უფრო
მაცდუნებელი ხდებოდა
ამ ლექსის შესავალი:

სუნთქვა მიჭირდა და განათების ბოძთან ჩავიკეცე...
იქვე, «ბალახის ფოთლებში», კატა იწვა
და კუდს ილოკავდა,
მე უიტმენს ვეძებდი ჩაკეცილი, ცალი თვალით,
მაგრამ ის არსად არ ჩანდა.
მაშინ 400-ჯერ დავარტყი მიწას ხელი და 4-ჯერ ვაუწყე მას
ჩემი ზრახვები, რომ ვულაატებდი გამთენიისას,
როცა ეს ლექსი დასრულდებოდა
და საჰაერო ბურთით გავფრინდებოდი...

გავიდა დრო და ლექსი დაუმთავრებელი დამრჩა.
ვერც საჰაერო ბურთით ვიმგზავრე.
მოვიდა დრო და

სიკვდილის ერთ-ერთი სავარაუდო პასუხი
გამეზარდა ფრჩხილივით და თვალი დაიდგა...

გუშინ ფრანსუა ტრიუფოს ფილმი
გამახსენდა, სადაც ფილმის მთავარი გმირი
ყვავილებს ღებავს.

მე კედლების და განათების ბოძების ღებვა დავიწყე.
თეთრი ფერი ქვამ წაიღო.

ლურჯი ფერი თვალმა წაიღო.

იქნებ დღეს მაინც დავამთავრო ეს ლექსი.

იქნებ მაცდუნებელი გამოვიდეს ლექსის ბოლოც,
როგორც შესავალი.

ახლა მთავარია ჰაერი მეყოს...

ძილის წინ

უსინათლო მთვარის ჩრდილი
სიზმრის სარჩულად გამოვიყენოთ.
გავიხსენოთ პირადი ომები და
რეპრესიები.
გავიხსენოთ როგორ ვებრძოდით
სიკვდილს
და როგორ უცბად გადმოგვაგდო
მან ხომალდიდან,
რომელშიც შემოვრჩით ათწლეულები.
გამოგვეტენა ყბები სიცოცხლით
და გვიჭირს მისი
გადმოფურთხება
ამ მტვრიან გზაზე...
სადაც ყოველდღე
შორიდან ქალებს
თითო წყვილი ღრუბელი მოაქვთ
აუჩქარებლად
ხელის ურიკით...
და როგორც წამლებს ისე გვანვდიან,
ჩვენ კი მათ თითქოს ენის ქვეშ ვიდებთ
და მოცვლილ თვალებს არ ვახამხამებთ...
არც გვცინავა და არც გვწყურია,
ჩვენ მხოლოდ ვოხრავთ,
დაბანილ ტანს რომ ვამზეურებთ
მოწმენდილ ცის ქვეშ...
ჩვენ მხოლოდ ვოხრავთ...

ნრმა ბერძე

დაბერება

ინას

მშვიდად ვიცხოვროთ მეგობარო,
კაცის ფართო ხელისგულებით,
გრილი ენით,
კოცნითა და ჟრუანტელით
ფიფქდაყრილი ხერხემალი
აღარ გვექნება!
ვჭალარავდებით,
ვბერდებით და ვემსგავსებით ჩვენ კლასელებს,
ბავშვობაში გათხოვილებს,
ბევრშვილიანებს,
კისერზე კუბამოზრდილებს,
ტანმორღვეულებს,
ჩვენი ასაკის დასაფარად
მათ კლასელობას
სულ რომ ვმაღავდით.

მშვიდად ვიყოთ მეგობარო,
ნუ მომიყვები,
ისეც ვიცი,
წუხელ ბარის მიმქრალ შუქზე
ოდნავ ნასვამი,
ისე ძალიან ლამაზი და მარტო იყავი,
მოპირდაპირე მაგიდასთან
ზურგით მჯდომ კაცს
რამდენჯერმე დაუდახე
თვალებიდან ამოსული
გაბზარული ხმით.

მშვიდად დავწვით მეგობარო,
კარს ნუ ჩავკეტავთ,
ნუ გავანვალვებით
ჩვენ ძმებსა და იმათ შვილებს
მძიმე კარის შემომტვრევაზე,
ოთახებში შემოდნევაზე,
სადაც ერთ დილას
გარდაცვლილები
შეიძლება ვინცეთ
საწოლებზე,
რომლებიც
განვადებით ვიყიდეთ.

ჩემი შეყვარებული

(ვუძღვნი ჩემს ძმას და მის მეგობრებს, ელიავას ბაზრობის მუშებს)

დახუჭული თვალების ფსკერზე
ტროტუარებზე ჩამომსხდარ კაცებს
ჩემი შეყვარებულის მეგობრებს
დღიურ მუშებს
დაკეცილ გაზეთებზე
ხამსა და ლუდი უწყვიათ
დომინოს თამაშობენ და
კლიენტებს ელიან.
მთელი დღე.

ამ ლოყებჩაცვენილი
ხორცგაცლილი
კაცების მეგობარია
ჩემი შეყვარებული,
ფილტვები – ცემენტის მტვრით სავსე ტომრები
გალეულ ხერხემაღზე ჰკიდიათ,
უფილტროს ახრჩოლებენ
და ოცნებობენ
შვილების ქორწილებზე,
სახურავის შეკეთებაზე...
უფრო ნატიფი ოცნებები გამოსასვლელ ტანსაცმელთან
ერთად
შავ, ერთჯერად პარკებში
გამონასკვეს.
სამუდამოდ.

მკლავებზე რომ დაიწვენს,
ხელებს მკერდზე დააფენს

და მუცელზე მაკოცებს –
ტირის ჩემი შეყვარებული.
თბილი ენით სხეულს ვუტვიფრავ,
თავდება.
კვდება.

.....

იტყვიროს,
ედოს ჩემს კალთაში თავი,
იტყვიროს,
იჩურჩულოს
ჩემი სახელი.
წაიღოს,
მოსდოს ჩემი საცხის,
სუნამოს და თეთრეულის სურნელება
თავის
ჭუჭყიან,
დაღლილ მეგობრებს...

მოღალატე ცოლების სიყვარული

მე ბოლო ჟამის სიყვარულზე,
ნამდვილ სიყვარულზე,
ერთადერთ სიყვარულზე,
უშიშარ და თავხედ სიყვარულზე –
მოღალატე ცოლების სიყვარულზე ვწერ.

ბრმა ქმრებზე ვწერ,
მათ ნაცარჩაყრილ თვალებზე ვწერ,
და ცოლების სითბოშერჩენილ ლოგინებში
სახით ჩამხობაზე.

შვილებზე ვწერ,
სასულეში კითხვებგადაცდენილ შვილებზე,
მათ ვერცხოვრებაზე.

ამ სიყვარულის სინაზებზეც ვწერ –
ხან რა ფაქიზი და
მართალია,
მოიხურავს სულიწმინდის უსხეულობას,
მიიტოლებს შიშველ ბეჭზე ქერუბიმთა ფრთებს
და ადიდებს უფალს
ბილწი ენით
მოღალატე ცოლების სიყვარული.

რომ მომიყვებოდე დედაჩემი

რომ მომიყვებოდე დედაჩემი
როგორ დაიხარა წინდების გასახდელად,
როგორ მოიშიშვლა ლამაზი ზურგი,
როგორ აკოცა მამაჩემმა,
როგორ დაწვნენ,
რა იჩურჩულეს,
რა სიტყვები უთხრეს ერთმანეთს –
რომელ თრთოლვას ჩამაყოლეს,
რომელ ჟრჟოლას მიმაბეს...

რომ მომიყვებოდე.
რომ შეიძლებოდე...

დაბერება

ინას

მშვიდად ვიცხოვროთ მეგობარო,
კაცის ფართო ხელისგულებით,
გრილი ენით,
კოცნითა და ჟრუანტელით
ფიფქდაყრილი ხერხემალი
აღარ გვექნება!
ვჭალარავდებით,
ვბერდებით და ვემსგავსებით ჩვენ კლასელებს,
ბავშვობაში გათხოვილებს,
ბევრშვილიანებს,
კისერზე კუბამოზრდილებს,
ტანმორღვეულებს,
ჩვენი ასაკის დასაფარად
მათ კლასელობას
სულ რომ ვმაღავდით.

მშვიდად ვიყოთ მეგობარო,
ნუ მომიყვები,
ისეც ვიცი,
წუხელ ბარის მიმქრალ შუქზე
ოდნავ ნასვამი,
ისე ძალიან ლამაზი და მარტო იყავი,
მოპირდაპირე მაგიდასთან
ზურგით მჯდომ კაცს
რამდენჯერმე დაუძახე
თვალებიდან ამოსული
გაბზარული ხმით.

მშვიდად დავწვეთ მეგობარო,
კარს ნუ ჩავკეტავთ,
ნუ გავანვალვებით
ჩვენ ძმებსა და იმათ შვილებს
მძიმე კარის შემომტვრევაზე,
ოთახებში შემოდნევაზე,
სადაც ერთ დილას
გარდაცვლილები
შეიძლება ვინვეთ
საწოლებზე,
რომლებიც
განვადებით ვიყიდეთ.

3. პრობა

რადი რადიანი

კაცი, რომელსაც მამაჩემს ეძახდნენ

ვუძღვნი მშობლებს, ვინც შვილები მიატოვა

– ეს ადგილია – თავს მოუსვენრად ატრიალებს ჩემი მამიდაშვილი და მანქანიდან გზისპირას ამომშრალ, გვალვისგან დახეთქილ ტაფობს მაჩვენებს, სადაც ოდესღაც ციხიდან სიმთვრალეში გატაცებული «ჩაიკა» გადაიჩეხა, ახლა კი ძროხები ბალახობენ – სამნი ისხდნენ, მამაშენი და ვიღაც ორი ბიჭი, ისინი არ ვიცი ვინ იყვნენ.

მანქანა ცარიელი გადავარდნილა:

– შიგნით არცერთი არ იჯდა, არ ვიცი, გადმოსვლა მოახერხეს თუ რა ქნეს. სამსახურის მანქანა იყო, სამი დღე იმალებოდნენ. ამ ამბის მერე დაატოვებინეს სამსახური.

ცოტა ხანი ციხეში მუშაობდა, ბადრაგად – ჩემს კანტიკუნტ კითხვებს გრძელ ამბებს აყოლებს. ქალაქიდან რაც გამოვედით, ენა არ გაუჩერებია. ვუსმენ. მტვრიან გორაკებზე მიყვება, პატარაობაში რომ დაბობლავდნენ, რკინიგზის სადგურზე – სადამოობით რომ სეირნობდნენ და ჩამომდგარი მატარებლის მგზავრებს ათვალთვლებდნენ.

– მაშინ პატარები ვიყავით, მამაშენი ოცის რომ იყო, ჩვენ 12 წლისები ვიქნებოდით. ბებიაშენმა გვიან გააჩინა. არ უნდოდა. ბაბუაშენი დაემუქრა, მუცელს თუ მოიშლი, მიგატოვებო. დედაშენს ვუთვალთვალეებით ხოლმე, მაღაზიაში რომ გადადიოდა. შეყვარებულები იყვნენ.

ეს წვრილმანები, ასე უბრალოდ მოყოლილი, პირველად მესმის. თითქოს დაუღლეელი ენით კინოფირს ატრიალებდნენ. ფირზე ოჯახის ისტორიაა, რომელიც ჩემიც

უნდა ყოფილიყო, მაგრამ არასოდეს ყოფილა. დიდი ოჯახის ისტორია, სადაც ბიძაშვილ-მამიდაშვილები ციხის ნანგრევებზე ასასვლელად მტვრიან ბორცვებზე მიბობლავდნენ. ერთი მსუქანი იყო და უკან რჩებოდა. შებინდებისას გზაზე მანანწალა ძალღი გამოხტებოდა და კარგა ხანს გზაზე ყეფით მისდევდათ. მამაპაპისეული სახლის პირველ სართულზე თონე იყო, უკანა ებოში – თევზების აუზი. ბაბუაჩემი სათევზაოდ თვითონ დადიოდა. დაჭერილ თევზს ზოგს აუზში უშვებდა, ზოგს თავისი სასადილოსთვის ხარშავდა. სასადილო სადგურზე ჰქონია. შუშაბანდში სულ ეწყო მოხარშული თევზით სავსე სინები. ბაბუაჩემი ფხიანი კაცი ყოფილა – მეორე მსოფლიო ომიდან სხვებზე გვიან დაბრუნდა და დაბრუნებულს სამხრეები შიგ ჩაკერებული ფულით ჰქონდა სავსეო – მიამბობს მამიდაშვილი. მინასთან გასწორებულ ბერლინში სამიკიტნო გაუხსნია და ფული იქ ვაჭრობით უშოვნია – ყოველ შემთხვევაში, თვითონ ასე ჰყვებოდაო. ნახევარი საუკუნის მერე, მისი ნაბოლარა შვილიც წავა სხვა ქვეყანაში და ბევრ ფულს იშოვნის, ოღონდ მშობლიურ სოფელს ხუთ კილო ფერფლად დაუბრუნდება.

მზისგულზე ჩაძინებულ მინის ქარხნის უკაცურ შენობას გავცდით. ნაშუადღევს სოფელი მტვრიან უდაბნოს ჰგავს. ხრიოკი და უბადრუკია. მინის ქარხნის მოპირდაპირედ გზიდან თუ გადაუხვევ, ათი წუთის სავალზე ციხეს მიაღგები. გზის პირას, პირველივე სახლში ორმოცდაათს მიტანებული ქალი ცხოვრობს, ოთხმოცი წლის დედასთან ერთად – ჩემი ბიძაშვილი, ციხის ადმინისტრაციის მოხელე, ორმხრივი კოქსართრობით განამებული ყოველ დილით კოჭლობით გადის მოკლე გზას სამსახურისკენ. პატიმრები რომ შემოჰყავთ, სამსახურში ხშირად ღამლამობითაც იძახებენ. «ზამთარში, რომ ჩათბუნდები და ძილი წაგიღებს.

გარეთ კი ტურები კვიან. ფეხით მიდიხარ». – დიდი, ნაღვლიანი თვალებით მიყურებს – ძროხასავით, მთელი ცხოვრება ბოსელსა და საძოვარს შორის რომ დაერეკებიან. მერე ამ თვალებით სასტუმრო ოთახის ღია კარში, პატარა მინის მაგიდაზე დადგმულ ტყვიისფრად მოლაპლაპე ურნას გახედავს. ურნაში ხუთი კილო ფერფლია და ზედ უცხო ენაზეა ამოტვიფრული იმ კაცის სახელი, გვარი და დაბადება-გარდაცვალების წელი, მამაჩემს რომ ეძახდნენ.

– ორმეტრიანი კაცი როგორ ჩაეტია ამ ურნაში – თავს აკანტურებს ჩემი ოთხმოცი წლის ბიცოლა.

* * *

– მამაშენი მოკვდა.

დედაჩემის ქვითინი რაღაც საშუალოა განწირულ ღრიალსა და სლოკინს შორის და რაც თავი მახსოვს, თავბარს მცემს. რაღაც საბარელი, მისტიური შეუსაბამობაა ამ გულამოსკვნილ ბავშვურ ქვითინსა და დედაჩემის ოთხმოცკილოიან სხეულს, ფეხის სხვა თითებთან შედარებით უზარმაზარ, მრგვალ ცერა თითებსა და შეთხელებულ თმას შორის. ამ ქვითინში დაუმსახურებელი საყვედური ურევია – თითქოს ამ ბებერ ბავშვს ჩემი იმედი ჰქონდა, მე უნდა დამეცვა და დამეფარა, მე კი ვერ შევძელი, არ მოვისურვე. ამ ზვავმა შეიძლება ნებისმიერ წამს ჩამიტანოს, მეც ომიანობისას ბარგზე მჯდარი კაცივით დაჭიმული და გასაქცევად მომზადებული ვარ.

მარტო გასაქცევად გამზადებული კი არა, დამარცხების მიზეზიც მე ვარ ჩემს დაბადებამდე დიდი ხნით ადრე დაწყებულ ამ ომში. ჩემს გვიან დაბადებას დიდი ფული – 7000 მაშინდელი მანეთი დასჭირდა. დედაჩემი ასე ამბობს,

მაგრამ მგონი ამის ნახევარი თუ იქნებოდა – დედაჩემს გადაჭარბება სჩვევია. ბავშვის დაბადებას ოჯახი უნდა შეენარჩუნებინა, ქმრისთვის გარე-გარე წანწალი მოეშლევინებინა და ცოლთან დაებრუნებინა. ეს ფული დედაჩემის მკურნალობას დასჭირდა, ათი წლის წინ გაკეთებული აბორტის მერე ისევ რომ შეძლებოდა დაორსულება. მაშინ, ქმარზე გაბრაზებულმა, 18 წლისამ მეგობრის რჩევით აბები დალია და მუცელი მოიშალა. ეს რომ არა, შეიძლებოდა ჩემი დაუბადებელი უფროსი ძმა ან და გამხდარიყო ომის გმირი. ხშირად მშურს მისი ბედის. ხომ შეიძლებოდა მე ვყოფილიყავი ის ნუშისხელა ჩანასახი, უნიტაბში რომ ჩაირეცხა. რაც წლები მემატება, მით უფრო მშურს. მე პასუხიმგებლობის აღება მხვდა წილად – ცხრათვენახევარი მუცელში ჯდომა, სხვის ომში წაგებულად ყოფნა და ყველაფრის ბოლომდე მიყვანა, რასაც კი ოდესმე ჩემი ხელი გაჰკარებია.



კაცს, რომელსაც მამაჩემს ეძახდნენ, შინ ვერაფერი დააკავებდა. ვერც ჩემი დაუბადებელი და თუ ძმა და ვერც ჩემი დაბადება. ეს კაცი დიდი ხნით ადრე სხვა სამყაროში გადასახლდა. ან შეიძლება სულაც დროებით იყო იქ, სადაც არაფერი ესაქმებოდა. ამ კაცს თავისი

გეგმები ჰქონდა და პატარა ადამიანად დარჩენას არ აპირებდა. მეტისმეტად დიდად გრძნობდა თავს იმ პატარა საწყობისთვის, რომლის გამგედაც სიმამრის ხათრით დანიშნეს, მზის გულზე მთვლემარე, იმ მტვრიან სოფელში ცხოვრებისთვის, სადაც დაიბადა და გაიზარდა, ქალაქში

ცოლის მშობლების პატარა ბინაში შესაკუჭად. მე – სამი წლისა – მეტისმეტად პატარა ვიყავი ამ კაცისთვის, თავის სიდიადეში რომ დაეჭვებულიყო. რაც უფრო მეტს ვფიქრობ, მით უფრო მეტად მგონია, რომ მთელი თავისი სიდიადის მიუხედავად ამ კაცს შორსმჭვრეტელობა და სიყვარულის უნარი არ ეყო. უნებურად აქ მეც შევიტანე წვლილი – მე ხომ უბრალოდ შვილი კი არა, მის დასაბმელად გაჩენილი ბავშვი ვიყავი, 7000-მანეთიანი პრინცესა, რომელსაც ის იმ პატარა ჩახუთულ სამყაროზე უნდა მიეხატა, საიდანაც გაქცევას ცდილობდა (საბედნიეროდ, ეს ვერ შევძელი). თვითონ ამ სამყაროდან გაქცევა მოახერხა, მაგრამ მე თან არ გავუყოლებივარ. შეიძლება ამიტომაც ჩემდამი მისი სიყვარულის უნარი სამუდამოდ ატროფირებული დარჩა. თუმცა თავს ვერ დავდებ, შეიძლება ჩემამდეც ასე იყო. სწორედ სიყვარულისადმი ეს უნდობლობა ჰყავდა ჩასაფრებული ყოველ ნაბიჯზე, ყველაზე დალხენილ წლებშიც და ქალაქგარეთა საავადმყოფოს იმ პალატისკენ ერეკებოდა, სადაც უიმედო ავადმყოფები გადაჰყავთ ხოლმე, სიღარიბესა და სიმარტოვეში რომ მომკვდარიყო.

ჩემმა დაბადებამ სულ რაღაც სამი წლით გადაავადა ამ კაცის გადახვეწა უცხო ქვეყანაში – ჩახუთული წარსულისგან თავისუფალ, დიდი იმედების სამყაროში. რამდენიმე წლის მერე ეს კაცი ტრიუმფით – დაცვით და ახალთახალი მარკის შავი «მერსედესით» დაბრუნდება პატარა ადამიანებისთვის იმის საჩვენებლად, რომ არ ცდებოდა. დაბრუნდება დროებით და ყოველ ჩამოსვლაზე ნათესავების დიდ არმიას უხვად დაასაჩუქრებს. მეც მომინახულებს, შუაღამისას შემთვრალი და გულაჩუყებული. დიდი კოლოფით კევს მომიტანს. ნამძინარევს და დამორცხვებულს ხელში მსხვილ კუპიურებს ჩამჩრის. მერე ზიზღით გადახედავს სასტუმრო

ოთახშიგამოდგმულ უზარმაზარ სანოლზე მძინარე შორეულ ნათესავებს და ცხვირში იმ შავბნელი წარსულის მძიმე სუნი ეცემა, როცა თვითონაც ამ ზედმეტად სტუმართმოყვარე ბინაში ცხოვრობდა – ამ საერთო საცხოვრებელში, სადაც ყველა სოფლელ ნათესავს უყოყმანოდ იღებდნენ, ღამის გასათევს აძლევდნენ, თვეობით აცხოვრებდნენ. მერე რა, რომ ზოგის ფეხსაცმელი აუტანლად ყარდა, ზოგი ცხვირში იქექებოდა, ზოგიც მეტისმეტად ხმაურიანი იყო. გადახედავს და დაავიწყდება, აქ რისთვის მოვიდა. მისთვის ეს ნამძინარევი ბავშვი, უაზროდ რომ აცეცებს თვალებს და გაღიმებასაც არ ცდილობს, ამ წარსულის ნაწილია – მყრალი, შავბნელი წარსულის. კაცი სუფთა ჰაერზე გასვლას ჩქარობს. გაფანტულად ემშვიდობება უცხო ბავშვს და თავის ახალთახალ «მერსედესში» ჯდება, რომელსაც მძლოლი მართავს (ერთი-ორჯერ მეც ვმჯდარვარ ამ «მერსედესში» – სისუფთავის და ოდეკოლონის სასიამოვნო სუნი იდგა, ბენზინის სუნით აქოთებულ სხვა მანქანებს არ ჰგავდა). კაცს გულისჯიბეში ამ ბავშვის სურათი უდევს – დიდი, საგვარეულო მწვანე თვალები აქვს. ლამაზი ბავშვია, თუ არ გააფუჭეს ამ ჯოჯოხეთში. აუცილებლად გააფუჭებენ. რა დასანანია.

გამოუძინებელი ბავშვი მეორე დილით ადრე დგებოდა – რა დააძინებდა. მთელი კოლოფი კევი იყო დასარიგებელი. ხელში ჩაკუჭული ფულით კი იმ დღესვე ახალ ტანსაცმელს უყიდდნენ.

* * *

– იშვიათი კაცი იყო. – თავს აკანტურებს ოთხმოცი წლის ბიცოლაჩემი და დროდადრო გამჭოლ თვალებს შემავლებს ხოლმე. თითქოს მისი ენა და თვალები სხვადასხვა

რამეებს ამბობენ. ურნის გარშემო დივანსა და სავარძლებზე ნათესავები სხედან. არავის ვიცნობ, ერთი-ორის გარდა. დროდადრო რომელიმე ენას ამოიდგამს და მიცვალებულზე ამბავს ჰყვება. ვიგებ, რომ კაცი, რომლის ფერფლიც ოთახის შუაგულში ასვენია, იშვიათი ღირსებებით შემკული და გამორჩეული ადამიანი ყოფილა. მზად იყო, ყველასთვის გაეწოდებინა დახმარების ხელი. ამ კაცს ორი შვილი დარჩა – ტყუპი გოგოები. უკვე დიდები არიან. ერთს შვილები შეეძინა – ისინიც ტყუპები, ოღონდ – ბიჭები. ეს ამბავი ცოტა ხნის წინ გაიგეს, ბავშვებს კი ამასობაში 18 თვე შესრულებიათ. ფოტოზე, ჩემი მამიდაშვილი რომ ინახავს, გოგონებთან ერთადაა გადაღებული – ორივეს ვარდისფერი ჯემპრი აცვია და ერთმანეთს გაჭრილი ვაშლივით ჰგვანან. მამას გოგოებისთვის ხელი გადაუხვევია და იღიმება.

ვზივარ და ერთი ჭირისუფლიდან მეორეზე გადამაქვს მზერა. ვგრძნობ, სადღაც სიღრმეებიდან როგორ ტივტივდება ის ბავშვი, შუალამისას რომ აღვიძებდნენ და ხელში ფულს უკუჭავდნენ. ახლა ამ ბავშვს მოლოდინით თვალები აქვს გაფართოებული. ელოდება, რომ მისკენ ვინმე მოტრიალდება და რამეს ჰკითხავს. პასუხები ენის წვერზე ადგას.

მწერალია.

ათი წლის გოგონა ჰყავს.

მთელი ცხოვრება ეუხერხულებოდა სიტყვების, «მამა» და «სიყვარული» წარმოთქმა.

იმ კაცის უფროსი შვილია, ვისი ფერფლიც ამ ურნაში ასვენია.

მაგრამ ბავშვს არავინ არაფერს ეკითხება. ჭირისუფლების მზერა სწორედ ისე გაურბის უფროს შვილს, როგორც თავის დროზე მიცვალებული გაურბოდა წარსულს. ბავშვიც არავის არაფერს ეკითხება. კაცმა რომ თქვას, ეს ბავშვი არასოდეს არსებულა.

თავს დამტყდარმა სიცარიელემ ხმელი სკამიდან უფსკრულში რომ არ ჩამითრიოს, ხშირ-ხშირად გავდივარ აივანზე მოსაწევად.

ვინმეს რომ ეკითხა, იქნებ მეც მომეყოლა რამე მიცვალებულზე. მოვყვებოდი იმ ორი კვირის ამბავს, დედაჩემმა რომ ფეხი მოიტეხა და მამიდასთან ცხოვრება მომიხდა, იმ კაცის გვერდიგვერდ, მამაჩემს რომ ეძახდნენ. ხანმოკლე ვიზიტებისას სამშობლოში დასთან ცხოვრობდა ხოლმე, ძველ დედაქალაქში. დიდ, ორსართულიან სახლში, რომელიც მაშინ იმაზე ორჯერ დიდი მეჩვენებოდა, ვიდრე იყო. სახლში იშვიათად ჩნდებოდა – საქმეებზე დადიოდა და კუდში ნათესავების ესკორტი დაჰყვებოდა, უგვირგვინო მეფესავით. ხანდახან მუხლებზე დამისვამდა ხოლმე და რაღაცას მკითხავდა. რაღაც ისეთ ფორმალურს, რაზეც ბავშვებს არასოდეს არა აქვთ პასუხი. ამიტომ ცხვირში ვდუდლუნებდი და შეიძლება, გონებრივად ჩამორჩენილიც ვეგონე. საშინლად მერიდებოდა, მამა დამეძახა ამ ნახევარღმერთისთვის, რომელსაც ყველა თაყვანს სცემდა. მაშინ წარმოდგენა არ მექონდა, ძროხის ფუნადაც თუ არ ღირდა ფულზე აღმოცენებული ის თაყვანისცემა, წლების მერე ამ ფულის დაღვევისთანავე რომ დაილია.

არადა, ყველაზე სასიამოვნოდ იმ დროიდან სწორედ ფული მახსოვს. სახარჯო ფულს დასტად მიტოვებდა უჯრაში და ნებას მრთავდა, რამდენიც მინდოდა, ამეღო. ეს ერთადერთი პრივილეგია იყო, რომლითაც თვალის

დაუხამხამებლად ვსარგებლობდი. დაუსრულებლად ვყიდულობდი შოკოლადის ფილებს და სასუსნავს მეზობლის ბავშვებისთვის, იაფიან, მაგრამ ბრჭყვიალა სამკაულებს სხვებისთვის და ჩემთვის. მას მერე ასე თავისუფლად სახარჯი ფული არასოდეს მქონია.

ორი კვირის მერე უგვირგვინო მეფის სამეფომ ისევ ამომაბოყინა და იქ დამაბრუნა, საიდანაც მოვედი – ჩემი ცხოვრების ცოცხალ ნაწილში, ჩემს ქალებთან – დედასთან და ბებიასთან, რომლებსაც თავისებურად, მაგრამ ორივეს ვუყვარდი. მხოლოდ დედაჩემმა ვერასოდეს დაძლია იმედგაცრუება, მე რომ უნებურად მოვუტანე – საყვარელი კაცი ვერ დავუბრუნე. დიდი ხანი დამჭირდა ამ როლიდან გამოსასვლელად.

– ასეთ სიყვარულს ახლა მარტო წიგნებში შეხვდები – მეუბნება ჩემი ბიძაშვილი ნალვლიანი ძროხის თვალებით – დედაშენს მთელი ცხოვრება უყვარდა და ელოდებოდა.

ცოტა მაკლია, მივაყვირო, რომ დედაჩემი რომანტიული ლიტერატურული პერსონაჟი კი არა, ცოცხალი ადამიანია, გამუდმებული და ბრიყვული ლოდინისგან გაბოროტებული და იმედგაცრუებული. ყველაფერთან ერთად, მის სხეულს კიბო ჭამს. არაფერს ვამბობ.

– ვერ ვიჯერებ, რომ აღარ არის. – აგრძელებს ჩემი ბიძაშვილი – მგონია, ახლა ამ ჭიშკარში შემოვა-თქო. მოუსვენარი ადამიანი იყო, ერთ ადგილას ვერ ჩერდებოდა.

რა უიღბლო დამთხვევა იქნებოდა, ამ ჭიშკარში რომ შემოსულიყო და მე დავენახე – ალბათ უკან გაბრუნდებოდა.

ცხრამეტი წლის ვიქნებოდი, ისევ რომ ვნახე. ამჯერად მე ჩავაკითხე. მაშინ უკვე გაკოტრებული იყო, მაგრამ თავისი

ილუზიები არ ეთმობოდა. ოფისი ერთოთახიან ბინაში ჰქონდა მოწყობილი და მთელი დღე ან ტელეფონზე ეკიდა, ან ამ ტელეფონს მისჩერებოდა – ზარს ელოდებოდა. აღარც უცდია დამალვა, როგორ აღიზიანებდა ჩემი არაკანონზომიერი და მისი ცხოვრებიდან ამოშლილი არსებობა. საქმე ისაა, რომ სხვა გზა არ ჰქონდა – დედაჩემმა თავისი დაუსრულებელი ზარებით თითქმის აიძულა, მიველე. შური იმით იძია, რომ ერთ თვეში მე მაიძულა, უკან დავბრუნებულიყავი. ავტობუსამდე მიმაცილა და გახარებულმა, რომ თავიდან მიშორებდა, თბილად გადამკოცნა. იმ წუთას არ იცოდა, რომ ჩანთაში მისი მობილური და დიდი ლექსიკონი მედო, თაროდან რომ ავანკაპნე. მას მერე აღარც მინახავს. 14 წლის თავზე მომაკვდავებისთვის განკუთვნილ პალატაში, სწორი ნაწლავის კიბოთი გარდაიცვალა.

– უყვარდი, დამიჯერე. შენი პატარაობის სურათი ვიპოვნე მის ბლოკნოტში. – ბიძაშვილი იმ სურათზე მეუბნება, გაფართოებული მწვანე თვალებით რომ ვუყურებ ფოტოგრაფს. ორივე მუჭი გულთან მაქვს მიტანილი და კანფეტებს ვბლუჯავ, თითქოს მეშინია, ფოტოგრაფმა არ მომთხოვოს სურათის სანაცვლოდ.

საიდან მიხვდა, რომ არ მჯერა?

ურნას, კაცის 5 კილოგრამი ფერფლით, რომელსაც მამაჩემს ეძახდნენ, მეორე დღეს დაკრძალავენ, დედამამის – ბაბუაჩემისა და ბებიაჩემის გვერდით. მე დაკრძალვაზე არ ვიქნები. ცოტა ხანში ამ ჭიშკრიდან გავალ და სამუდამოდ მოვჭრი ამ ფუტურო ტოტს, ჩემი ცხოვრების მკვდრადშობილ ნაწილს.

მოჭრილი ტოტი რომ არ დაიკარგოს, მოთხრობად გამოვთლი, სათაურს სამჯერ შევუცვლი და ბოლოს ამაზე

შევჩერდები:

«კაცი, რომელსაც მამაჩემს ეძახდნენ».


4. კრიტიკა

ღელა კოდალაშვილი

ლექსი, როგორც ტკივილების საშლელი

პოეტის ყოველი ახალი წიგნი საიდუმლოს ამოხსნის მცდელობა უნდა იყოს, ერთი ადამიანის საიდუმლოსი, რომელიც, თავის მხრივ, კიდევ უფრო გამოუცნობი სამყაროს ნაწილია. მხატვრული ლიტერატურა ხომ იდეების ერთგვარი დოკუმენტია, ის ხომ მთელი კაცობრიობის ინტელექტუალური განვითარების პარალელურად მიმდინარეობს და შეძლებისდაგვარად ირეკლავს კიდევ მას. პოეტის მიერ თითქოსდა მხოლოდ ლექსის წერის პრეტენზიით, უპასუხისმგებლოდ წამოსროლილი ფრაზები თუ სიტყვები ხშირად იმის მიმანიშნებელია, რომ პასუხებს იძლევა ამა თუ იმ მოვლენაზე და თავისეულ, მეტაფორულ თუ პრაგმატულ სახელსაც არქმევს მას. ეს ყველაფერი კი ერთიანი, დიდი მხატვრული დინების გამაძლიერებელი აუცილებელი შენაკადია.

თემურ ჩხეტიანის ლექსები ერთდროულად გამოხატავს კავშირსაც და გათიშულობასაც იმ ყველაფერთან, რაზედაც წერს, ის იმათ რიცხვს მიეკუთვნება, ვინც ყოველი მომდევნო კრებულთ ცდილობს, თავის თავში და გარემოში რაღაც შეცვალოს, მეტი და მეტი შეიცნოს, რათა შემდეგ ცხოვრება უფრო ახსნადი და მარტივი გახდეს. თუმცა, ისიც კარგად იცის, რომ ყველაფერი პირიქით ხდება და ყოველი ნაბიჯი შემეცნებისკენ კიდევ უფრო მეტ კითხვებს ბადებს. «სადღაც ისევ მზადდება სიტყვათა შეთქმულება», – წერს ის ერთგან და მე ვიტყვოდი, რომ ზოგადად, ლექსის ალბათ თითოეული სიტყვა და ფრაზა შეთქმულება, რომელმაც ვიღაც ან რაღაც უნდა ამხილოს.



მისი ლექსები არაერთგვაროვანია – კონვენციური, ვერლიბრი, ჰაიკუ და სხვა... მაგრამ სიტყვასთან, სათქმელთან მიდგომა, ძირითადად უცვლელი რჩება. უმთავრესად ერთმანეთის მსგავსი ფორმალური ტენდენციებით მუშაობს ის სხვადასხვა პერიოდის ტექსტებში. და ეს ტალღოვანი, რბილი გრადაცია კარგად ჩანს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით,

გამომცემლობა «არტანუჯის» ახლადგამოცემულ კრებულში, «ბალახის სიმალლა», სადაც მისი რჩეული ლექსებია თავმოყრილი. იშვიათია პოეზია, და ამ მხრივ საილუსტრაციოდ ეს კრებული გამოდგება, როცა სათქმელები იმდენად საინტერესოა, იმდენად გითრევს ყოველდღიური ამბები, რომელსაც ავტორი გიყვება, რომ ლიტერატორის თვალს ლექსზე მსჯელობა და მისი ანალიზი ავიწყდება. და განა არ სჯობს, გაიცნო პოეტი ისეთი, როგორც არის, მიუხედავად იმისა, თუ რა კანონიკურ მხატვრულ ნორმებს აკმაყოფილებს მისი პოეზია?

მისი ლექსის სუბსტრატი, რა თქმა უნდა, არის სევდა სიმარტოვის, სევდა წინააღმდეგობრივი სამყაროს, განყენებულად ყოფნის გამო. თუმცა კი, ეს ყველაფერი ლექსის რომელიღაც პლასტშია განთავსებული. ზედაპირზე კი ირონიანარევი იუმორი სჭარბობს... შემოქმედებითი ინდივიდუალიზმი, მით უფრო, მოწიფულ



პოეტთან, როცა ავტორი მხოლოდ თავის ტკივილებზე კონცენტრირდება, არაჯანსაღი მოვლენა იქნებოდა... თემურ ჩხეტიანთან კი ვერ შეხვდებით ბანალურ წუნუნსა და ცრემლდენას, პირიქით, როგორც იტყვიან, ის მუდამ ფორმაშია. მის ლირიკულ გმირს აქვს ძალა, ღირსება, ნებისმიერი ყოფითი თუ სხვა პრობლემა სწორად აღიქვას, მერე კი განაზოგადოს, ფილოსოფიურ ჭრილში გადაიტანოს და გაფანტოს ჰაერში. ის ხან ემორჩილება, ხან კი ებრძვის ნორმებს და

ამას შერბილების გარეშე გამოხატავს. «ბოლოს და ბოლოს მოხდა სასწაული – ლოდი აღარ დაჰგორებია.» წერს ის ლექსში, «გაუქმებული სიზიფე». სხვა საქმეა, რამდენად ხვდება ამ ყველაფერს მკითხველი, რომელსაც არ გამოუვლია ის ემოციური ლაბირინთები, რომელიც ავტორმა თავის თავში გადახარშა... და თუ ამოვიცნობთ პოეტის ნააზრევს და იმას, თუ რამდენად შეძლო მან თავისი იდეის სწორად ჩამოყალიბება, ლექსის კვლევასაც აზრი ექნება. მაგრამ პოეზია ხომ ყველაფერს ცვლის თავის თავში, გარდა უშუალოდ პოეზიისა. ის იცვლის გარეგნობას, სტილს, შინაარსს... სწორედ ამიტომ, მისი შეფასება ავტორის ჩანაფიქრის ამოცნობით არ უნდა შემოიფარგლებოდეს. ლექსის მნიშვნელობა, შეუძლებელია, განისაზღვროს ერთი ან ათი ადამიანის აღქმითა თუ შეფასებით. ასოციაციათა ნუსხა უსასრულოა.

ადამიანების ემოციურ ეპითეტებს კი ბოლო არ უჩანს.
ხანდახან კი ყველა სტრიქონი განწირულია
ვერაღქმისთვის...

*«ახლა თუ რამე იწერება,
იწერება ცეცხლმოდებულ ქალაქდზე
და განწირულობის ნიშანი აზის
თითოეულ სტრიქონს,
თითოეულ სიტყვას...»*

ჩხეტიანის ამ კრებულში თითქოს მისი ცხოვრების თუ
შემოქმედების დღეები, საათები, წუთები, წლებია
აღნუსხული... ეს იძლევა საშუალებას, როგორც დღიურს ,
თვალი გადავაკლოთ და შევაფასოთ ყველაფერი, რასაც
თავად მიიჩნევს საბედისწეროდ ან, უბრალოდ,
მნიშვნელოვნად. ის წამდაუნუმ იძლევა მაგალითს, როგორ
დგება მაღლა ცხოვრებისეულ პრობლემებზე, როგორ
ცდილობს, არ შეიმჩნიოს ესა თუ ის მარცხი და თითქოს
სიტყვებით გადღაბნოს ნეგატივი, ლექსით, როგორც
საშლელით, წაშალოს ტკივილი. შემდეგ კი დისტანცია
დაიცვას და ისე გააანალიზოს ყველა ის «განაჩენი», რაც
განვლილ დღეებს გამოუტანა. ესენინი ამბობს – «Лицом к
лицу лица не увидеть». თემურ ჩხეტიანის ლექსებიც დროსა და
მანძილს საჭიროებენ. ყველა მკითხველს ხომ ლექსის
აღქმის თავისეული დრო და საზომი აქვს. მისი
პერსონაჟების ზოგჯერ გულუბრყვილო ჩრდილები ერთ
დიდ, სევდიან განწყობას ქმნიან. ხანდახან ჩნდება
მობეზრების განცდა მეტისმეტად დიდი დობით მოწვდილი
საყოფაცხოვრებო დეტალების, ბანალური კადრების
დაფიქსირების გამო, მაგრამ დღიურების განწყობა ამ
პრაგმატულ პროზაიზმებს თავის დატვირთვას აძლევს.

თუმცა, პოეზიით გაჯერებული ადამიანები ლექსის კითხვისას უფრო მეტად მეტაფორულ ემოციას და გულის გადაშლას ელიან. ჩხეთიანთან ეს სხვაგვარად გამოისახება. მარტივზე მარტივი მეთოდის გამოყენებით ხსნის ადამიანის ცნობიერების იმ შრეებს, რომელზედაც, როგორც წესი, უგულისყუროდ, ბერელედ თუ დავფიქრდებით და სირთულეების თავიდან არიდების მიზნით თავს მალე ვანებებთ ხოლმე. პოეტი სწორედ აქეთკენ გვიტრიალებს ცნობიერებას და ჩვენთან ერთად ჩვენივე ღრმა რესურსების ამოძრავებას ცდილობს, რათა ჩვენი გარქოვანებული ინტროვერტული ფსიქიკა როგორმე გააცოცხლოს, მის სოციალურ-ფსიქოლოგიურ შეხედულებებზე ნატიფი სამუშაო ჩაატაროს და სხვანაირად აღგვაქმევინოს თავისი შესაძლებლობები.

«ნაშუადღევია...»

ხის ფიცრულ კარზე მიჭედებულ ნაღს მზე მიადგა.

მაგრამ ბედი,

რა თქმა უნდა, ვერ გაბრწყინდება.

ჟანგიანია ლითონი და გულსაც უკვე ჟანგი მოედო.

ქარაფშუტა გაზაფხულმა რაც უნდა, ის თქვას,

და რაც უნდა, ის მომაჩვენოს – რა საცდურიც გინდა,

დამიგდოს,

არ მოვტყუვდები.

და იღბალი ვიდრე ისევ ხელს ამიქნევდეს,

დავასწრებ და ვიტყვი: არა!

უარს ვეტყვი და ბურგს შევაქცევ.»

ადრეც ვამბობდი, რომ ლექსის წერის მომენტში პოეტი ნაკლებად ან საერთოდ არ ფიქრობს იმაზე, რა საფეხურებს გულისხმობს თითოეული სტრიქონი მის ცნობიერ თუ არაცნობიერ ინტროაზროვნებაში. ის იმ მომენტში ან ცოტა ხნით ადრე მომნიჭებული სათქმელის ერთგვარი

პირველამსახავი, პირველადმემელია და როცა დაწერს, ანუ ფოტოგრაფივით ფირზე აღბეჭდავს, მხოლოდ მაშინღა შეუძლია მიხვდეს, თუ რა გადაიღო, რა შექმნა, შემდეგღა შეუძლია, გააანალიზოს სათქმელი, ანუ მერე გახდეს თავისივე ნაწარმოების შემფასებელი. რა თქმა უნდა, ისიც, ისევე, როგორც დანარჩენი მკითხველები, რიგრიგობით და სხვადასხვა რაკურსიდან აღწევს ამ მრავალშრიან ნაწარმოებში, როგორც ცოცხალ ორგანიზმში და, შესაბამისად, სხვადასხვა სიღრმემდე ახერხებს მის აღქმას.

ბესიკ ხარანაული წერს თავის ერთ-ერთ წიგნში: «ხუთიანზე დაწერილი წიგნი არ ვარგა. არ ვარგა, სტილის ზეიმი როა. არ ვარგა აზრით დატენილი, სისულელენაკლული. უნდა ადამიანივით ცდომილი იყოს»... თემურ ჩხეტიანის ეს კრებულები სწორედ ასეთი, ცდომილი ადამიანივითაა – ბევრი მომენტიტ აღფრთოვანდებით, ან პირიქით – განიხიბლებით.

როგორ უნდა განვიხილოთ ტექსტი, რომელშიც ერთმანეთშია არეული ლიტერატურული და ყოფითი ენა, ფაბულური და ირეალურ-მხატვრული დრო... თავად ტერმინი «ყოფითი ენაც» არაერთმნიშვნელოვანი ცნებაა და თავის თავში ბევრ რამეს მოიცავს. ასეთ დროს ფიქრობ, სჭირდება თუ არა მკითხველს «შუამავალი», რომელიც ამ ავტორთან უფრო მიაახლოებს, მის ტექსტს მოწესრიგებულად მიაწვდის და გზის გაგნებაში დაეხმარება?

ზოგიერთ ლექსში ექსპრესიული პოეტური სამყარო იშლება – ერთი შეხედვით აბსურდულად გადაჯაჭვული მოვლენები ენაცვლება ერთმანეთს; იკვეთება ავტორი, რომელიც თითქოსდა ემორჩილება ხელოვნების გამოხატვის ე. წ.

კორექტულ ფორმებს და მაინც ბავშვივით აწყდება სამყაროს უცნობ თუ ნაცნობ ბარიერებს. დრო მისთვის პრობლემას არ წარმოადგენს. ფაქტების ქრონოლოგიას მხოლოდ შინაგანი ლოგიკით ალაგებს. მისი ლექსების სიუჟეტები ირგვლივ არსებული ისტორიებით იკვებება. ამბები განზოგადებულია, ნებისმიერი დროის, წარმომავლობის ადამიანს რომ მოერგება. არანაირი კონკრეტულობა, არანაირი ტიპაჟების სიმრავლე:

*«შედი დარბაზში და შეამჩნევ:
ოთხი კედელი დაძაბული მოგაჩერდება,
ხოლო საგნები ერთმანეთსაც გადახედავენ
და უპასუხოდ დარჩენილნი
უმალ ისევ გაშეშდებიან.»*

თემურ ჩხეტიანის პოეზია მეტაფორების სიუხვით არ გამოირჩევა. თუმცა, იმ მცირე რაოდენობის მხატვრული ხერხების ვიზუალიზაცია რომ ვცადოთ, შეიძლება, თავგზა აგვებნეს. მაგრამ ეს ფსიქოლოგიური საკითხია, რომელიც პოეტის მიერ შექმნილ მეტაფორებისა და მკითხველის კრეატიული კონტაქტის მონესრიგებას უწყობს ხელს. რაც შემდეგ ლიტერატურის გარეთ, ზოგადინტელექტუალურ, ე.წ. მარადიულ ფასეულობებში უნდა გადავიდეს და იქ გააგრძელოს ფარული თუ ღია ცხოვრება.

მაგრამ პოეტების მთავარი პრობლემა ხომ ისაა, რომ მკითხველთან სასაუბრო ზუსტი პოეტური ენა არ არსებობს. საკომუნიკაციო ველი თითქოს ბრძოლაგადატანილს ჰგავს. სიტყვაუხვობა და გრძნობამცირობა ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. მრავალსიტყვაობაც კი უძლურია, ის გადმოსცეს, რაც მოსაუბრეს ჩაფიქრებული აქვს. თუმცა კი, თემურ ჩხეტიანი ზოგ შემთხვევაში ახერხებს, თავისი ხმის უზუსტესი ტონალობა მოგვასმენინოს:

*«ნეტავ მცოდნოდა ჩემი თავი, ჩემი ადგილი,
ჩემი საზღვარი, ჩემი ჭერი და წარამარა
არ გამეცეოდა თვალი განზე მეტის წადილით,
მერწმუნა – რაიც გამაჩნია, ჩემთვის ის
კმარა.»*

ესაა პარადიგმა, კონსენსუსური ჩარჩო, სადაც როგორც რკინის კარკასზე, შენდება მთელი ის მრავალთახიანი შენობა, რომელსაც მისი ლექსები ქმნიან და რომელიც მთელი თავისი არსითა და ეკლექტურობით წარმოგვიდგინა ამ ახალ კრებულში.

5. ახალი თარგმანები

მაიერი



მაიერი პეკინში მცხოვრები თანამედროვე ჩინელი პოეტი ქალის, გაო ჩანგმეის, ფსევდონიმია. ის 1968 წელს დაიბადა ძიანცუს პროვინციაში. პირველი ლექსები გასული საუკუნის 80-იანი წლებში გამოაქვეყნა და მას მერე მისი ტექსტები ხშირად იბეჭდებოდა პოეზიის ანთოლოგიებში. მიუხედავად ამისა, ის ლიტერატურულმა კრიტიკამ გვიან, 2013 წელს შენიშნა, როცა მისი პირველი, ძლიერი

ინდივიდუალური ტალანტით აღბეჭდილი პოეტური კრებული «ღრუბლის წონა» გამოქვეყნდა. ამას მოჰყვა კიდევ ორი პოეტური კრებული «მე და შენ» (2014) და «თორმეტი» (2016). 2014 წელს ავტორს პერუს მსოფლიო სიტყვიერებისა და კულტურის აკადემიის საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭა. მიღებული აქვს აზიის რამდენიმე პრესტიჟული ლიტერატურული პრემია.

ლექსები თარგმნეს გვანცა ანანიაშვილმა და ბექა ბარქაიამ

ღრუბლის წონა

შენს სათუთ მკერდში ნორჩ იდეალს როცა ჩაიკრავ
ღრუბლის წონა ფრთების წონაა

შეყვარებულებს განშორება რომ ეზიზღებათ
წარმატების გვირგვინი რომ თავს დამიმშვენებს
ნაყვავილეებზე ხეხილი რომ ნაყოფს მოისხამს
ღრუბლის წონა ფრენის წონაა

მოქცევა და მიქცევა რომ წყლის დონეს შეცვლის
და ნიჟარებს გამორიყავს სანაპიროზე
აღმოსავლური ალუბალი აპრილში რომ აყვავილდება
ღრუბლის წონა ის წონაა
ქორწინება მარცხენა და მარჯვენა ხელს რომ
დააწყვილებს

ახალი მინა როცა უნდა აღმოაჩინონ
ფრჩხილი რომ უნდა გაიზარდოს
კოპერნიკი რომ უნდა დაწვან
ღრუბლის წონა
ტვინის რაღაც ერთი გრამია

მკერდი მრგვალი და მკვრივი რომ არის
ყვავ-ყორნებს რომ მოუწყენიათ
ოაზისი და უდაბნო რომ თანაარსებობს
ღრუბლის წონა ის ღრუბელია
წვიმის წვეთები რომ შეუკრავს და მოგზაურობს

ყველას გულშია ღრუბლის წონა
ლურჯი ცის მსგავსად
და ღრმა ზღვის მსგავსად
და გულუხვი ჰაერის მსგავსად

და სისხლის მსგავსად გულში
სხვა რომ მონატრებია

ჩაფიქრებული ჩოქელა

ჩაფიქრებულა ჩვეულ პოზაში დასკუპებული ეს ჩოქელა
მწვანე სისხლი კვლავ კრისტალს და ნეფრიტს მიუგავს
გონებაში უამრავი დეტალი კრთება
თევზის ჩონჩხივით ნათდება თვალწინ
გახსენი ფოსტა – მოციმციმე ვარსკვლავები
შემოჭრილან ჩემს გულში და შეუვსიათ უკვე საცავი –
წარსულის ხატებს მისატოვებლად არ ვემეტები
ჩემი სატრფო უკანასკნელი ამოსუნთქვისას
კარზე კაკუნის ძალას უკვე ვეღარ მოიკრებს

სახლაკის ირგვლივ სიგარეტის ნამწვები ყრია
გარშემო ყველგან თივის კონაა
ფოიერვერკთა დრო დამდგარა ეს ის დრო არის
როცა მომწვანო სურნელი ფრთებს შლის
ახლა ჩოქელა გამომხმარი ბალახივით დაძენდილ ჩემს
თმას დამსგავსებია
მისი მწვანე კიდურები თანდათან ხმება
მწვანე თვალეებში რუხი დრო უდგას
ძვირფასო და ხანმოყრილო ჩემო ჩოქელა
გული რარიგად მეკუმშება მინაოჭდება
იქნებ ერთმანეთს ჩავკიდოთ ხელი
და ძველებურად დრო გავატაროთ?

ქარით და წვიმით გაცრეცილი ფოთლებია ახლა ჩემი
ხელისგულები
შემინული კარის იქით ერთადერთი ადგილია მზის
სინათლე სადაც ნეტარებს
იყო დრო როცა შენი ტანივით გამჭვირვალე ტერფები
მქონდა

ახლა კი ფესვი დამიბერდა პალმებიც დალპა
ზანზალაკების ჰანგი წყდება სულ უფრო ხშირად

ჩოქელა ჩემო კარგო ჩოქელა
მოიკრიბე ძალ-ღონე და აიღე ფუნჯი
შემოაღწიე ჩემს ფოსტაში შემონახულ მწვანე დღეებში
ქუჩაში ვდგავარ ჭაღარა და
კვლავ სინათლე მეიმედება

მძიმე წერილი ოჯახს

ყველაფერი ვრცლად მოგწერეთ
საყვარელო მამა და დედა
ჩემი ოთხი წლის დაფარული სუნთვა გაგანდეთ
ბოლო მოელო ყველა ტანჯვას და ცრემლებიც გამიშრა უკვე
სათუთად მაგრამ მონდომებით გადავწმინდე ამდენი
მტვერი

ყველაფერი რიგზეა სახლში?
სინათლით სავსე ლურჯი ცა და მწვანედ ხასხასა ხახვი
ბოსტანში
და ნარინჯისფრად მოკაშკაშე შროშანები ზაფხულის
ველზე
მამა და დედა, უტყვად დათანხმდით თქვენგან ასე შორს
ჩემს გადახვენას?
ახლაც ჩამესმის გულიანი ის სიცილი ლობიოს მინდვრად
რაფსის ჩუმ ველზე მამის ბუტბუტი
აბა ახლა ავადმყოფი სახლის გარდა რა მათადია?
ნეონი? არა, მისხალსაც კი ვერ ჩამოვკრეფ და ვერასდროს
გამოგიგზავნით
კეთილდღეობა? არა, ბედმა ერთხელაც კი არ გამიღიმა
მე არ შევცვლილვარ, ისევ თქვენი სუსტი გოგო ვარ
გამოგზავნილი ფოტოები მხოლოდ ქალაქის არამწარე,
ტკბილი გარსია
ყოველთვის ნელში მოკაკვული ნივრის მწკრივები ისევ
მწვანედ შემოგცინიან?
ისევ კუზი აქვთ წინაკებით ასხმულ ნარგავებს?
ყველაზე მეტად ის ხე მაფიქრებს, წასვლის წინ რომ
ბეჭითად დავრგე

თუ გაიზარდა მსხლის ხედ და თეთრად თუ აყვავილდა
თუ შრიალებენ მისი ნეფრიტის მწვანე ფოთლები?

დედა, თუ გახსოვს ის ურჩობები?

მდინარის პირას უკუნ ღამეში მბჟუტავი ზეთის სანათის
შუქზე

გულუბრყვილო მაგრამ მტკიცე იდეალით შეპყრობილი
შენს კეთილ ბუბუნს რომ ვუსმენდი ყურდაცობილი?

შენგან დადგენილ ცხოვრების გზას ვერ დავადგები
ვერ შევფრინდები უტოპიის იმ სურათში შენ რომ დახატე
მაგრამ უკვე სახლიდან შორს, უცხო ქალაქში, გამოვიფიტე
ოდინდელი ოცნებები უდავოდ ჭკნება

მაშინდელი კამათები გადამექცა ჰაერში უქმად

გამოკიდულ პოზიციებად – ისინი ქრება

ძვირფასო დედა, მაპატიე

შენ ახლაც ბრაზობ

თვალისმომჭრელი ოდინდელი დღეებია ილღიაში რასაც
ვმალავ სხვა არაფერი

მომუჭულ ხელში ღრუბელთა მსგავსი უიმედო სევდები

მყავს გამომწყვდეული

და რაკი უნდა გავიზარდო მამისთვის ხედ და დედისთვის
დროშად

წასვლამდე სწორედ თქვენთვის მოვრთე პანია სახლი,

ჩემო მამიკო, ჩემო დედიკო

გადავლებე ახალი ფენით

მინდა ყოველთვის ამაყობდეთ მხნე ნარგავებით იმ შორ
მინდვრებზე

ბინდბუნდი კოცნით რომ ხვდება და ეთხოვება დილა-

სალამოს

მაგრამ არ იცით
წასვლის მერე, სწორედ იმ ღამით, მე აღმოვჩინდი სიცივეს
და სიმართოვეს შეტოვებული
საბოლოოდ, უსახლკარო ღრუბლის ნაგლეჯს
დამსგავსებული,
მეტროპოლისის ჰაერში ვეგდე

ბოდლერი

ყველა მეძავის მკერდი გამომშრალ ფორთოხლებად
გადააქციე
გამონურე მათი მკლავები
შენ ხედავდი გიგანტურ ხეს შესეული
ნაყოფსავსე მატლების გროვას
მაგრამ ისეთი მაღალი ხმით ასხამდი ხოტბას
რომ ამ ხმამ მთელი მეცხრამეტე საუკუნე სრულად მოიცვა

შენი გულუხვი ოქროს გული გაიფლანგა თვით ოქროს
მსგავსად
პარიზის ქუჩის ავადმყოფმა სუსტმა კვირტებმა
მახვილი ჩასცეს აპოლოგეტებს
ქალის მუცელზე ხელჯობის დარტყმით
გამოხატე სასტიკი რისხვა

მატლების მსგავსად მიხობავდი
მშვენიერი ფისუნიასკენ
აქ განისვენებ შენ უსაზღვრო სინაზევ
ბოდლერ

საბოლოოდ მაინც დედის მკლავზე დაეცი
მაშ დასაწყისმა დაასრულოს დასასრული
მაშ დასასრულს დასაწყისი ექცეს საწყისად

ივან გოლი

შენს ლოყაზე ფოსოს ვჩქმეტ და
ნოსტალგიის ხეივანს ვრაზავ
ვამსხვრევ ფოლადის მილის სირბილეს
სისხლს ვუშვებ
ვბლოკავ შენს ჩაკეტილ კარს
აი ასე გკლავ

მერე ლექსის მეტს შენ არაფერს ქმნი
შიშველ სხეულს
მორიელი მიჩხვლეთდეს თითქოს
ვისურვებდი მოვეკალი შენს სისათუთეს
ასი წლის მერე
ბედნიერად ვიცხოვრებდი
ერთ უბრალო კუტკალიად გარდასახული

აქილევსი

ქვა მინდა ვიყო შენს დიდებულ ტრაგედიაში
ტროელი გოგოს თმა მინდა ვიყო
ან ვიყო ღინღლი შენი კუნთის
ან წვეთი ზღვისა
შენს ცრემლად ვიქცე მაშინ როცა დაეცემი დედამინაზე

მაგრამ ცრემლები უცხოა შენთვის
ღმერთი ამბობს, ისტორიის მდინარეები გმირთა სისხლის
ნაკადებია

აქილევს

გმირებს რომ წარმოშობს შენ იმ დროში უნდა გეცხოვრა
შენი სისხლით შუბები და მახვილები განბანილიყო
გეხილა როგორ დაეცა ტროა
დიდი დაპყრობის და მოსაწყენი ამაოების ზიზღით
გეცხოვრა

«რაც თავი მახსოვს მებრძოლი ვარ
შენ კი ის ხარ ვისაც ჩემთვის მშვიდობა მოაქვს»
არის კი შენთვის ეს მშვიდობა, ნაოცნებარი
ტროას ხელმწიფის მშვენიერი ასულის მიერ,
სიხარულის და ბედნიერების უშრეტი წყარო?

აქილევს

შენი უშფოთველობა ეპოქისთვის მშვიდობად იქცა
მთელი ეპოქის დასასრული ასაზრდოვა შენმა დაღუპვამ

შენი ვნება მონატრებად გარდაისახა
იქცა მატლებით სავსე სამყაროდ
ავადმყოფური სადაც გახდა ხის და ცის სუნთქვა

აქილევს

მართლაც კურთხეული ხარ ტროელთ ქალაქში
დაცემისათვის

თორემ შენი ბორგნული სულისკვეთება შუბების ტყეს
ააყვავებდა
გულს გაუპობდა სხვა ეპოქას, მის სისხლს დაღვრიდა

ცინხაის მონატრება

1.

შემოდგომა მოგვიახლოვდა
ქრება ზაფხულის ნერვიული ენთუზიაზმი
ცინხაივით ლურჯია ზეცა
სიმღერები ნათელი და ხმამაღალია
თითქოს ერთმანეთს გაემიჯნენ პიკასო და მისი გერნიკა

გოგონას ცხენზე ამხედრებულს და მათრახიანს
დაბლობისკენ პაემანზე მიეჩქარება
ცინხაის პრინცო
კამკამა ტბა შენი გულია

ეს სივრცისა და სიდიადის დარბაზია
გეერმუს მთელი სილამაზის გამოსათქმელად

ქვიშის ქარიშხლის შუაგულში აანთე ცეცხლი
და დააფინე წმინდა სამოსი

გემო ერთად რომ გაუსინჯეთ აკრძალულ ნაყოფს
და მერე შენს მხარს ურწმუნოდ რომ ჩამოჰყურებდა
ის ყმანვილი რა ხანია სახლშია უკვე
შორს ცინხაიდან

2.

ჩემო ძვირფასო, შენ იყავი არარსი და სიცარიელე
სუფთა ჰაერი ისერიგად გამჭვირვალეა
რომ შენს ფართო შუბლს ხედავს ტიბეტი
ტიბეტი – შენი შორეული მერმისი და დანიშნულება
ტიბეტი – შენი სიყვარული და ხელისგული

ცინხაი

შენ ხომ სიზმარი ხარ გარდასული პილიგრიმების

შენი ტრფობა ხომ გზას ადგას მუდამ –
თოვლით ფენილი ზეგანიდან
მიწის უღრმეს მწუხარებამდე

მოიქციე მუჭაში ქვიშა
ეს გაგახსენებს სანაპიროს შენი ცხოვრების
ხეს შეაძრწუნებს და გააოცებს
ღამე რომ დადგა კატაც მოვიდა
ცინხაიდან შენს სიზმარში შემოიპარა
ველად რომ ვეფხვი გამოჩნდება
სწორედ ისეთი დახვეწილი, ძლიერი და ამაყი იყო
ის ჭალები რა ხანია ჯუნგლებად იქცა
ისტორიად გადაიქცნენ დიდი ხეები
მე კი, ლომი,
სიყვარულში გადავიკვეთე

ფინანსური კრიზისი

უკვე ჩამოშლილ ყველა ბანკში ბანკნოტები აცეკვებულან
საფონდო ბირჟის აქციები წყალში ხტებიან
ნდობა გემია ჩაძირვა რომ დამუქრებია

თოფები ხელში რომ უპყრიათ ადამიანებს
დამიზნებული არ არის მტერზე
გოლფის ბურთები ერთსულოვნად ცვივა ხვრელებში
რწევა-რწევის სიამოვნება
მოჰგავს უოლ სტრიტის მოვაჭრეთა აზარტულ თამაშს
ყველა ცვლილება შემთხვევითია

კალიფორნიის მზის სინათლე სუსხიან დილას
დამალობანას ეთამაშება
საკაცებზე რომ გვამებია – ესენია თვითმკვლელობათა
ყველაზე უფრო მოთხოვნადი ჩამონათვალის
თავგვირგვინის ძვირფასი თვლები
სახელგანთქმული ციხე-კუნძული ცივ სხივებს აფრქვევს
სიახლეს კი საცნობ ბარათზე
დაცინვა აქვს ამოტვიფრული

ვაშლები, რაც არ გაიყიდა, ჩვენს პატარა ქალაქშია
გადანახული
მოხეტიალე მუშები უკვე დაუბრუნდნენ თავიანთ სახლებს
გაზაფხულის დღესასწაულის დაწყებამდე დიდი ხნით
ადრე

ხოლო სამხრეთის ეკონომიკის ასამაღლებლად
ჩაფიქრებული ვორკშოპები გაუქმებულა
ოჰ! დაავადდა მთელი სამყარო

კრუიზმა, როცა დაეკარგა ზღვაში კომპასი,
თაყვანი სცა ცაში ღმერთს და არა აისბერგს

აისბერგი კი, 1912 წლის ღრმა ღამეში შეყოვნებული,
მოელოდა რაღაც დიდებულს
მზე თავს რომ უყრის მთებისა და ზღვების კრედიტებს
ფრინველთა და ზეცის ლოცვის ფასს რომ დაადგენს
ვერ იქნება უმუშევარი

შიმშილი

ნუთუ ერთი მხრის მართლაც ორი პოლუსი ვართ
მე და საკვები, კიდული ხიდი,
რკინიგზა ცისკენ აღმავალი – ანუ ტიბეტი

შორს გაჭიმული მხრების პოლუსი
სიგრძივ კიდული იგივ ხიდი
უსასრულო რკინიგზა ცისკენ

ჩემი კუჭი დამშრალი ზღვაა
ნაწლავები ბილიკია დაკლაკნილი და შეფიცრული
ხელის სულ რაღაც ერთ განვდენაზე მიტივტივებს
თავბრუსხვევა
წყლის უკანასკნელ წვეთში – ხმელეთზე

საგვარეულო

ჩაწერილია უმაღლესი მდგომარეობით აღნიშნული
ცისფერი სისხლი
ძალაუფლების ბეჭედი და სიამაყის ნიშანი კი მიღებულია
მემკვიდრეობით
მძიმედ იღება წინაპართა ტაძრის ჭიშკარი რიტუალთა
შესასრულებლად
ხოლო ის გენეალოგია მერმისში რომ მონაცვლეობს
საგვარეულოს სისხლს აღბეჭდვია

ჩქეფს სიცოცხლე უსწრაფესი მდინარესავით
სუნთქვა სუნთქვას დედის მკერდით გადაეცემა
მამის სპერმიდან არის გენი ნამემკვიდრევი

როგორც საკიდზე გასაღებები
წინაპარნიც მარტოსულნი არიან მუდამ
თუმც თამაშები მღელვარე და მიმზიდველია
დამარცხება და დავინწყებაა წინაპართა უცილო ხვედრი
საგვარეულოს გამრავლებას ვიდრე საფრთხე არ ემუქრება

ორქიდეას სურვილი

უკვე დასრულდა მოგზაურობა
უმართავი ხვრინვის ხმით და
სანაპიროს გრილი წვიმით
ესეც – კომფორტი, ყვავილებქვეშ გამომჰალა
კიტრის ნაწილი

მწვანე ბალახი ამას სულაც არ ისურვებდა
გასაღებები დააჟანგა მოგზაურობამ
რაც ორქიდეამ უდავოდ იცის

შინ –
სატრფიალო სკანდალების უწყვეტი ჯაჭვი
ორქიდეას ღვთაებრივი ერთგულება და უმანკო
წარმომავლობა
ძველთაძველია

ორქიდეა ცდილობს იყოს კვლავაც ძლიერი
მაგრამ ყოყმანობს ის ღალატის გზაჯვარედინზე

ჭიანჭველა

გამოქვაბულის გარეთ ელვას და ჭექა-ქუხილს შეეჩვივნენ
სულ ეს იყო რაც ებოძათ გამოცდილებით
ველურ ბუნებას მსხვერპლად შესწირეს კუთვნილი გვამი
წვიმს და ტოტები ირწევინან
დახუთულობის მარტობაა
ჭიანჭველების ტერორს რაც იწვევს

წვიმს და წვიმაში ბაყაყები ჭიანჭველებისთვის
სამგლოვიარო მარშს ასრულებენ

წვიმს და
გზა არ ჩანს
დროშა ჟანგბადის ნაკლებობაა
გული ვიდრე გათბებოდეს
მას მალული სხვა საფრთხე ელის

ქლიავის წვიმის სეზონამდე
ჭიანჭველები ლოცულობენ გაგრძელდეს მარხვა

საქმიანი მოლაპარაკება

ვარაუდები წინადადებებად მიმოფანტულან
ხელები კი თავს იკვლევენ
იტაცებენ გამოცდილებას, სიბრძნეს, ნაპერწკლებს
გაყალბებული პირობები
გადასინჯვები დახვეწები ჩასწორებები
ინტერესები ერთმანეთს კვეთენ რაც ხაზგასმით
აღინიშნება

ვენებში ღელავს ლიქიორი
სახეებზე – ღვინის ალმური
სადღეგრძელოთა სინათლეა
ხელის ყოველი ჩამორთმევისას ხელისგულებს შორის რომ
ელავს
ხელშეკრულების ფურცელზე კი
კარგად მოჩანს ზღვის სანაპირო

პირანია

კარს რაზავ, შენს კვალს
მტაცებელმა რომ ვერ მიაგნოს
შიშობ გრძელდება სისხლისდენა
კარის ღრეჭოდან
თავს გესხმის შიში

კვნეტ რკინის კაუჭს
კვნეტ თითებსაც
და მიუძღვები
არმიას, მთელ ხარს რომელიც დაგლეჯს

ირწევინ და ტივტივებენ დაგლეჯილი ამ ხარის ძვლები
თანასწორი მტრის მაძიებელი
და იარაღით აღჭურვილი შემადგენლობის
შედევრია შენი კბილები

მტრედები - ჩემი წვრილი ნაფეხურები

დროის ნამსხვრევებს დაუკანრავთ ჩემი ტერფები
ჩემი ფრენის ხმას
ეჟო-ეჟოდ გამოსცემენ
ცარიელი ჩემივე ძვლები

შეზღუდულია ჩემი მზერა
დახვეწილი ლომის წინაშე
და ქალაქის ფურცელივით სიფრიფანაა
მოახლოებულ ქარიშხალთან შეხვედრამდე
თითოეული დაცემული ჩემი ბუმბული
ნუთუ მშვიდობის ნიშანია ეს ყველაფერი

ინტერნეტი

მოქალაქენი ახლა უკვე კაბელებში ჩასახლებულან
თავიანთი მხიარულებით, ბედნიერებით, მწუხარებით
ქურდობით და სხვა მრავალი დანაშაულით
მძიმე-მძიმე ამოოხვრებით

ცხელდება ცივი ოპტიკური ბოჭკოები უსწრაფესი სიჩქარის
გამო

ოპტიკური ნაკადები დააქროლებს საიდუმლო საქმეებით
დაკავებულ შეყვარებულებს
დამნაშავის ხელბორკილებს
თაგვი ველარ ღრღნის
მამაკაცები შენიღბული აღტაცებით
იგინებიან

ბოლოს და ბოლოს ჭუპრი პირმრგვალ ვაჟიშვილად
გარდაისახა

რომელსაც მტკიცედ ჩაუბლუჯავს ობიანი პურის ნაჭერი

ძველი აგური

გულწრფელ მამას გულში ჩაუკრავს

არც ვარსკვლავები უკვე აღარც მთვარის ნათელი
მწერთა წუილი და ფრინველთა ჟივილ-ხივილი ახლა
მხოლოდ სიზმრებში ისმის

ინტერნეტის უშველებელ ბადეში კი

ტექნიკური სიახლეებით აგზნებული ადამიანი

საკუთარ თავს გენოციდს უწყობს

მენზესი

სისხლი იღვრება და სიკვებზე მოედინება
საფენები ქვიშის, მიწის, ჩაღისა და
ამავე დროს ხის ბოჭკოების
თესლის ერთი მარცვალი კი
ნაყოფიერ ნიადაგს ასცდა
წვეთი, გოგონას ნაწნავის ბოლო
მიგდებულ და ხრიოკ მინაზე

ფქვავდა დოლაბი ასწლეულობით
დრო და მდინარე
მარადიული დანიშნულება
ნაყოფიერი ნიადაგი მხოლოდ ქალისტვის
საშვილოსნო
და გუბურა დილის ბინდბუნდში

კოტოშებით მკურნალობა

ჩემი ნაზი მკერდის ქვეშ დევს რბილი ბალიში
კავალერია ეკვეთა ჩემს ზურგს
ანაერობულ ქილებში მირბის
და მიჩუხჩუხებს ჰაერი და ეალერსება
უხილავი ხელი
წითელას

სისხლი ბოქვენს ჩაუქროლებს
ხოლო გული ბუნებისკენ მიიქცევა გაშმაგებული
ჯუნგლი, წითელა
ჩავარდება უშველებელ
ზურგის ქილებში
შავი და ლურჯი სისხლჩაქცევებით
დამკოცნია მთელი სხეული
მე ვიკურნები

დაჭრილი მგელი

ნალველი და აღშფოთება
მოჩქევს შენი ჭრილობებიდან, ირწყვება მიწა
თითოეული შენი ბეწვი, სისხლით მოთხვრილი,
ველურ ბუნების სასაკლაოდ ქცეულ დღეთა აღსაწერად
გამოდგებოდა

თენდება და შურისგებას მოწყურებულ
ჭებს მიწამსგავს მწვანე თვალთა სიღრმეებიდან
ამომავალი გაცვეთილი ყველა ღიმილი თავისუფლების
დღიურებია
შიმშილი, ყინვა, ქედმაღლობა – მრუდე ჯოხის სახსრებია
ეს ყველაფერი
დაუმარცხებლის უტეხ რწმენას რომ განამტკიცებს

ნაჩვევი მიწა, სიკვდილით და სისხლით მორწყული,
შენივე ნებით არჩეული სასტიკი და ბნელი სიცოცხლე –
მაგრამ შენი სამფლობელო ეს უღრანი ტყეები და
ტრამალეებია
უღრანი და ბნელი ტყეები
მწარე შოლტივით შემართული და დაკლაკნილი
ეგ შენი კუდი ქარს გაირეკავს
ჯუნგლის გზებზე ნადირობას დაშურებული

ამ დროს მწერები შესევნიან შენს ფართო ენას
და იფილტრება თითქოს სიკეთე, დაოთხილი სისასტიკე
რომელსაც მოსდევს
ყოველ ჟამი, სიშმაგეს რომ შეეჭიდები,
ხუთიათასი წლის წინ გაჩენილ კაცს აღნიშნავს კან-ხორც-
დაფლეთილს
შავი სისხლით გაჟღენთილი ფუნჯიდან მელნად დაღვრილ

ნაკვალევს

ფურცლის სული მოიკვლება მყისვე მაგრამ ელეგანტურად

ქარი აჟღერებს ნაღვლიან ბუკს

ცვალებადი გრიგალი კი თავდადმართზე ველურ სულთა

კვალში ჩამდგარა

დასდევნებია მწყემსს რომელსაც დაუკარგავს პენისის

გარსი

ჩიტი კი მღერის სისხლისდენამდე

ბანერს – «ველური ბუნების ოქრო» – წითელ ნისკარტს

ძლიერად უჭერს

და მთელი გზა მღერის და მღერის

ღამის საკვები

ამ დროს კარტოფილს ძმარს ყოველთვის ისე ასხამ
თითქოს მისი უდანაშაულობა გროშიც არ ღირდეს
დაგავიწყდა ენას კერტი და ზეთისხილი რა სიხარულს
ჰგვრის

აი ფაფაში ტკბილ კარტოფილს და სიმინდს თავი ისე
უჭირავთ

თითქოს ისევ ყანაში იყონ

გარნირი კი მორჩილ და დამთმობ

დიასახლისად გადაქცეულა

ჭამის მერე ჯამებს და ჩხირებს

დიდ თასში ისე რომ ჩაუშვებს

ცოტა ხნის წინ არაფერი მომხდარა თითქოს

ადამიანებს გარიდებული დედამინა

დედამინის ყველაზე დიდი უდაბნოს მფლობელ
კონტინენტზე
მოხდენილი სირაქლემა წევს და კვდება ლეოპარდის
ხახის წინაშე
მაღალ ტოტზე ორი მამალი გრძელრქიანი ხოჭო
ერთმანეთს
ტერიტორიის დასაპყრობად სასტიკად ებრძვის
გრძელრქიანი მდედრი ხოჭო კი სექსუალური ძალადობის
მერე ხიდან ჩამოუგდიათ
ბრჭყალები მაღლა შეუმართავს
ბარბაროსების ხელმწიფეს და გაბმით ღრიალებს

კოხტა დელფინი ოკეანის ლურჯ სარკვეში
ზურგზე წევს და თეთრ მუცელს აჩენს
მტაცებელი დიდი ფრინველი იჭერს პატარას
რომლის ნაზი და სუსტი ბარტყები საკვებს ელიან

ათასობით ჭიანჭველა წარმატებით ეზიდება ფოთლებს,
ყვავილებს
უძლეველი და დიადია მათი არმია
ტანწერწეტა ჩოქელა კი
რეპტილიის რბილმა ენამ მოინადირა

სწრაფად ისკუპებს ანტილოპა ფრიალო კლდიდან
და გაუსხლტება მტაცებელ ნადირს
შეყვარებული გედების წყვილი
ბაღეტს ცეკვავს არავის მერე
შექუჩებულან ზორბა თევზები
მტაცებელი თევზებისგან და ფრინველებისგან
თავდასაცავად
და ხელოვნების მობილურ თუ ტრანსფორმირებულ

ნიმუშებს ჰგვანან
სპილოების ხნიერი მოდგმა საუკუნეთა სიღრმიდან მოდის
და მიაბიჯებს ჩამავალი მზის სხივებით
გვირგვინდადგმული
ხოლო მფრინავი თევზების გუნდი
ოკეანეში თავის სიზმარს დაშურებია

ერთ დღეს

ერთ დღეს

ჩემი მანუსკრიპტი რელიქვიად გადაიქცევა

არეული და ხმაურიანი

სიტყვები იერუსალიმის ქუჩის კუთხეს დაენარცხება

ერთ დღეს

ხელმწიფე მაჭანკლობას წამოიწყებს

მაღალ ზეგანზე

და როცა მთის შვილს მიმათხოვებს

შარფს მოვიხსნი და

ჩემს წინა ინკარნაციაში გამოვახვევ ამ ქორწინებას

ერთ დღეს

მშობლიურ ქალაქს მიღმა დავიღუპები

ხოლო ეს ჩემი სიყვარული უბით რომ ვათბობ

ცივ ქარში მიწას

აბრეშუმად მოეფინება

6. ანტი

დავით ანდროიაძე

თემო ჯავახი და ჯავახი თემო

1957 წელს რუსთაველზე, სურათების გალერეაში, ერთი «გენიალური» მხატვრის გამოფენა ძალით გაუხსნიათ; ძალით შეუნგრევიათ და ისე გაუხსნიათო...

ასეთი ლეგენდების დრო წავიდა...

ახლა გამოფენის გახსნას ძალადობა აღარ სჭირდება; გამოფინე, რაც გინდა...

კაციშვილი ხმას არ გაგცემს – კისერიც გიტეხია!

«როგორც ნამდვილად ამბობს ჰეგელი» – მოდერნულობა ხელოვნებას წარსულში მიუჩენს ბინას;

წარსულის კუთვნილებად აქცევს...

ხელოვნების მუზეუმში ფიკაციას ამიერიდან ველარავინ აღუდგება!

ღმერთის ყბადაღებულმა სიკვდილმა სამყაროში ტოტალობის ადგილი აღარ დატოვა;

და ამიტომაცაა, რომ ათეისტურ-განმანათლებლური სამყარო, მოდერნული სამყარო ერთი რამის იმედზეღაა;

ესაა ბალანსი; ძალთა ბალანსი...

ამგვარ ბალანსს, «ენჯეოშნიკურ» ენაზე თუ ვიტყვი, ახალი რეგულაციები შემოაქვს;

ახალი დოგმატები...

მთავარია, პლურალისტურ დოგმატს არ ვენდოთ;

არ შეგვაცდინოს ამ «პლურალიზმმა»!

მოდერნული ხელოვნებაც ნუ გვეგონება პლურალისტური...

ეს ხელოვნება, რომელსაც, კაცმა რო თქვას, აღარც უნდა, ხელოვნებად მოიხსენიებოდეს, სინამდვილეში, მკაცრი განაწესებით რეგულირებული სივრცეა;

სივრცე, სადაც «უცხო პირთა შესვლა აკრძალულია»!

თემო ჯავახის რეტროსპექტული გამოფენის – MIRRORIM – გახსნაზე, იმედია, ეს «უცხო პირები» მაინც შეიპარებოდნენ;

სამაგიეროდ, პოსტმოდერნული ხელოვნების მაჭანკლებიც არ გამოაკლდებოდნენ ამ, ცოტა არ იყოს, ნაგვიანევ ექსპიზიციას...




მთავარი ისაა, რომ ამ გამოფენის სახით ერთობ უკმეხად შევეჯახეთ ხელოვნების ჯანსაღი, თითქმის უკომპლექსო გამოტირების აქტს;

ეს იყო ერთგვარი სააღაპე სუფრა, სადაც თემო ჯავახმა (თუ ჯავახმა თემომ) კონცეპტუალისტური ასკეტიზმით წარმოგვიდგინა ობიექტები...

წინ(ა)დადებებად დაგვილაგა სიტყვები და საგნები;

ახალი (თუ განახლებული) ეპისტემოლოგიური წესრიგით განცდილი (და გამოცდილი) საგნები...

გვიჩვენა, რომ ყველაფერი, რასაც ხელოვნებასთან შეიძლება ჰქონდეს ხელი, რახანია, აღარაა აშკარა, ცხადი,



ევიდ
ენტუ
რი...

თემო
ს,
მგონ
ი,
ალარ
ც
წარმ
ატებ
ის
სჯერ
ა და

ალარც – წარუმატებლობის;

სჯერა მხოლოდ მატების...

რალაც ონტოლოგიური მატების, რასაც პირდაპირი კავშირი თვით ხელოვნების ყოფიერებით სტატუსთან არც უნდა ჰქონდეს...

გამოფენა ჩაფიქრებულია, როგორც ერთგვარი წიგნი;

ტოტალური წიგნი...

გრამატოლოგიური სპექტაკლი...

სპექტაკულირებული მეტამისტერია, სადაც კომპოზიციები კი არა, პოზიციები უფროა რეპრეზენტირებული;

გარკვეული გაგებით, ეს რეპრეზენტაციათა რეპრეზენტაცია;

გნებავთ, რეპრეზენტაციათა რეპრეზენტაციების რეპრეზენტაციები...

თითოეული (კომ)პოზიცია საავტორო (თუ მეტასავტორო) მედიტაციის ეტაპებს აღნიშნავს;

და სიგნიფიკაციათა ამ რეჟიმშიც გამოსჭვივის არტისტის პრაგმატული ასკეზა;

საქმიანი უსაქმობა;

საქმიანი მცონარება...

არაფრის კეთების არტისტული ტექნე მით უფრო ძნელი ხელოვნება უნდა იყოს;

არაფრის კეთებაა ის ულტრანიჭილისტური დისკურსი, მარტოოდენ წინ(ა)დადება – ობიექტების ახალი კონსტიტუირებით რომ შემოიფარგლება...

საქმეც ესაა – შემოსაფარგლი გაგაჩნდეს;

და კიდევ, ნაცარი...

ის «ნა-ცა-რი», რომელზეც უნდა ამოიქექოს არტისტის მინიმალისტური ტექსტები;

გაცრილი ტე(ქ)სტები...

გა-BLA-ნდული ტექსტები...

არტისტის «სულ-ელური» პერსევერაციები კი არა და სრულდება...

«ბლა.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

..... და

.....
.....
.....
.....
.....

.....ბლა»

ახლა მეც «წავისულ-ელეებ»;
სამ ვარსკვლავს ამოვანათებ და...

* * *

გავაგრძელოთ?

გავაგრძელოთ...

(და)მწერლობის გრამატოლოგიური ინტენციები თემო ჯავახ(იშვილ)მა ჯერ კიდევ გასული საუკუნის (რა დრო გასულა!) 90-იან წლებში გაამჟღავნა;

ეს იყო ნაწერის, როგორც ასეთის, Ecriture-ული დისკურსიული პრაქტიკების ლამისაა

პირველი პროგრამული მანიფესტაცია ქართულ არტში...

ქართულ თუ უცხოურ ანბანურ დამწერლობათა ინტიმური პოეტიზაციის ამ ეგზერსისებში უკვე იგრძნობოდა პოსტთანამედროვე ავტორის მცონარების შინაგანი ხიბლიცა და წააართისტებული შფოთვაც;

შფოთვა არაფრის კეთების სრული გაარარავებისა...

ლენდ-ართული ესენციებიც, რომლებზეც «ინერებოდა» ეს უმაქნისი ტექსტები, უქნარა არტისტის ნეიტრალურ აისტესისზე მეტყველებდა;

და ტექსტუალური სივრცის იმ ექსისტენციურ გზავნილსაც შეიცავდა, საბოლოო ჯამში, რაღაც ფსევდოისიხასტურ,

რალაც ომფალოსკოპიურ დუმილად გაფორმებას რომ შეესატყვისებოდა;

უსაქმური ჭვრეტა, მცონარე კონტემპლაცია, რომლითაც თემო ჯავახი (მი)უდგება ხოლმე სამყაროს; ამ უკანასკნელისათვის სამყაროულობის (წარ)თმევის, სამყაროულობის მიტაცების ფორმაცაა;

ყოფნა, უსაქმო ყოფნა და ამ «ყოფნით ყოფნა» ნიშანთა განსაკუთრებულ ანსამბლს თხოულობს და საგანგებო სემიოზისზეა ორიენტირებული;

და ჩვენი არტისტიც, ვითომცდა სხვათა შორის, უსაქმოდ იწყებს ამგვარი სემიოზისის პოეტოლოგიურ სავარჯიშოებში «ქექვას»...

ქექვას... ო, ქექვას... დაუნდობელ ქექვას ძველისას...



თავზე ნაცარნაყრილი ეძებს, თანაც ყველაფერში ეძებს კვალს;

კვალს, რომელიც სხეულის მიერ ზედაპირზეა დატოვებული...

ყოველი ნიშანი მისთვის კონტაქტის კვალია;

კვალი თავის ფორმაში მისი დამტოვებლის შესახებ...

თემო ჯავახი ხშირად მიმართავს «ტერას» თემას....

ტერ-არტისტია!

მასთან ტელუროკრატიული დისკურსი ჯაბნის სტიქიურ თელასოკრატიულს;

«ტელუს» – ხმელეთი – მასთანაც წყალს უპირისპირდება;
წყალს, ზღვას – «თალასას»...

«ტელუროკრატია» მასთანაც აღმოსავლეთს
განასახიერებს;

გეოგრაფია ადამიანის ბედისწერააო...

და ჯავახი თემოს ბედისწერაც აღმოსავლეთია, მგონი;

მისი, როგორც არ(ტეფაქტ)ისტის აისტეზისი საგანთა
სამყაროშია აკუმულირებული;

პირველსაგანთა სამყაროში!

ეს არტეფაქტები თითქოსდა პრალოგიკური ცნობიერების
ნატეხებია;

ნეოტრაიბალიზებული მითოლოგემები!

მითოსია, რომლის რეკონსტრუქციის კვალობაზეც
სუბიექტ-ობიექტური სინკრეტულობის წიაღ შეგვიძლია,
დავინახოთ... თავად ხედვა!

ხედვა, როგორც ასეთი!

«თვალეები მაგრად უნდა დახუჭო» და... ხედვაც
«გამზადებულია»!

იყო ასეთი ფილმი – ბავშვობიდან ჩამრჩა მეხსიერებაში –
«მაიაკოვსკი იწყებოდა ასე»;

თემო ჯავახიც ასე იწყებოდა...

მისი კომპოზიციების ტოტემურობაც პირველსაგანთა
გახსენებითაა აღძრული და პროვოცირებული;

და ესეც რე-აქციაა მომაკვდავი რაციონალიზაციისა და მეტაფიზიკური ენის ფსევდოსულიერებისადმი მიმართული.

ამ ტოტემებით თამაშდება კვაზიმისტერია, სადაც ყოველი ჩვენგანი სხვებს მიეკუთვნება და ასე ამყარებს მათ ძალაუფლებას.

ჯავახისეული ტოტემები, ნეოტოტემები თავიანთი კონცეპტუალური «უმსგავსობით» კოგიტალური ინსტრუმენტები კი არა, გზავნილებია «უსახურობისადმი»;

თავად არტისტი კი გამუდმებით უსვამს კითხვას საკუთარ თავს: «ვინ ვარ? როგორ გამოვიყურები? რას წარმოვადგენ?»

არტისტული ექსტაზით «მჩხიბაობს» ჯავახი თემო...

დანომრილ ობიექტებშიც და მორზეს ანბანი სკრიპტოგრამატოლოგიურ (ა)პერცეპციებშიც, (შე)ლოცვათა სიმულაკრებს რომ წარმოადგენენ, არტე ფაქტუ(რუ)ლი აუთენტობის განცდითაა შემოტანილი არბიტრარული ნიშნები;

კვაზიკოდები, კვაზილექსემები, კვაზიემბლემები, პოიეტური თვითკმარობითა და ფენო(უ)მენოლოგიური ეპოხე(უალო)ბით რომ გვითრევს ამ «უაზრო» სემიოტიკურ თამაშებში...

განზრახ თუ განუზრახავად დატოვებული ნიშნების ამ თამაშებრივი მეტალოგიკით

გამოხატავს თავის აქრონულ ინტენციებს;

თემო ჯავახისეულ ობიექტებში, როგორც პროპოზიციებში, ნიშნები თავისთავად ამყარებენ წესრიგს;

უნებლიეთ კატეგორიზდებიან...

ინფერენციულ მექანიზმებს თავად პოულობენ...

თავად ამყარებენ «რალაცის მაგიერ» ყოფნის კავშირს;
როგორც შედეგის წინამორბედს ანდა წინამორბედის
შედეგს...

და, ჰობსის თქმისა არ იყოს, რაც უფრო ინტენსიურად
ვაკვირდებით, მით უფრო ნაკლებად წარმოგვიდგებიან
ისინი, როგორც ნიშნები...

«სულ-ელი» ნიშნების კვაზიმესიაა თემო...

და ეს «მესიანიზმი» და ეგოცენტრიზმიც მისი არტისტული
იმიჯის ნაწილია;

ეს იმიჯია პლასტიკური უზუსის სახით ექსპლოატირებული
მის «ნამუშევარში»,

სახელწოდებით «Я»...

მაგრამ სადამდე გინდა, ასე დოინჯშემოყრილი «Gestus»-ით
პოზირებდე?!

ერთი ეგაა, რომ ამგვარ ობიექტებს ექსპლოატაციის ვადა
მალე გასდით:

კონცეპტი – მალფუჭებადი პროდუქტია;

და იმედია, ამაზეც მომარჯვებული ექნება არტისტს
ირონიული რეფლექსია...

უსაქმობის შესაძლებლობა არ დაკარგო – აი, რას უნდა
გაუფროთხილდეს;

შესაძლებლობაცა და შეუძლებლობაც...

შეუძლებლობა იმისა, რომ ყველაფერი შესაძლებელია;



TEMUR JAVAKHISHVILI
"Я" (I AM),
OLD GALLERY, 1994
TBILISI



და
შესა
ძლე
ლობ
ა
იმის
ა,
რომ
ყვე
ლაფ
ერი
შეუძ

ლებელია...

როგორც ნებართვა იმისა, რომ
ყველაფერი ნებადართულია.

ერთეულ ობიექტში
უსასრულოდ მცირესა და

უსასრულოდ დიდის შეთავსების შესაძლებლობაცა და
შეუძლებლობაც...

შეუთავსებლის შეთავსება...

და მაშინ სამყაროც სფეროიდულად მოგვეჩვენება;

ობიექტები კი სტერეოსკოპიულად გაზვიადდებიან...

გასულდიდდებიან...

(«გავდიადდები, გავსულდიდდები და ავენთები მამულს
კელაპტრად» – კარის პოეტის ამ სტრიქონების ტრავესტიაა
თითქოს ანთებული სიგარეტით «თავბეხელაღებული»
მხატვრის იმიჯი);

კომპოზიცია აღარ ჩაიკეტება სწორხაზოვან კადრ-ჩარჩოში;

ყოველი მხრიდან გაფართოვდება;

გა-ფარ-თოვდება;

გაფარ-თოვდება...

მერე, გაიშლება;

გა-იშლება,

დაიშლება და წა-იშლება...

და ასე მოგვეჩვენება სინთეზურ ხატად;

ახალ მედია-პროექტანტულ პარადიგმად...

მაგრამ არის კი შესაძლებელი, ამ სინთეზური ხატის
კონსტიტუირება იმთავითვე

ეფუძნებოდეს ობიექტურად არსებულ კონცეპტსა და ხატს?

წარმოადგენდეს ამ პირველადი, სუბსტანციური ხატის
გაშლა(წაშლა)-გაფართოების

შედეგს?

თუკი ასეთი ხატი არსებობს, მისი არსებობაც ხომ
პრინციპულად პარადოქსული უნდა იყოს;

პარა-დოქსული!

გლობალური გახსნილობა-გაფართოების კონტექსტში,
ხსენებული – უნივერსალური გინა სინთეზური ხატის
(რომელიც სიტყვებშია კინაღამ დამეკარგა!) არსებობა
შეუძლებელია, არ იყოს პარადოქსული;

და საერთოდ, ხატი თუ კონცეპტი შეუძლებელია, არ იყოს
პარადოქსული;

მე ახლა სულაც არ ვცდილობ თემო ჯავახის გაგებას;

პირიქით – მისი გაუგებრობა უფრო მხიბლავს;

მისი პარადოქსულობა...

მისი TRANS-ების მიღმა გასვლა და პეტრინისეულად
«მოდმოგონებებისა» თუ ახალი

ინვენციების შეთხზვა...

თემო ჯავახი «ქართ-ველი» არტისტია;

და პოეტისა არ იყოს, «საქართველო არ უყვარდეს?
ყოვლად შეუძლებელია»!

არადა, ყოვლად შესაძლებელიცაა...

ერთიცა და მეორეც მძიმე ტვირთია;

როგორც გრანიტის მემორიალის ფორმის «დიპლომატი»...

ბრინჯაოს სახელურით...

და ტექსტით: «ახლა სხვამ ზიდოს»;

ეს ობიექტიც «წინ(ა)დადებაა»;

პრო-პოზიცია...

ისევე როგორც «კარტოგრაფიული ქოშები», რუსთა მიერ
წართმეულ ტერიტორიათა ფრაქტალებით;

ეს ფსევდოგეოპოლიტიკური კიჩ-ობიექტი ფეხზე
ამოსაცმელი გეშტალტიცაა და წინ(ა)დადებული რუკის
ნაგლეჯიც...

სა-карт-ველოს გეშტალტია ეს ობიექტი;

გეშტალტ-ობიექტი...

ასეთი სა-карт-ველო კი, ღმერთო შეგცოდე და, მგონი, უკვე
«დახურული თემაა»!

თითოეული ასეთი ობიექტი ერთგვარი პარამენაა;



«პარამენა»
– ანუ მნემონური
თაიგული...
მეხსიერებაში

შე-ნახულ იმპრესიათა «გადაკონვა»...

ეს მნემონური ნიშები კი იცვლება;

ნიშები, სადაც ეს «თაიგულები» უნდა ჩაიდგას...

ეს ნიშებია «ჭურჭელი, რომელსაც ვნებები დაეძებენ»...

აი, «სულ-ელი» არტისტი ამავე სახელწოდების ინსტალაციის ნიშიდან რომ «იჭყიტება»!

ასეთი ნიშებია ფოტოფრაქტალები 72%-იანი სარეცხი საპნებით ამოშენებულ «ვირის აბანოში»;

«განსანმენდელის», უფრო ზუსტად, განსაბანის რელევანტური გეშტალტია!

თემო ჯავახი «უსახელო სახე-ლებითაც» გვეთამაშება; მაცდუნებელი ეპატაჟით;

მოსკოვურ კონცეპტუალურ ლაქსიკონში ესაა ვარიანტი უტოპოსისა, რომელსაც ენაშიც კი არ მოეპოვება ადგილი...

ასეთ სახე(ლ)ებს ვერც «დაშლილი წიგნის»
არტეფაქტურებში ამოიკითხავთ;

მათი უ-ტოპოსი «ჟანგიანი წიგნის» ცინკოგრაფიული
სხეულია:

გადაგდებული მატრიცაა...

«ნამშობიარევი» წიგნისა (ა)მოუკითხავი სიგნუსებით;

სიგნუსებით, როგორც უკითხავი ნიშნებით...

წიგნი იგი «ენიზმია» ერთგვარი;

სიზმრისეული ნეტარების ნაკადის სახე-ლი...

ენიგმისა და ქარიზმის კონტამინაციაა...

გადაჭდობაა საიდუმლოს და მისი (გ)ახსნის ექსტატიკისა...

ამ ტიპის არტეფაქტები მხატვრ-პოეტის რეკრეაციულ-
ფსიქოდელოურ პაუზათა ჩანაწერებიცაა;

თუმცა, მთელი მისი «პრაქსისი» ამგვარ პაუზათა
რეპრეზენტაცია არაა?!

ასეთი პაუზებით კონსტიტუირდება ფსიქოტროპოლოგიური
დაძაბულობის ველი;

ასეთი პაუზებით საზრდოობს ფსიქოლექსიკური
ჰეტეროგენები...

ნარატიული, იკონიკური, მუსიკური თუ პერფორმატიული
ტექსტებითა და მათი «სხეულებრივი» რესურსებით
აღძრული გეშტალტები...

პროვოკაციის ჟინი დროდადრო ცხრება და არტისტში ისევ
მხატვარი იღვიძებს;

ბავშვობაში წაკითხული ტრაქტატი ამომიტივტივდა
მეხსიერებაში;

ძველი ჩინური ტრაქტატი:

«სიტყვა ფერწერის შესახებ მდოგვის მარცვლის ოდენა
ბალიდან»...

მდოგვის დიდი მოსავალი მოიწია ჩვენმა თემომ;

და ჩარჩოში ჩასვა...

ისევ «საგან-ჩარჩოში» მოათავსა არმომხდარი
ხდომილების პლასტიკური მასალა...

საგან-ჩარჩოს შიგნით წარმართა «ცარიელი მოქმედება»;

გასაგნებულ ტრანსცენდენტობათა ამ «სამრეცხაოში»
ხდება გან-წმენდაც...

განწმენდილი ადამ და ევა სოროკინისეულ «ონანიუმშიც»
შეიძლება მივავლინოთ;

და გან-ვაცდევინოთ სიამენი ესთეტიკური
აუტოეროტიზმისანი...

ქეთევან ს. კინწურაშვილი

კანდინსკი: პირველი უსაგნო

«მხატვარს უნდა ჰქონდეს სათქმელი, რადგან მისი ამოცანაა არა ფორმის ფლობა, არამედ ფორმის შინაარსთან მისადაგება»

ვასილი კანდინსკი, «სულიერების შესახებ ხელოვნებაში,» 1911

*«მე ვგრძნობ ჰაერს სხვა პლანეტისას»
შტეფან გეორგე, «აღტაცება»*

საქართველოს ეროვნული მუზეუმის შ. ამირანაშვილის ხელოვნების მუზეუმში ინახება ვასილი კანდინსკის სამი ნაწარმოები, მათ შორის – «სურათი წრით.» ნამუშევარი შესრულებულია ბეთით ტილოზე. ზომა არის 141.2 სმ X 121.2 სმ. მხატვარს ხელი მოწერილი აქვს ლათინური ასოებით სურათის ქვედა მარცხენა კუთხეში. აქვეა მითითებული შესრულების წელიც – 1911. დღესდღეობით ტილოს ხის ჩარჩო და უკანა დამცავი ფიცარი აქვს. თუმცა, ფოტო, რომელიც მუზეუმში ინახება, ადასტურებს, რომ ტილოზე უკანა ქვედა მარცხენა მხარეს არის მხატვრის ხელით რუსულ ენაზე შესრულებული წარწერა: «Картина с кругом (1я безпредметная), 1911» («სურათი წრით (პირველი უსაგნო), 1911»).

როდესაც აბსტრაქციონიზმი არ არსებობდა

მონეს «თივის ზვინებით» და ვაგნერის «ლოენგრინით» შთაგონებული 30 წლის ეკონომიკის დოქტორი ვასილი კანდინსკი 1896 წელს მიუნხენში გაემგზავრა, რათა ახლა უკვე მხატვრის პროფესიას დაუფლებოდა. მან თან წაიღო

მოგონება მოსკოვზე, რომელიც სამუდამოდ დარჩა მისთვის შთაგონების ერთ-ერთ წყაროდ.

კლასში აკადემიურ ხატვაზე სწრაფად თქვა უარი. პლენერზე პეიზაჟების ხატვა არჩია. პუანტილიზმს და ფოვიზმს ასევე სწრაფად გასცდა. საღებავების თავისუფალი მონასმები ეხმარებოდა, რათა რეალობის ხილულ გარსს გაშორებოდა და მის სიღრმეში შეეღწია, ან უხილავი სფეროებისკენ გაეკვლია გზა. შედეგად, გერმანული ექსპრესიონიზმის ერთ-ერთ ფუძემდებლად იქცა. ბუნების «შიდა ხმების» ამოცნობის და ასახვის სურვილმა მისთვის ცხადი გახადა, რომ სინამდვილის გარეგნული აღწერა აღარ აინტერესებდა და წარმოსახვითი სცენების ხატვა დაიწყო შუასაუკუნეების გერმანიის ისტორიიდან და ძველი რუსეთის ცხოვრებიდან. შედეგად შექმნა გრაფიკული სერია – «ლექსები სიტყვების გარეშე.» ამოცანების გადაჭრაში, რა თქმა უნდა, სიმბოლიზმი და იუგენდ სტილი ეხმარებოდა. კიდევ ერთ წყაროს პრიმიტივისტული ლუბოკი წარმოადგენდა.

მოთმინებით ელოდა წამს, როდესაც რეალური გამოსახულებები ან თუნდაც მინიშნებები, გაქრობოდნენ მისი ნამუშევრებიდან და შეძლებდა სიბრტყეზე მხოლოდ მხატვრობის საშუალებებით – ხაზით და ფერით ოპერირებას. ეს მისთვის ხანგრძლივი და მტკივნეული პროცესი იყო.

ფორმალისტური თვალსაზრისით, ობიექტის გაქრობას სახვით ხელოვნებაში, ხელოვნებათმცოდნეები შედარებით მარტივად ვხსნით – როგორც ფორმასთან დაკავშირებულ პროცესს, რომელიც თუნდაც სეზანთან და მონესთან დაიწყო, და აბსტრაქციონიზმით დაგვირგვინდა. სეზანთან მიმართებით, ეს პროცესი ჰაიდეგერმა შეაფასა

როგორც «საგნების დაკარგვა». და ეს, რა თქმა უნდა, განვითარების გაცილებით რთული გზაა, ვიდრე მარტივად ობიექტზე უარის თქმა და მის სანაცვლოდ ხაზის და ფერის «გაცოცხლება».

* * *

კანდინსკი ერთადერთი არ იყო, ვისაც სჯეროდა, რომ პოზიტივისტურ-მატერიალისტურ მისწრაფებებში ჩაძირული მე-19 საუკუნის სანაცვლოდ, დგებოდა სულიერების ხანა, როდესაც ადამიანი ახალ ცოდნას უკვე არა საგნის გარსის – გარეგნობის შესწავლიდან მოიკრებდა, არამედ მასში წვდომიდან, რის შედეგადაც კაცობრიობის წინაშე უკვე იხსნებოდა უხილავი, თვალისთვის დაფარული სამყაროები. ეს რწმენა ატომის დაშლამაც გაუმყარა (1897).

მაგრამ საგნები ასე ადვილად ვერ ქრებოდნენ სამუშაო სიბრტყიდან. შესაძლებელია, სწორედ ობიექტიდან გათავისუფლების მტკივნეული პროცესის გამომხატველია მის ნამუშევრებში გამოხატული დაუოკებელი ლტოლვა თუ სწრაფვა – სადღაც მიჰქრიან ცხენები, მიცურავენ ნავები, მიჰქრის ორთქლმავალი... კონკრეტული მიზანი არ ჩანს. ეს არის სრბოლა გაურკვეველი, მიუწვდომელი ბილიკებისკენ. ან მწვერვალისკენ...

ამ ძიებებიდან ამოიზრდება სერიები: შთაბეჭდილებები (რომელთაც მხატვარს ხილული სამყარო კარნახობს), იმპროვიზაციები (სპონტანურად აღმოცენდებიან მისი შიდა სამყაროდან) და კომპოზიციები (რომლებიც ურთულესი სტრუქტურის არის, რომლებზეც დიდხანს, პედანტურად ფიქრობს და მუშაობს). თუმცა, კანდინსკი თავადვე შენიშნავს, რომ ყველა შემთხვევაში საბოლოო

მნიშვნელობა ენიჭება არა გათვლას, არამედ გრძნობას
(«კიოლნის ლექცია,» 1914)

შინაგანი აფორიაქებულობა, მტკივნეული სულიერი პროცესები აისახება კანდინსკის წერილებშიც და ლექსებშიც. გამოუვალობის გრძნობა იკითხება, მაგალითად, ლექსში «ნუ» («He») მასში ადამიანი ამოთხრის პატარა ორმოს და ყოველდღე, ერთსა და იმავე დროს, განუწყვეტლივ დახტის მასზე წინ და უკან ისეთი ძალდატანებით, თითქოს უზარმაზარ თხრილს ახტებოდეს. ამ განცდის შესატყვისად აღიქმება ცხენოსანთა ფიგურების მოძრაობა კანდინსკის ფერწერულ ესკიზში მეორე კომპოზიციისთვის, რომელიც 1909-10 წლებშია შექმნილი. აქ ფიგურები ფანტომებად არიან ქცეულნი და აბსტრაქტული ლანდშაფტისგან განუყოფელნი არიან. თუმცა კი, ჯერ კიდევ იკითხებიან. ხოლო ცენტრში ეს «კანდინსკისეული» მოძრაობაა განხორციელებული. ამგვარი მოძრაობა ხშირად ერთმანეთთან აკავშირებს მისი კომპოზიციების სხვადასხვა ნაწილებს, გარდამავალი ხიდია მათ შორის.

* * *

გერმანია ზოგადად იმ დროს მოდერნისტული ხელოვნების ერთ-ერთ ცენტრს წარმოადგენს და კანდინსკის იქ მიმდინარე მოვლენებში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს. მან დააარსა გაერთიანება «ფალანგა» და მასთან არსებული სკოლა; ის იყო მიუნხენის «ახალ მხატვართა» გაერთიანების ერთ-ერთი დამფუძნებელი და პრეზიდენტი.


ბუნება ჯერ კიდევ რჩება მისი შთაგონების ძირითად წყაროდ, როდესაც ის და მისი ყოფილი სტუდენტი, ახლა კი ცხოვრების თანამგზავრი გაბრიელა მუნტერი ბავარიული ალპების ძირში, პატარა ქალაქ მურნაუში სახლდებიან

(1908). თუმცა, ხელოვნება მისთვის თანდათანობით ბუნებისგან დამოუკიდებელ სამყაროდ ყალიბდება. თავად მუნტერის ექსპრესიული პეიზაჟები, ურთიერთობები მეგობრებთან (მხატვრები ალექსეი იავლენსკი, მარაინა ვერიოვკინა, კომპოზიტორი თომას ჰარტმანი), მოგზაურობა სხვადასხვა ქვეყანაში და მათ შორის, ტუნისში, მამოძრავებელი ძალაა შემოქმედებითი ამოცანების დაძლევის გზაზე.

კანდინსკი თვითონ მოხატავს მურნაუს სახლის ინტერიერს და ავეჯს, რის გამოც მათ სახლს «რუსული სახლი» შეერქმევა. ეს იმ შთაბეჭდილების გამოძახილია, სტუდენტობის პერიოდში ვოლოგდაში რუსული ქობის ხილვისას რომ მიიღო. ქობი მთლიანად მოხატული იყო და მას ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, თითქოს ფერებში შეაბიჯა.

* * *

თეოსოფია კიდევ ერთ წყაროს წარმოადგენდა გეზის გარედან შიგნით მიბრუნებისთვის, ფერების და ფორმების დამოუკიდებელი მნიშვნელობის შესაძლებლობების გამოვლენისთვის. კანდინსკის არასოდეს გაუზიარებია თეოსოფისტთა რელიგიური იდეები, მაგრამ კითხულობდა მათ გამოცემებს, ეცნობოდა ეზოთერულ თეორიებს, და აზრები დაფარულ, თვალთ უხილავ სამყაროებზე, აზრის ფორმის დანახვის შესაძლებლობაზე (აზრის ფორმის მგრძნობიარე ფირზე გადაღებისაც კი!), ფერების და აზრების კავშირებზე, ისევე, როგორც ახალ ეპოქაზე, რომელიც ყურადღებას არამატერიალურზე, გარეგანი გარსიდან – შინაგან მნიშვნელობაზე გადაიტანდა, მის ინტერესს იმსახურებდა. ანი ბესანტის და ჩარლზ ლიდბითერის წიგნი «აზრების ფორმები,» განსაკუთრებით



ვ. კანდინსკი, სურათი წრით, 1911,
საქართველოს ეროვნული მუზეუმი, თბილისი.

კი
წიგნშ
ი
ჩართ
ული,
ავტო
რები
ს
მიერ
სამი
მონვ
ეული
მხატ
ვრის
მიერ
შექმნ
ილი
ილუს
ტრაც
იები,
გვარ
წმუნე
ბს,
რომ
კანდ

ინსკი ნამდვილად შთაგონებული უნდა ყოფილიყო მათი თეორიებით. მარიანა ვერიოვკინას დღიურებიდან ჩანს, რომ კანდინსკი ესწრებოდა რუდოლფ შტაინერის ლექციებს და რომ მის მიერ 1908 წელს დახატული «სცენა გოეთეს 'ფაუსტუსიდან'» ამავე თემაზე შტაინერის მიერ წაკითხული ლექციის ილუსტრაციას წარმოადგენს.

მოახლოვდა 1910 წლის დასასრული. ჩვენ არ ვიცით დანამდვილებით, ამ წელს შექმნა თუ არა კანდინსკიმ პირველი აბსტრაქტული აკვარელი, რადგან ზოგი მკვლევარი მას უფრო მოგვიანოდ მიიჩნევს და 1913 წლითაც კი ათარიღებენ. მაგრამ ამ დროისთვის ის თანდათან თითქმის თავისუფლდება ობიექტისგან. რელიგიურ სიუჟეტებზე შექმნილ ნამუშევრებშიც – «წმინდა გიორგი,» «წარღვნა,» «აღდგომა,» «ყოველთა წმინდანთა დღე,» «განკითხვის დღე,» «ჯოჯოხეთის წარმოქმნა» – ის ცდილობს უარი თქვას კონკრეტულ გამოსახულებებზე. თუმცა, ნახევრადაბსტრაქტული ფიგურები მის ტილოებზე ჯერ კიდევ იკითხება – ადამიანი, ნავი, ცხენი, საყვირი და სხვა.

გარდამტეხი წელი

1911 წელი განსაკუთრებული მნიშვნელობის წელია გერმანული ხელოვნების და ზოგადად მეოცე საუკუნის ავანგარდული ხელოვნების ისტორიაში. ისტორიული მნიშვნელობის მოვლენათა ეპიცენტრში კვლავ დგას კანდინსკი.

კანდინსკი და მუნტერი ახალ წელს ალექსეი იავლენსკის და მარიანა ვერიოვკინას სახლში შეხვდნენ. აქ გაიცნეს ფრანც მარკი და საფუძველი ჩაეყარა ორი მხატვრის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან კავშირს მეოცე საუკუნის ხელოვნების ისტორიაში. მეორე დღეს მასპინძლებიც და სტუმრებიც ერთად დაესწრნენ არნოლდ შონბერგის პირველ კონცერტს მიუნხენში, და ამ ფაქტმა ასევე ისტორიული მნიშვნელობა შეიძინა. კანდინსკიმ შონბერგის რევოლუციურ მუსიკაში ამოიკითხა იგივე ამოცანები, ტენდენციები და მიღწევები, რისთვისაც ის დამოუკიდებლად იღწვოდა საკუთარ დარგში.

კონცერტის შემდეგ ფრანც მარკის მიერ ოგუსტ მაკესადმი მიწერილი წერილიც ადასტურებს, თუ ერთმანეთთან რამდენად ახლოს იდგა კანდინსკის და შონბერგის მიგნებები: «შეგიძლია წარმოიდგინო მუსიკა, რომელშიც ტონალურობა (რაც რაიმე გასაღების ერთგულებას გულისხმობს) მთლიანად გაუქმებულია? ამ მუსიკის სმენისას, რომელიც საშუალებას აძლევს ყველა ტონს, რომელიც ისმის, იყოს დამოუკიდებელი (როგორც თეთრი ტილო ფერის ლაქებს შორის!), მე სულ მახსენდება კანდინსკის დიდი კომპოზიცია, სადაც ასევე უარყოფილია ტონალურობა... და აგრეთვე, კანდინსკის «მოხტუნავე ლაქები». შონბერგი ამოდის პრინციპიდან, რომ კონსონანსის და დისონანსის კონცეპტები სრულიად არ არსებობს. ე.წ. დისონანსი არის უფრო დისტანცირებული კონსონანსი – იდეა, რომელიც ახლა მუდმივად მიჰყრობს ხატვის დროს.»

კონცერტი დაიწყო მეორე სიმებიანი კვარტეტით ვიოლინოსთვის, ჩელოსთვის, ალტისთვის და სოპრანოსთვის, რომელიც შონბერგმა 1907-08 წლებში დაწერა. ამ ნაწარმოების მეორე და მომდევნო ნაწილებში ის პირველად სძლევს ტონალურ ცენტრს. ხოლო ვოკალურ ჩანართს, რომელშიც ეს ნახტომი ხორციელდება, საფუძვლად უდევს პოეტ შტეფან გეორგეს ლექსი «აღტაცება.» «მე ვგრძნობ ჰაერს სხვა პლანეტისას» – მღერის სოპრანო. (უკვე კონცერტის დაწყებამდე, კანდინსკისთვის სასიამოვნო სიურპრიზი იყო პროგრამაში გეორგეს ლექსების აღმოჩენა, რადგან ის იცნობდა და აფასებდა მის პოეზიას. თავად შონბერგი გეორგეს შესახებ წერდა, რომ მხოლოდ ჟღერადობითაც გასაგები იყო მისთვის მისი ლექსები).



კონცერტით მიღებულ შთაბეჭდილებას კანდინსკი ასახავს ცნობილ სურათში «შთაბეჭდილება III: კონცერტი,» რომელშიც მხოლოდ შორეული მინიშნებაა კონკრეტულ მოვლენაზე და ყველაფერი ფერებში ინთქმება. როიალს თითქოს თავი ეხდება და შავი ფერი ღრუბელივით მიფრინავს სივრცეში. შავი, რომელიც ადრეული ასაკიდან აღელვებდა მხატვარს როგორც მტრული ფერი, რომელიც

გაედღაბნა მას ბავშვობაში, როდესაც ცხენს უხატავდა ჩლიქებს, რომელიც შიშს გვრიდა მუდამ, ახლა აქ თითქოს ახალ შინაარსს იძენს. ის მას ფლობს და მის ახალ შესაძლებლობას ამჟღავნებს.

შეხვედრის დღიდან, კანდინსკის და მარკს შორის ურთიერთობა ყოველდღიურად ღრმავდება. თანდათან მნიფდება გაერთიანება «ლურჯი მხედრის» შექმნის იდეა.

* * *

იმ წელს გერმანიაში უჩვეულოდ ცხელი ზაფხული დადგა. ყოველ დილით, გაღვიძებისას, კანდინსკი ფანჯრიდან ხედავდა გავარვარებულ ლურჯ ცას. რამდენჯერმე ჭექა-ქუხილმა გადაუარა გარემოს, წვიმის ორიოდე წვეთი დაეცა მიწას და გაიარა. ...კანი სკდებოდა. სუნთქვა შეუძლებელი იყო. და უცბად, გარემოს თითქოს თეთრი სუდარა გადაეფარა. თეთრი – დიდი სიჩუმე – შესაძლებლობებით აღსავსე. ყველაფერი გათეთრდა. კანდინსკი წერს, რომ

მაშინ აღმოაჩინა თეთრის განსაკუთრებული მნიშვნელობა და გააცნობიერა მისი როლი.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სწორედ ამ ნახევრადავადმყოფურ მდგომარეობაში დაიბადა სურათი – «თეთრი წრით».

* * *

2012 წელს, ნიუ იორკის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში მოწყობილ გამოფენაზე «აბსტრაქციის შექმნა 1910-1925» წარმოდგენილი იყო კანდინსკის «კომპოზიცია V». კურატორი ლია დიკერმანი მის შესახებ წერს: «1911 წლის ზაფხულში კანდინსკიმ მუშაობა დაიწყო თავის მონუმენტურ (190 X 275) კომპოზიციაზე, რომელშიც, საჯაროდ გამოფენილ ნამუშევართაგან, ყველაზე თანმიმდევრულად პირველად თქვა უარი რაიმეგვარ მსგავსებაზე... ეს იყო ხმამაღალი განაცხადი, რომელსაც მომდევნო წელს ერთიმეორის მოყოლებით მოყვა აბსტრაქტული ნამუშევრების მთელი რიგი.» ეს ფრაზა გვიმყარებს აზრს, რომ სავარაუდოდ ამ კომპოზიციამდე და სწორედ 1911 წლის ზაფხულში უნდა იყოს შექმნილი «სურათი წრით.»

1911 წლის შემოდგომაზე, «კომპოზიცია V» მიუნხენის «ახალ მხატვართა» გაერთიანების კომისიამ გამოფენაზე არ მიიღო. მარკმა და კანდინსკიმ პროტესტის ნიშნად მაშინვე დატოვეს გაერთიანება და სასწრაფოდ დააფუძნეს «ლურჯი მხედარი», რომლის გამოფენაზეც, უკვე დეკემბერში, ეს კომპოზიციაც იყო წარმოდგენილი. მისი ფოტო «ლურჯი მხედრის» აღმანახშიც დაიბეჭდა. აღმანახის პარალელურად ასევე გამოიცა კანდინსკის ცნობილი წიგნი – «სულიერების შესახებ ხელოვნებაში».

მთელ ამ უაღრესად მნიშვნელოვან და საყოველთაოდ ცნობილ მოვლენათა მორევში, როგორც ჩანს, «შთაინთქა» პირველი აბსტრაქტული სურათის აღმოცენების მნიშვნელობა.

პირველი უსაგნო

მას შემდეგ, რაც საგნებმა გაქრობა დაიწყეს ტილოს ზედაპირიდან, კანდინსკის სულ უფრო აწუხებდა ორნამენტულობის შიში. პერსპექტივაზე და მოდელირებაზე უარის თქმამ სიბრტყის მნიშვნელობა წამოსწია წინ, მაგრამ სიბრტყითობას გარეგანი დეკორატიულობისკენ მიჰყავს ნამუშევარი და ის კარგავს «შიდა ხმას.»

კანდინსკი სულ უფრო მეტს მუშაობდა, რათა თანდათანობით დაშორებოდა საგანს. ბოლომდე ვერც ამბობდა მასზე უარს, რადგან ხანდახან თუნდაც სურათის ნაწილების დასაკავშირებლად ესაჭიროებოდა ის. ასევე მუშაობდა ხაზზე და აძლიერებდა მის მნიშვნელობას.

მაგრამ ამ სურათში ის ურთულეს ამოცანას სძლევს – მხოლოდ საღებავებით ოპერირებს.

შესაძლებელია, ამოცანის გადაწყვეტაში ისიც ეხმარება, რომ ამ პერიოდში კანდინსკი გატაცებულია მინაზე ხატვით. მინაზე სარკისებრი ხატვის ტექნიკა მან ბავარიის და ბოჰემიის ხალხური ოსტატებიდან აითვისა. საღებავი მინაზე უფრო თავისუფლად მოძრაობს, ხოლო სინათლე, რომელიც ამ შემთხვევაში იჭრება როგორც დამატებითი ელემენტი, ამონათებათა შექმნის გზასაც კარნახობს მხატვარს. თუმცა, აქ ასევე ძლიერია მკვეთრი კონტურის დატვირთვა, რომელიც ქმნის საზღვრებს და იჭერს საღებავს.

არ არის გამორიცხული, რომ წვიმაში პლენერზე მუშაობის გამოცდილებაც დაეხმარა კანდინსკის. ხანდახან, ეტიუდებზე მუშაობს დროს, როდესაც წვიმა წამოვიდოდა, მის პალიტრაზე, მისი სიტყვებით, წვიმის მაღალი მრგვალი წვეთები, ათრთოლებულნი და მოქანავენი, მოულოდნელად ერთმანეთს ხელს უწვდიდნენ, ერთმანეთთან მირბოდნენ, და ერთიანდებოდნენ წვრილ, ეშმაკურ ძაფებად, რომლებიც აჩქარებით მირბოდნენ დანარჩენ ფერებს შორის და უცბად ქვემოთ სახელოზე ახტებოდნენ მას.

* * *

კანდინსკის არ აინტერესებდა სამყაროს გამოსახვა მისი მცირე გამოვლინებებით. თუმცა, აღიარებდა, რომ ამ მცირეში შეიძლება ეტეოდეს მთელი კოსმოსი. მისი ინტერესის საგანი იყო კოსმიური სამყარო, თავისი ჰარმონიით და დისჰარმონიით, შეჯახებებით, დისონანსებით და კონსონანსებით: მიწა, ცა, ადამიანი – ერთიანობაში. ის იკვლევდა უმცირეს დეტალებს, მოლეკულებს და ატომებს, ერთ მთელში ჩასაწვდომად, რაც სინთეტურ სამუშაოს წარმოადგენდა.

ორი ჰორიზონტალით და ორი ვერტიკალით შემნილი ობიექტი – სიბრტყე მისთვის ცოცხალ სუბსტანციად აღიქმებოდა, რომელიც «სუნთქავს» და მან იცოდა, რომ თითოეული შეხება მასთან რეზონანსს იძლევა. მისი აზრით, მხატვრის ხელში, სათანადო მოპყრობით, ეს პრიმიტიული ორგანიზმი უნდა გადაქცეულიყო ახალ, განვითარებულ ორგანიზმად.

კანდინსკისთვის ჰორიზონტალი ცივი სიმშვიდეა, ვერტიკალი თბილი სიმშვიდე. «სურათი წრით» კვადრატს უახლოვდება. თუმცა, ვერტიკალი უფრო გრძელია.

კანდინსკის აზრით, კვადრატი ყველაზე ობიექტური ფორმაა, სადაც ცივი და თბილი წონასწორობაა. მაგრამ იქვე შენიშნავს, არ არსებობს არაფერი აბსოლუტურად ობიექტურიო.

* * *

«სურათი წრით» დიდი სპონტანური ნამუშევარია, უზარმაზარი ესკიზივით არის და გარკვეულწილად განსხვავდება კანდინსკის სხვა აბსტრაქციებისგან. აქ მხატვარი ეძებს და პოულობს ფერთა ურთიერთობების, მხოლოდ ფერიდან ფორმის შექმნის კანონზომიერებებს, რის საფუძველზეც ისინი (ფერები) იძენენ ძლიერ შინაგან პულსაციას.

ორნამენტულობის შიშმა წინ წამოსწია სივრცის მნიშვნელობა, ანუ სიღრმის, რაც განსაკუთრებით რთული გადასაწყვეტია, როდესაც გეომეტრიული პერსპექტივა უარყოფილია. არქიტექტურული ცენტრის არარსებობის დროს, სურათი ითხოვს შიდა სიბრტყეებს შორის წონათა გადანაწილებას ისე, რომ სიბრტყის ზედაპირი დაძლეულ იქნას.

ამ შემთხვევაში კანდინსკი ისე ანაწილებს ფერთა მასებს, რომ მეტ სიმძიმეს ქმნის ზედა ნაწილში, განსაკუთრებით აძლიერებს ზედა კუთხეებს, ქვედა ნაწილი კი შედარებით მსუბუქია. ფერთა მასების განაწილება, მათი წონების განსხვავებულობა, თბილის და ცივის, ზოგჯერ კი – «დამთბარი» ცივის და «გაცივებული» თბილის მონაცვლეობა, ქმნის უწონადობის შეგრძნებას.

ფერების დაჯახება ზედა ნაწილის ცენტრში ქუხილის მსგავს შთაბეჭდილებას ტოვებს. ჰარმონია კონტრასტის პრინციპზე მყარდება.



ვ. კანდინსკი, მურნაუ ეკლესიით I, 1910, ლენინაჰჰაუსის მუნიციპალური გალერეა, მიუნხენი

მარცხნივ ზედა კუთხეში, სიღრმეში ვითარდება პლანეტის თუ თანამგზავრის მსგავსი ფორმა, რომელსაც მარჯვენა მხარეს აწონასწორებს წრიული ფორმა. სწორედ ეს არის თეთრი წრე – სურათის სახელწოდების საფუძველი. მის ცენტრში ლურჯი წრიული ლაქაა. აქ ხაზებიც ფერწერულია, ექსპრესიული.

რადაც აკვარელურიც არის ამ ნამუშევარში, რადგან ფერები თავისუფლად გადადის ერთმანეთში, თითქოს იჟღინთება.

ზოგი ფერი წინ მოდის, ზოგი უკან იხევს. ერთი ფორმა ან ფერი (რადგან აქ ფერები არიან ფორმები) ფარავს მეორეს. გაშიშვლებულია კანდინსკის პრინციპი – რომ ფერწერა სხვადასხვა სამყაროთა შეჯახებაა, მათი ბრძოლაა, რის საფუძველზეც აღმოცენდება ახალი სამყარო – ნაწარმოების სახით.

«ტონალობების ბრძოლა, დაკარგული წონასწორობა, «პრინციპების» რღვევა, უეცარი დარტყმა დოღზე, დიდი კითხვები... დამსხვრეული ჯაჭვები და ბორკილები, რომლებიც აერთიანებენ წინააღმდეგობრიობებს და დაპირისპირებულობებს – ასეთია ჩვენი ჰარმონია,» – წერს მხატვარი.

* * *

და მიუხედავად იმისა, რომ უსაგნოა ეს ნამუშევარი, მარჯვენა ქვედა ნაწილში ჩვენ მაინც შეგვიძლია აღმოვაჩინოთ პროფილში გამოსახული ფიგურის მსგავსი მინიშნება, ფერებში რომ ინთქმება. მხედარი?! რომლის ცხენიც გამქრალია?!..

* * *

ეს სურათი კანდინსკის ერთ-ერთი პირველი ნამუშევარია, თუ მართლაც პირველი არა, სადაც წრე იკავებს მნიშვნელოვან ადგილს, როგორც დამოუკიდებელი აბსტრაქტული ელემენტი. 1929 წელს კანდინსკი წერდა, რომ მისთვის ახლა წრემ შეიძინა ისეთივე მნიშვნელობა, როგორც ცხენს ეჭირა მის ბავშვობაში და შემოქმედების ადრეულ ეტაპზე. ეს მოხდა შემდგომ, 1920-იან წლებში, როდესაც გეომეტრიულმა ფორმებმა წინ წამოიწიეს მის მხატვრობაში. მე ახალა წრე უფრო მიყვარს, რადგან მასში მეტი პოტენცია ვიპოვეო, წერდა ის. წრემ – ყველაზე სიმეტრიულმა ფორმამ შეანაცვლა გაქროლებული ცხენი. ეს სიმპტომატურია. კანდინსკიმ მოთოკა ემოციები და მოახდინა მათი დისციპლინირება.

და ისიც სიმპტომატურია, რომ პირველი უსაგნო – პირველი სრულად აბსტრაქტული სურათი მის შემოქმედებაში, არის სწორედ «სურათი წრით.» სადაც ცხენი ფერებში შთაინთქა...

პირველობის თაობაზე

ხშირად კამათობენ, თუ ვინ იყო პირველი, ვინც შექმნა პირველი აბსტრაქტული სურათი: კანდინსკიმ თუ მალევიჩმა, კუპკამ თუ მონდრიანმა. დუშანი ამბობდა, ისინი ვერა და ვერ შეთანხმდნენ, რომ მათ ერთად შვეს ეს დიდი ბავშვიო. იმ დროს და შემდგომაც, სულ ბოლო

წლებამდე, ამ საკითხზე მსჯელობისას, არსად და არავინ ითვალისწინებდა კანდინსკის «პირველ უსაგნოს,» რადგან ის დაკარგული იყო დასავლეთის სამყაროსთვის. ბოლო წლებში პირველ აბსტრაქციონისტად მოიხსენიებენ ჰილმა აფ კლინტსაც. ჩვენც ამ საკითხზე აღნიშნულ მხატვრებთან დაკავშირებით ვიმსჯელებთ, უკვე «პირველი უსაგნოს» გათვალისწინებით.

მალევიჩმა პირველად აბსტრაქცია – ორი სამკუთხედისგან შემდგარი კვადრატი, შექმნა 1913 წელს, სპექტაკლისთვის «გამარჯვება მზეზე» და ამის შემდეგ განავითარა თავისი სუპრემატიზმი. კუპკა პირველ აბსტრაქტულ ნამუშევრებს 1910-11 წლებში ქმნის და ეს ძირითადად გამოძახილია ფერთა შესახებ ნიუტონის და ჰელმჰოლცის თეორიული ნაშრომებისა. მონდრიანმა აბსტრაქციისკენ პირველი ნაბიჯები 1914 წელს გადადგა და იმავე წელს ჩამოაყალიბა თავისი მისწრაფება, მხოლოდ ხაზების და ფერების საშუალებით გამოეხატა ბუნების მშვენიერების არსი.

ისიც საინტერესოა, რომ კანდინსკის მსგავსად, სამივე მხატვარი თეოსოფიით იყო გატაცებული, რასაც მათი ნაწერებიც ადასტურებს. თეოსოფიით გატაცება ჯერ კიდევ სეზანით იწყება, რომელმაც პირველმა მოუწოდა კოლეგებს, მხოლოდ გეომეტრიული ფიგურებით იხელმძღვანელებთ ბუნების ხატვისასო. შვედი მხატვარი ჰილმა აფ კლინტი თეოსოფიის სერიოზული მიმდევარი და პრაქტიკოსი იყო. მან ჯერ კიდევ 1907 წელს დაიწყო გეომეტრიული აბსტრაქციების ხატვა და ძირითადად ეს ნამუშევრები აღნიშნულ გამოცდილებაზეა დაფუძნებული.

ამგვარად, ქრონოლოგიურად თუ დავალაგებთ, აბსტრაქციის განხრით კლინტი პირველია, მას მოსდევენ კანდინსკი და კუპკა, შემდეგ მალევიჩი და მონდრიანი.

მაგრამ, არის ერთი მნიშვნელოვანი მომენტი, რომელიც კანდინსკის გამოარჩევს ამ ჯგუფიდან. დანარჩენი მხატვრები ქმნიდნენ გეომეტრიულ აბსტრაქციას. და მათი მაღალმხატვრულობის მიუხედავად, უნდა აღინიშნოს, – განსაკუთრებით კლინტთან, – რომ ეს ნამუშევრები გარკვეული თვალსაზრისით, თეოსოფიური მოძღვრებების ილუსტრაციებადაც კი შეიძლება აღვიქვათ. კანდინსკი ერთადერთია, ვინც ამ დროს ექსპრესიონისტულ აბსტრაქციას ქმნის. და ეს სრულიად განასხვავებს მას ყველა დანარჩენისგან. ჩვენი სურათი სწორედ აბსტრაქტული ექსპრესიონიზმის ნიმუშია და ამ თვალსაზრისით, კანდინსკი უეჭველად პირველია აბსტრაქციის განხრით.

სურათის ბიოგრაფია

როგორც ჩანს, კანდინსკიმ ნამუშევრის დასრულებისთანავე, ლათინური ასოებით მოაწერა მას ხელი და შესრულების წელიც მიანიშნა. ლათინურად შეასრულა წარწერა, რადგან ის ამ დროს გერმანიაშია და სწორედ ასე აწერდა ხელს იმ პერიოდში. 1913 წლის შემოდგომაზე «სურათი წრით» ბერლინში, ჰერვარც ვალდენის შემოდგომის გამოფენაზე იყო წარმოდგენილი, 1914 წელს – ოდესაში და 1915 წელს – მოსკოვში. ცნობილია, რომ კანდინსკიმ 1914 წელს, ომის დაწყების გამო დატოვა გერმანია და რუსეთში გაემგზავრა. როგორც ჩანს, ნამუშევარი ამ დროს უკვე რუსეთშია და შემდგომაც იქ დარჩა.

უკანა მხარეს წარწერა რუსულ ენაზეა შესრულებული. ის ამ წარწერას უკვე რუსეთში ყოფნის დროს აკეთებს და მისთვის ამ დროს მნიშვნელოვანია ასეთი გზავნილის გაკეთება, რათა დაასაბუთოს, რომ ის არის ლიდერი ამ



ვ. კანდინსკი, ესკიზი V კომპოზიციისათვის, 1910, გუგენჰაიმის მუზეუმი, ნიუ იორკი

განხ
რით.
წარწ
ერა
რუსუ
ლ
ენაზე
,
რომე
ლიც
კანდ
ინსკი
მ
გააკე
თა

სურათის უკანა მხარეს – первая безпредметная, დაახლოებით 1919 წლის ზაფხულის ბოლოს უნდა იყოს გაკეთებული, როდესაც მოსკოვში არაობიექტური მხატვრობის და სუპრემატიზმის გამოფენა მზადდებოდა. მას წინ უძღოდა შებენი და დავა აბსტრაქტული ხელოვნების თაობაზე და მის წიაღში არსებულ ოპოზიციურ ჯგუფებს შორის. ეს ის პერიოდია, როდესაც დაიძაბა ურთიერთობა აბსტრაქციონიზმის პირველ წარმომადგენლებსა და ახალ თაობას შორის. ახალი ტალღა, კონსტრუქტივისტ-»პროდუქტივისტების» სახით (როდჩენკო, სტეპანოვა და სხვ.) ხელოვნების უტილიტარული დანიშნულების რევოლუციურ იდეას იზიარებდნენ და მალევიჩს და კანდინსკის სიმბოლისტებად, მისტიკოსებად და რეტროგრადებად მიიჩნევდნენ. თავად მალევიჩზე და კანდინსკიზე დავის დროს, უპირატესობა მაინც მალევიჩს ენიჭებოდა, რადგან

მისი სუპრემატიზმი კონსტრუქტივიზმის აღმოცენებისთვის მნიშვნელოვანი საფუძველი იყო.

1921 წელს კანდინსკიმ დატოვა რუსეთი და დაბრუნდა გერმანიაში, თუმცა, ცხადია, რომ ეს აბსტრაქცია მას თან არ წაუღია. ნამუშევარი დარჩა მოსკოვში. ამ დროს მოსკოვში უკვე შექმნილი იყო დასავლეთ ევროპის ახალი ხელოვნების ორი მუზეუმი – ერთი შჩუკინის კოლექციის და მეორე, მოროზოვის კოლექციის ბაზაზე. 1923 წელს ისინი გააერთიანეს და შეიქმნა დასავლეთ ევროპის ახალი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი. 1925 წელს ის გადაიქცა ნატიფ ხელოვნებათა მუზეუმის ფილიალად და 1928 წლიდან მთელი კოლექცია ერთ შენობაში ინახებოდა მისამართზე Пречистенка, 21.

1939 წელს კანდინსკის ორი ნამუშევარი საქართველოს ხელოვნების მუზეუმს გადმოეცა. ამ დროს ფორმალისტური ხელოვნება, როგორც დეკადენტური ბურჟუაზიული კულტურის გადმონაშთი, საბჭოთა კავშირში იკრძალებოდა და ამგვარი ნამუშევრები ძირითადად მუზეუმების სარდაფებში ინახებოდა. მათი ნაწილი შესანახად ეგზავნებოდა ე.წ. პერიფერიულ მუზეუმებს. ასე მოხვდა კანდინსკის ორი სურათი (ჩვენი განხილვის საგანი და «შავი შტრიხი,» 1920. რაც შეეხება კანდინსკის 1901 წლის «პეიზაჟს,» ის მუზეუმში კერძო კოლექციიდან გადმოვიდა) საქართველოს ხელოვნების მუზეუმში.

1930-იანი წლების შუა ხანებში, უკვე პარიზში, კანდინსკი იხსენებდა ამ სურათს. ამ დროს საფრანგეთში აბსტრაქტული ხელოვნების მიმართ ინტერესი გაიზარდა. კანდინსკიმ, ხელოვნების კრიტიკოსის და კოლექციონერის ქრისტიან ზერვოს თხოვნით, დაიწყო თავისი პირველი აბსტრაქტული ნამუშევრის შესახებ ინფორმაციის მოძიება.



ვ. კანდინსკი, შთაბეჭდილება III (კონცერტი), 1911, ლენბაჰჰაუსის მუნიციპალური გალერეა, მიუნხენი.

1935
წელს
კანდ
ინსკი
წერდ
ანიუ-
იორკ
ელ
გალე
რისტ
ს ჯ.ბ.
ნიუმა
ნს,
რომე
ლიც
იმ

დროს მოსკოვში აპირებდა წასვლას:

«ეს დიდი სურათია, თითქმის კვადრატი, ძალიან ცოცხალი ფორმებით, და დიდი წრიული ფორმით მარჯვენა ზედა მხარეს, ...თავის დროზე მე მან არ დამაკმაყოფილა და ამიტომ არ დავნომრე, არც კი ჩავინიშნე ჩემს პირად კატალოგში.» მხატვარი წერდა, ამ სურათის ფოტოს მოპოვება თუ გახდება შესაძლებელი, ის მე დიდ ბედნიერებას მომანიჭებდაო.

მოსკოვში, აღნიშნული ნამუშევრის ფოტოს, საბჭოთა პერიოდში საკუთარ არქივში ინახავდა კანდინსკის ყოფილი თანაშემწე სერგეი ბობროვი. 1970-იანი წლების შუა ხანებში ეს ფოტო გეორგ კოსტაკის კოლექციაში აღმოჩნდა და ზოგი მკვლევარის ყურადღების არეალში მოექცა. თუმცა, ნამუშევრის ადგილმდებარეობა მაშინ უცნობი რჩებოდა. ნამუშევრის ფოტო და მის თაობაზე

მცირე, ამასთან მცდარი ინფორმაცია პირველად გამოაქვეყნეს ჰანს როეტელმა და ჟან ბენჟამენმა 1977 წელს, ბარლინგტონის ჟურნალში, ხოლო 1982 წელს დაურთეს კანდინსკის ნამუშევრების არასრულ ანოტირებულ კატალოგს.

1989 წელს «სურათი წრით» გამოჩნდა მოსკოვში, კანდინსკის პირველ რეტროსპექტულ გამოფენაზე, რომელიც ბერლინის კედლის დაცემის აღსანიშნავად გაიმართა.

2004 წელს მიხეილ გოერმანმა ვასილი კანდინსკისადმი მიძღვნილ წიგნში გამოაქვეყნა ნამუშევრის ფერადი რეპროდუქცია, თუმცა, მასში ზომები არასწორად არის მითითებული (200X150 სმ).

2009 წელს მოენყო კანდინსკის დიდი რეტროსპექტული გამოფენა, რომელმაც იმოგზაურა მიუნხენში, პარიზში და ნიუ-იორკში. «სურათი წრით» არ იყო წარმოდგენილი მიუნხენში, ხოლო პარიზსა და ნიუ-იორკში ნაჩვენები იყო. თუმცა, პარიზის კატალოგში მონაცემები ისევ მცდარია. 2011-12 წლებში ნამუშევარი წარმოდგენილი იყო პარიზის პინაკოტეკაში, 2013 წელს – ბრიუსელში.

* * *

ერთადერთი ქართველი ავტორი, რომელმაც ტექნიკურ-ინფორმაციული ხასიათის სტატიები მიუძღვნა კანდინსკის ნამუშევრებს საქართველოს ხელოვნების მუზეუმის კოლექციიდან, იყო ნონა ელიზბარაშვილი. თუმცა, ის ამახვილებს ყურადღებას «პეიზაჟზე» და «შავ შტრიხზე», ხოლო «სურათი წრით» მხოლოდ ნახსენები აქვს.

უცხოელი ავტორებიდან ამ ნამუშევარზე ყურადღება გაამახვილა და 2011 წელს, პარიზის პინაკოტეკის

გამოფენის კატალოგისთვის სტატია დაწერა ბულგარელმა მეცნიერმა ანდრეი ნაკოვმა, რომელმაც 2015 წლის ბოლოს, ფრანგულ ენაზე, ჯერჯერობით სტატიის ავტორისთვის მიუწვდომელი წიგნი გამოსცა «პირველი უსაგნოს» თაობაზე («Kandinsky, secret - L'énigme du premier tableau abstrait»).

რა თქმა უნდა, სტალინის და «ცივი ომის» პერიოდებში «სურათი წრით» დასავლეთის მეცნიერების თვალსაწიერიდან უგზოუკვლოდ რომ არ გამქრალიყო, ის დიდი ხნის წინ დაიკავებდა სათანადო ადგილს აბსტრაქტული ხელოვნების და ზოგადად ხელოვნების ისტორიაში. მაშინ დავა პირველობაზე აბსტრაქციონისტთა შორის, შესაძლებელია სხვაგვარად წარმართულიყო. მაგრამ რადგან ათწლეულების მანძილზე საბჭოთა კავშირში ამგვარი ნიმუშების შესახებ წერა აკრძალული იყო, კანდინსკის ცხოვრების და შემოქმედების შესახებ დასავლეთში იწერებოდა და იბეჭდებოდა უამრავი წიგნი ისე, რომ მისი უმნიშვნელოვანესი «პირველი უსაგნო» შესაბამისი კონტექსტიდან ამოვარდნილი იყო. დღეს ის იბრუნებს შესაბამის ადგილს.

* * *

«ნეპომაკს ეცვა მისი მშვენიერი ახალი საგარეო პალტო, როდესაც ის ჩამოჯდა პატარა მრგვალ ბრტყელ გორაკზე. ქვემოთ პატარა ლურჯი მწვანე ტბა აბრმავებდა თვალებს. ნეპომაკი მიეყრდნო პატარა თეთრი მწვანე არყის ხის ტანს, ამოიღო თავისი დიდი გრძელი შავი ჰობოი და დაუკრა სხვადასხვა ცნობილი სიმღერა. ასე იყო ჩამჯდარი ორ საათს. დაიწყო სიმღერით «ჩიტი თუ გაფრინდა» და რომ მივიდა სიტყვამდე – «გაფრენა,» მეინრადი, გაქაფული და სუნთქვაშეკრული, სირბილით ამოვარდა მთაზე და თავისი

მოხრილი, წვერიანი, მახვილი, მოღუნული, მბრწყინავი ხმლით გადაჭრა ჰობოი.»

სახელი – ნეპომაკი, თავის დროზე საკმაოდ გავრცელებული იყო ავსტრიაში და გერმანიაში. ის განსაკუთრებით ცნობილია თომას მანის «დოქტორ ფაუსტუსის» გამო. თუმცა, ეს ნაწარმოები გაცილებით გვიან – 1943 წელს დაიწერა. იოჰანეს ნეპომაკი ბოჰემიის წმინდანია, რომელიც წყალდიდობისა და დახრჩობისგან იხსნის ადამიანებს. მე-14 საუკუნეში ის თავად დასაჯეს წყალში დახრჩობით. ძნელი სათქმელია, რაიმე კავშირი თუ აქვს მასთან კანდინსკის ლექსს, სადაც ვინმე ნეპომაკი – წარმოსახვითი სახეა, რომელსაც მწვანე ტბა უბრმავებს თვალებს. მაგრამ ჩვენთვის აქ უფრო საინტერესოა ფერები, ფორმები, ხმები, და შინაარსის აბსტრაქტულობა. აქ კანდინსკი სიტყვებით ქმნის აბსტრაქტულ სურათს. ეს ლექსი შესულია კანდინსკის პოეზიის კრებულში «ხმები», რომელიც 1912 წელს გამოიცა. ლექსები კი ალბათ დაახლოებით იმ პერიოდში იწერებოდა, როდესაც კანდინსკი თავის შემოქმედებაში საგანს გაუმკლავდა.

მინიშნებული ლიტერატურა:

Kandinsky, Complete Writings on Art, ed., by K.C. Lindsay, P. Vergo, Da Capo Press, Boston, 1994, p. 2013.

Christophere Jamme, «The Loss of Things,» in: Kunt & Museum Journal, 1990, #1, pp. 33-34.

Kandinsky, Complete Writings on Art..., p. 399.

<http://www.cesnur.org/2015/Ringbom.pdf> seen 10 june, 2016.

Schoenberg, Kandinsky, and the Blue Rider, ed. by E. da C. Meyer, Fr. Wasserman, with essays by M. Dabrowski, E. da C. Meyer, Fr. Wasserman, Ch. Hailey, R. Heller, Fr. Wasserman, The Jewish Museum, NY, Scala Publishers, 2004, p. 21.

The Blaue Reiter Almanac, ed. by W. Kandinsky, Fr. Marc, Doc. edition ed. by Kl. Lankett, MFA Publications, Boston, 2005, p.95.

Kandinsky, Complete Writings on Art..., p. 397.

<http://www.moma.org/interactives/exhibitions/2012/inventingabstraction/?work=5> seen on 08 June, 2016.

Василий Кандинский, Точка и линия на плоскости, Санкт-Петербург, 2001, с. 172.

<http://www.andrei-nakov.org/en/kandinsky.html>

J.S. Marcus, An Elusive Kandinsky Makes a Rare Appearance in the West, The Wall Street Journal, April 16, 2013, p. C14.

M. Guerman, Vassily Kandinsky, The Grange, 2004.

Le Premier Tableau abstrait de Kandinsky: au-dela des legends in: Expressionismus & Expressionismi, Berlin-Munchen, 1905-1920, Der Blue Rider versus Bruke, exhibition catalog, Pinachothèque de Paris, 2011, pp. 45-60.

Кавказскоеведение/Caucasology, №8, 2005, сс. 150-153.

- [1] ქოუსარი – სამოთხის წყაროს სახელია ყურანში.
- [2] ხიზრი – ყურანისა და ისლამის მიხედვით, უკვდავების წყაროს მცველი, მარადიული სიცოცხლის სიმბოლო.
- [3] ალ-ჯაჰიზი (775-868) – არაბი მწერალი, თეოლოგი და ლიტერატურისმცოდნე, არაბული ლიტერატურული კრიტიკის ფუძემდებელი. მნიშვნელოვანი სატირული ნაწარმოებების ავტორი, რომელთაგან აღსანიშნავია «ძუნთა წიგნი» და «კვადრატულობათა და სიმრგვალეთა შესახებ».
- [4] ალფია – არაბულად (მდ.) ათასიანს, ათასას ნიშნავს.
- [5] ლისან ალ-არაბ – არაბული ენის ვრცელი, 20-ტომიანი განმარტებითი ლექსიკონი, რომლის ავტორიცაა ჯამალ ად-დინ აბულ ფადლ იბნ მუქრიმ ალ-ანსარი არ-რაუფი, ცნობილი, როგორც იბნ მანზური (1232-1311).
- [6] რუსულიდან თარგმნა შოთა იათაშვილმა.